ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 4 დეკემბერი 1997 №156 (521) ფასი 50 თეთრი


## ოღონდ არ გაგვრიცხონ და...

ფედერაციისა და დეპარტამენტის დაპირისპირება ისე გაჯანჯლდა და ისეთი სკანდალური სახე მიიღო, ქვეყნის პრეზიდენტის მისახედიც კი გახდა.

არადა, თავიდან თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო, დეპარტამენტის კოლეგიის სხდომა, ფედერაციის მუშაკების ნაირნაირად „შემკობა". იგივე გაგრძელდა ფეხბურთის საკითხის საპარლამენტო მოსმენაზეც, არც იქ დაუკლიათ ფედერაციის ჩინოსნებისთვის კრიტიკა და საბოლოოდ ერთი ბრძანეს, ესეც ერთი კვირის წინ და, რა ბრძანეს, ყველამ კარგად ვიცით. უბრალოდ, თქვენთვის კიდევ ერთხელ იმის შეხსენება, როგორ დაიწყო ეს დავა-კამათი, ერთმა ელემენტარულმა ფაქტორმა გადაგვაწყვეტინა. ნამდვილად გაუგებარია, რა საჭირო იყო ამ საქმისთვის ასეთი მასშტაბების მიცემა. ნუთუ შეუძლებელი გახლდათ, მტყუან-მართლის დასაბუთებულად, დიდი-დიდი ერთ კვირაში გარკვევა? ალბათ შეიძლებოდა, შეიძლებოდა და თან როგორ. მოდავეთ თავიდანვე ცხადად რომ გამოეხატათ თავიანთი პოზიციები, „სარბიელის" მკითხველსაც ერთხელ მაინც მოუწევდა თვალის დასვენება და გაზეთის ფურცლებზე წაკითხულის შემდეგაც არ გაიფიქრებდა, ისევ ესენი, რით ველარ გაიყვეს გასაყოფიო. ქალაქში ხშირად გვსმენია ასეთი სიტყვები და პასუხმიუცემლად, ჩუმად ჩაგვივლია გვერდით მკითხველისთვის. ან კი რალა გვქონდა და გვაქვს სათქმელი, როცა ხეირიანად თქვენზე უკეთ ჩვენც ვერ გავრკვეულვართ სიტუაციაში. ერთი ამბობს, ფედერაციაში ცუდი ხალხი მუშაობს და ქართულ ფეხბურთს უნდა ჩამოშორდნენო, მეორენი, რას გვერჩით, ჩვენი საქმის თქვენზე უკეთ ვიცით, ფედერაციის საქმეებში ჩარევით და ფიფა დაუსჯელებს არ დაგვტოვებსო. მიდი და გაიგე, ვისი აჯობებს. სახელმწიფო ორგანოებმა ბრძანება დაამოწმეს, ფედერაციის ხელმძღვანელებს უფლებები შეუჩერეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ისინი მაინც ძველებურად მუშაობენ, უფრო სწორად, ის მუშაობს ძველებურად, გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე და მომხდარის კომენტარისას ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ამბობდა, რიგგარეშე ყრილობა არ ჩატარდებაო. კონფლიქტის აქამდე მოტანის მიზეზიც ხომ ეს იყო — რიგგარეშე ყრილობა. ჰოდა, მარტო „სარბიელში" იმდენჯერ დავწერეთ, ამ ყბადაღებული ყრილობის მოწვევას ფედერაცია არ აპირებსო, დაინტერესებულთ უნებლიედ ეჭვი შეეპარებოდათ, იქნებ მართლაც ბანზე გვიგდებენ სიტყვებსო, მაგრამ დეპარტამენტს აწ უკვე გამოცემული ბრძანების იმედი ჰქონდა, უფლებებს შევუჩერებთ და მორჩა, საქმე გათავებული იქნებაო. ვაი, რომ ასე არ მოხდა. ვაი კი არა, ვუი ჩვენს თავს, ფიფადან ისეთი ფაქსი გამოგზავნეს, ქვას რომ გახეთქავს. ფედერაციამაც კოზირი დაიჭირა, ჩვენი ნათქვამი რატომ არ დაიჯერეთო.

ახლა რა ხდება? ისევ გაურკვევლობა, ისევ ბურუსი, ისევ უცნობია, ეშველება თუ არა ქართულ ფეხბურთს. წესით და რიგით, 8 დეკემბრამდე ან უნდა ამოვისუნთქოთ, ან... ან ღრმად მოგვიწევს ჩასუნთქვა, გააჩნია, წამოწყებულ საქმეს სპორტის დეპარტამენტი როგორ დაასრულებს. ჯერჯერობით კი თვით დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემაც ვერ გვიპასუხა, რას აპირებენ. ჯანო ბაგრატიონმა, კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით, ფიფადან მოსული ფაქსი გვაეჭვებს, რაღაც ნიუანსების გამო თავს ვიკავებთ, ფაქსებს შორის შეუსაბამობა არის, უახლოეს ორ დღეში გადაწყდება, რას ვილონებთ და მაშინ შეიტყობთო. ისე კი დარწმუნებული იყავით, ქართული ფეხბურთის საზიანოდ არ ვიმოქმედებთო, დააყოლა ჯანო ბაგრატიონმა. კარგი იქნება მართლაც ასე თუ მოხდება, ხალხისთვის სულ ერთია, ამ დავაში ვინ გაიმარჯვებს, მთავარი ისაა, საერთოდ უფეხბურთოდ არ დავრჩეთ, სულ არარაობას ეს მაინც სჯობს, რა დღეშიც ახლა ვართ, თუმცა უკეთესი გამოსავალი თუ არსებობს, რა თქმა უნდა, ფრიად მოსაწონი იქნება.

ცოტა თემას გადავუხვიეთ, ბაგრატიონის ნაამბობის მერე, თითქმის ტრადიციისამებრ დავით კვინიკაძეს შევეხმიანეთ. ღამის ათი საათი იყო, რომ გენერალური მდივანი ფედერაციაში ედუარდ შევარდნაძის წერილზე რეაგირებას „ახლენდა" თანამშრომლებთან ერთად. გეცოდინებათ, პრეზიდენტმა ფედერაციას, დეპარტამენტსა და იუსტიციის სამინისტროს ერთად აუწყა, სამ დღეში მოიფიქრეთ, თქვენ-თქვენი ვარიანტი წარმოადგინეთ სახელმწიფო კანცელარიაში და სამივე მხარე მოლაპარაკების მაგიდას მიუსხედითო. ფედერაციაში სწორედ ამ ვარიანტზე მუშაობდნენ, კვინიკაძის თქმით, ერთ საათში კანცელარიაში უნდა გაეგზავნათ თავიანთი მოსაზრება. თუ რა შინაარსი ჰქონდა ფედერაციის მოხელეთა ნააზრევს, ამის დადგენა ველარ მოვახერხეთ, უკვე ძლიერ დაღამებულიყო. თავად გენერალურმა მდივანმა კი თავი შეიკავა ტექსტის გამხელისგან. თუმცა ალარ გვგონია, ეს მეტად მნიშვნელოვანი გახლდეთ, რადგანაც დავით კვინიკაძემ საუბრისას მოკლედ და კონკრეტულად გვითხრა: „სპორტის დეპარტამენტი და იუსტიციის სამინისტრო თავიანთ ბრძანებას გააუქმებენ." დარწმუნებით რა გითხრათ, ამის თაობაზე წუხანდლამდე არაფერი გაგვიგია, მაგრამ რაკი გენერალური მდივანი ასე ამბობს, ესე იგი, საამისო საფუძველი არსებობს. გამართლდება თუ არა კვინიკაძის სიტყვები, მალე გამოჩნდება, ეს უკვე იმათი საქმეა, ვინც ბრძანება დაწერა. უნდათ გააუქმონ, უნდათ შეაჩერონ, სულაც ძალაში დატოვონ, ოღონდ ფიფას ნუ ვაწყენინებთ, თავს ნუ გავარიცხინებთ და...

**ქოჩბა ინასარიძე**



[illegible] [illegible] ფოტო

ვახტანგ ნაცვლიშვილი მოედანზე საუკეთესო იყო

| | | |
|---|---|---|
| ბათუმი | „დინამო" | 3 დეკემბერი |

**ბათუმი 1:0 დინამო**

**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, გ. შეყილაძე, ღლონტი, მ. მახარაძე, ჭიჭველიშვილი, მაჭუტაძე, ჩუხუა (აფხაზავა 82), კანტიძე (თორლაშვილი 70)
**დინამო:** ჭანტურია, კალაძე, ჯულაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, ჩიხრაძე, კიკნაძე, ალექსიძე (გოგობერიშვილი 70), გელაძე (კვარაცხელია 87), მუჯირი, ხომერიკი
1:0 კანტიძე (32)
**გაფრთხილება:** ჩიხრაძე, მინდაძე, ი. მახარაძე
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

**იუზა კაციტაძე ბათუმიდან**

## ოცდამეოთხე და მეორე

ეს მატჩი დეკემბერში რომ გაიმართა, ამით მგონი, არავინ დაზარალებულა. აჭარაში ჯერ კარგად არც დაზამთრებულა. გუშინაც თბილი დღე იყო, ზღვაც საოცრად წყნარი. თამაშის წინ ცა კი მოიღუშა, ერთი-ორჯერ თითქოს წვიმაც დააპირა, მაგრამ გამოიდარა. მოკლედ, ამინდი სათამაშო განწყობილებას რომ ქმნის, სწორედ ისეთი გახლდათ.

დღესდღეობით ჩვენი უძლიერესი გუნდების ურთიერთსათამაშო ბალანსში თბილისელთა უპირატესობა იმდენად აშკარაა, რომ ბათუმელებმა ძალიანაც რომ მოინდომონ, ამ საუკუნეში მეტოქეს ვერანაირად ვერ გაუტოლდებიან. ისინი ოფიციალურ დონეზე 23-ჯერ შეერკინენ — ჩემპიონატებში, თასზე, სუპერთასისთვის. „ბათუმმა" მხოლოდ ერთხელ, პირველი ჩემპიონატის საშინაო შეხვედრაში იმარჯვა (2:0), იქიდან მოყოლებული მეტოქეებმა ოთხჯერ ფრედ ითამაშეს, დანარჩენი 18 მატჩი თბილისელებმა მოიგეს.

გასაკვირიც კია, ასეთი დამთრგუნველი ბალანსის მიუხედავად, ბათუმელებს „დინამოსთან" არასრულფასოვნების კომპლექსი რომ არ გამოუმუშავდათ...

მაგრამ, რაც იყო, იყო. 24-ე შეხვედრის ჯერიც დადგა. საწყის 15 წუთში თითქოს სტუმრები ჯობდნენ მასპინძლებს. თბილისელებმა ოთხი კუთხურის ჩაწოდება მოასწრეს, თუმცა, სახეირო ვერაფერი შექმნეს. თამაში კი ბათუმელებმა გაამწვავეს. მე-16 წუთზე სიჭინავა ჩაერთო შეტევაში და ცქიტიშვილს რომ არ ემარჯვა, ჩუხუას მეკარესთან პირისპირ დატოვებდა. დინამოელთა კაპიტანმა გადაცემის ჩაჭრა მოასწრო. მე-20 წუთზე ღლონტმა გამოძებნა დარტყმის მომენტი და 18 მეტრიდან ძლიერად დაურტყა ჭანტურიას. აქ მეკარემ იმარჯვა. ამას თბილისელთა სწრაფი იერიში მოჰყვა. ხომერიკი მარცხენა ფლანგზე გაიჭრა და უმალ საპირისპირო მხარეს, მასპინძელთა საჯარიმო მოედნის კუთხესთან ახლოს მდგარ მუჯირს გადააწოდა, კარში დარტყმამაც არ დააყოვნა, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს. 28-წუთზე ჩუხუამ კანტიძეს დაუგდო, მანაც კარგად დაარტყა, ეგ იყო, კარისკენ მიმავალი ბურთი მცველს მოხვდა და მეკარეც იოლად მისწვდა. კანტიძემ სულ მალე მაინც გაიტანა თავისი, თანაც მეტად ლამაზად და მაღალოსტატურად. ბათუმელმა მოედნის ცენტრთან ახლოს სტუმართა ნახევარზე მიიღო ბურთი პარტნიორისგან და სწრაფად დაიძრა კარისკენ. მის წინაშე სამი თბილისელი მცველი აღიმართა, მაგრამ კანტიძის შეჩერება ვერ მოახერხეს, ვერც კარში დარტყმისას შეუშალეს ხელი და... ჭანტურია უძლური აღმოჩნდა, დაბალ ბურთს ვერ მისწვდა. სულ რაღაც ნახევარ წუთში „ბათუმს" ანგარიშის გაორების კარგი შანსი მიეცათ. ამჯერად ჩუხუა შედიოდა სახიფათოდ თბილისელთა საჯარიმოში, მაგრამ კალაძესთან ორთაბრძოლაში დაეცა. პენალტი? არა? ლაცაბიძემ ჩათვალა, რომ მცველს არ უუხეშია. პირველ ტაიმში სხვა საინტერესო აღარაფერი მომხდარა.

ჩემპიონი მატჩს იოლად რომ არ დათმობდა, ცხადი იყო. თამაშის განახლებისთანავე თბილისელებმა უფრო აქტიურად შეუტიეს. თავდამსხმელთა დასახმარებლად ჯერ კიკნაძემ წაიწია, მერე ცქიტიშვილმაც. მაგრამ სტუმრებს არაფერი გამოსდიოდათ. ბათუმელები ფხიზლად თამაშობდნენ დაცვაში და მეტოქეს კარში დარტყმას არ აცლიდნენ. „ბათუმი" შესვენების შემდეგ უმთავრესად კონტრშეტევებს თამაშობდა და ამ ტაქტიკას უნდა გაემართლებინა კიდეც. მე-60 წუთზე ჩუხუა იყო მიზანთან ახლოს, მაგრამ კარში ვერ დაარტყა. ხუთ წუთში ჭანტურიამ ზედ ფეხზე აართვა ბურთი მაჭუტაძეს. 79-ე წუთზე პარტნიორმა გამოზომილი პასით კარგ პოზიციაში გაიყვანა მაჭუტაძე, მაგრამ მას საჯარიმოში თბილისელმა მცველებმა გზა გადაუხერგეს. არბიტრმა თავისუფალი დარტყმა დანიშნა. ბათუმელებმა გაითამაშეს, ჭიჭველიშვილმა მორგებულადაც დაარტყა, მაგრამ ჭანტურიამ იხსნა თავისიანები, ურთულესი ბურთი მოიგერია. არ გასულა ბევრი დრო და სიტუაცია განმეორდა. შეყილაძემ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა მაჭუტაძე, თუმცა, მოიერიშემ ვერც ამჯერად იხეირა, ჭანტურიამ თავგანწირულ ნახტომში აართვა ბურთი. ჩემპიონმა ტოგონიძის კართან ვერა და ვერ იხეირა. ანდა როგორ იხეირებდა, ნაკრების მეკარეს მხოლოდ მუჯირი თუ აწუხებდა, ისიც შორეული დარტყმებით. ასე რომ, მატჩის შედეგი სავსებით ლოგიკური გამოდგა. „ბათუმმა" „დინამოს" მეორედ მოუგო და პირველი წრის ცხრილში მეორე ადგილზეც გადაინაცვლა.

## იმედო ჩემო, ამჟამად სხვისო

### საქართველოს ნაკრები ზედიზედ მესამე შესარჩევ მატჩში დამარცხდა

სულ რაღაც ათი დღის წინ, სანამ ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირი დაიწყებოდა, კალათბურთის გულშემატკივრები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი — ამ სამი მატჩიდან სამ გამარჯვებას, მინიმუმ ორს მაინც ველოდით და შედეგად კი სამი მარცხი მივიღეთ. მოულოდნელი მოულოდნელად, მაგრამ გვქონდა კი ოპტიმიზმის საფუძველი, რას ემყარებოდა ჩვენი იმედი? ალბათ, მხოლოდ ჩვენი კალათბურთელების ნიჭსა და მონდომებას, თორემ წარმატებისთვის არაფერიც არ ვიღონეთ, გუნდს ერთი შეკრებაც არ ჰქონია ტურნირის დაწყებამდე და ყოველგვარი სათამაშო პრაქტიკის გარეშე ჩაება ბრძოლაში. ყოველთვის ასეა, სურვილებს ვგეგმავთ და რეალურ სიტუაციას არ ვითვალისწინებთ.

თუმცა, ჯერ მატჩზე. იმ სამი ნაკრებიდან, რომელსაც შესარჩევი ტურნირის სტარტზე შევხვდით, ყველაზე ძლიერი თურქეთის გუნდია. თურქებმა დიდძალი თანხა ჩადეს კალათბურთში და ნელ-ნელა შედეგებსაც იმკიან — გუნდი საკმაოდ დალაგებულ, ტაქტიკურად გამართულ კალათბურთს თამაშობს და ევროპაშიც მაღალ დონეზეა. ჩვენებს კი ორი წაგების შემდეგ სწორედ მათთან უნდა აენაზღაურებიათ დანაკარგი.

ჩვენს ნაკრებს, რაც უსტიაშვილი და თორთლაძე გამოაკლდა, გამთამაშებლის პრობლემა შეექმნა. ამ მატჩში კი მამუკა ტურაშვილიც ვერ გამოვიდა, რომელმაც შვედეთში ტრავმა მიიღო. ამიტომ გამთამაშებლის ფუნქცია ირაკლი ვაშაკიძეს დაეკისრა. ჩვენი გუნდის კოზირი სწრაფი თამაშია, მაგრამ სწრაფი თამაში არ გამოვა, თუ პირველი პასი არ იქნა, ეს კი უმთავრესად გამთამაშებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული. ჩვენებმა, ეტყობა, გაითვალისწინეს წინა მატჩის გამოცდილება, თურქებთან შეტევები ამ პირველ პასზე ააგეს და შედეგიანადაც: ორჯერ ზედიზედ გაიყვანეს ნაცვლიშვილი ხელსაყრელ პოზიციაზე და ვატომაც ჩვეულ სტილში დაასრულა იერიშები 4:0. თურქებმა სარიქას სამქულიანით უპასუხეს, მაგრამ ჩვენებმა კვლავ განაგრძეს სწრაფი იერიშები და ასეთ თამაშში ნაცვლიშვილი კვლავ შეუდარებელი იყო.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

# სირცხვილი გვაჭამეს

თბილისი
ეროვნული
2 დეკემბერი

**საქართველო 0:4 უკრაინა**

**საქართველო:** გოგია, ხიზანეიშვილი, ჩიჩაძე (კანდელაკი 41), საჯაია, თავბერიძე, ...აშია (დარჩიძე 41), შენგელია, ხიზანიშ... (ნორაკიძე 56), წუწუნავა, დეკანოიძე, ხუროძე

**უკრაინა:** კალადიუკი (კუსლი 68), სმალკო, შერშუნი, რიუმინი, სტოიანი (საენკო 41), კომარნიცკი, ბედნენკო, კონდრატოვიჩი (ბარაჩენკო 62), სიმონენკო, გერასიმენკო, მატვეევი

0:1 ბედნენკო (29), 0:2 გერასიმენკო (34), 0:3 კომარნიცკი (51), 0:4 გერასიმენკო (66)

**გაფრთხილება:** თავბერიძე, ხიზანეიშვილი

**მსაჯი:** ა. გეცოვი (ბულგარეთი)

**მერაბ მამულაშვილი**

მცხეთაში რუმინელებთან შეხვედრის შემდეგ კოსტავამ შემადგენლობაში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ათამაშა, მაგრამ რად გინდა — კვლავ უსისხლო და უშინაარსო ფეხბურთი ვიხილეთ. ჩვენმა 16 წლამდელებმა ციკლი სამარცხვინოდ ჩაამთავრეს. უკრაინასთან მარცხი კი ამ წარუმატებლობათა გვირგვინი იყო. არადა, ვერავინ იტყვის, სტუმრები განსაკუთრებულნი იყვნენო. ქართველები ისევ და ისევ საკუთარი დაუდევრობის გამო დავისაჯეთ. უკრაინელები თავიდან ფრთხილად თამაშობდნენ. ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასულებს თავი დიდად არც შეუწუხებიათ. ან რა საჭირო იყო — ჩვენები ისე ხშირად ცოდავდნენ, უკრაინელებს მხოლოდ ამით შეეძლოთ, ეხეირათ და ასეც მოიქცნენ.

შეხვედრის დასაწყისში ვერავინ წარმოიდგენდა, ქართველები გამანადგურებელი ანგარიშით თუ დამარცხდებოდნენ. ჩვენები სტუმრებს ხშირად აწუხებდნენ კიდეც, მაგრამ შეტევები იმდენად ქაოსური იყო, უკრაინელებს მისი ჩაშლა არ უჭირდათ, თავს მშვიდად იცავდნენ და ნახევარდაცვის სასარგებლო მოქმედების შედეგად კონტრშეტევებსაც გონივრულად ახორციელებდნენ.

ანგარიში 29-ე წუთზე გაიხსნა, როცა ბედნენკომ მცველთა და მეკარის უხეში შეცდომით ისარგებლა. 34-ე წუთზე უმეთვალყუროდ დარჩენილმა გერასიმენკომ იხეირა. განსაკუთრებით ლამაზი სტუმართა მესამე გოლი იყო. მარცხენა ფლანგზე მატვეევმა მშვენიერი დრიბლინგით მეტოქის მცველები ჩამოიცილა და ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, კომარნიცკის თაური კი მიზანში მოხვდა. უკრაინელთა მეოთხე გოლიც ჩვენების შეცდომის შედეგად გავიდა, გოგიას მოგერიებული ბურთი კვლავაც უმეთვალყუროდ დარჩენილმა სტუმარმა, გერასიმენკომ მიიღო და ანგარიშს საბოლოო სახე მისცა, ჩვენი 16 წლამდელები კი შერცხვენილები ტოვებდნენ მოედანს.

# თითო თამაში და 10000 ფრანკი

ჩვენი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები — გიორგი ქინქლაძე და კახა კალაძე მოლდოვაში რომ გაგვიძევეს, გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ. ამას დიდი მითქმამოთქმა მოჰყვა: კალაძეს სულ ცოტა ორი თამაშით დასჯიან, ხოლო ქინქლაძეს ხუთი მატჩი თუ აკმარეს, იოლად გადავრჩებითო. იყო სხვა ვარაუდები და ცნობებიც, საბოლოოდ ფიფას სადისციპლინო კომიტეტმა ჩვენებურებს ერთობ მოულოდნელი და სასიხარულო განაჩენი გამოუტანა.

გიორგი ქინქლაძე და კახა კალაძე ეროვნული გუნდის მხოლოდ ერთ ოფიციალურ თამაშს გამოტოვებენ და ჯარიმის სახით დამატებით 5 ათას შვეიცარიულ ფრანკს გადაიხდიან. მორჩა და გათავდა, ჭორებსაც ბოლო მოეღო. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ პოლონელებთან მატჩი ორივემ გამოტოვა, მაშინ ფედერაციას მხოლოდ 10 ათასის გადახდა დარჩენია და ახალი ციკლიდან კახა და გიო ითამაშებენ.

# ტყუილად ირჯებიან, არაფერი გამოუვათ

საქართველოს თასის გათამაშების მერვედფინალში ქუთაისის „ტორპედომ“ გორში 3:1 წააგო, შინ კი „დილას“ ვერაფერი მოუხერხა და ფრეს დასჯერდა. ბუნებრივია, „ტორპედო“ გათამაშებიდან გამოვარდა. ფეხბურთი მუშტიკრივი არ გახლავთ და ქუთაისელებს არც სადავო უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მერე გაირკვა, რიონისპირელები ჩივილს აპირებენო. რა შეიქნა სადაო — თამაში ხომ მშვიდობიანად, ყოველგვარი დარღვევის გარეშე ჩატარდა. ქუთაისელთა ვერსია მოგვიანებით გახდა ცნობილი — „დილამ“ ორი თამაშის ჯამში კი დაგვჯაბნა, მაგრამ განმეორებით მატჩში სტუმრებმა ოთხი შეცვლა გააკეთეს, დებულებით ამგვარი მოქმედება აკრძალულია და „ტორპედოს“ 3:0 მოგება უნდა ჩაეთვალოსო. მოგეხსენებათ, 3:0 ქუთაისელებს მეოთხედფინალში გაიყვანდა.

ცვლილებათა ლიმიტში დარღვევა „დილას“ კი არა, უფრო გამოცდილ და ტიტულოვან კლუბებს ჰქონიათ, ზოგს დასაშვებზე მეტი უცხოელი შეუშვია მინდორზე და ზოგსაც რა უკეთებია. ეს ევროპაში მომხდარა. გორელები უცხოელებით დაკომპლექტებულ კლუბს, ალბათ, კიდევ კარგა ხანს ვერ გამოიყვანენ, თანაც არა მგონია, სამჯერ ათვლა ეშლებოდეთ, ამიტომ ქუთაისელთა ვერსია თავიდანვე საეჭვო ჩანდა. მიუხედავად ამისა, სიმართლის გასარკვევად ფედერაციას მივაკითხეთ და „ტორპედო“ — „დილას“ სათასო მატჩის დელეგატი მალხაზ კობიაშვილი მოვინახულეთ. მისგან კი ეს შევიტყვეთ: — მატჩი ის-ის იყო იწყებოდა, გუნდები ოთელებოდნენ და თამაშის ოქმიც შევსებული გახლდათ. ამ დროს ჩემთან შემოვიდა სტუმართა გუნდის წარმომადგენელი და მითხრა — მოთელვისას ძირითადი მეკარე დაგვემტვრა და კარში სათადარიგოს ჩავაყენებთო. რადგან თამაში ჯერაც არ დაწყებულიყო და გორელებმა საქმის კურსში ჩაგვაყენეს, მათ მეკარის შეცვლის სრული უფლება ჰქონდათ. წესდებაში ეს გარკვევით წერია. თანაც „დილას“ მატჩის მსვლელობისას კიდევ სამი ფეხბურთელის გამოცვლა შეეძლო. საიდან მოიტანეს ქუთაისელებმა მეოთხე ცვლილება, წარმოუდგენელია. მათი აზრით, გორელებს ეს მასპინძლებისთვისაც უნდა შეეტყობინებინათ, რაც არასწორია. ყველა თამაშს ჰყავს თავისი მსაჯი და დელეგატი და ყველა სადავო საკითხს ისინი წყვეტენ. სტუმრები არ იყვნენ ვალდებულნი, მეტოქის ხელმძღვანელები გაეფრთხილებინათ. ბოლო ბოლო, სათადარიგო მეკარეც ხომ მატჩის ოქმშია შეყვანილი, გუნდი უმეკაროდ ხომ ვერ გავიდოდა სათამაშოდ. ასე რომ, არავითარ დარღვევას ქუთაისში ადგილი არ ჰქონია.

მოკლედ, „ტორპედო“ თასისთვის მომავალ გათამაშებაში თუ იბრძოლებს, თორემ ახლა არაფერი გამოუვა.

**მამუკა ძგანტალიანი**

# იაში — ფრაიბურგის იმედი

ალექსანდრე იაშვილმა კვლავ შეაღო მეორე ბუნდესლიგის კარი. ადრე ლიუბეკელი გულშემატკივრების კერპი ახლა ფრაიბურგელთა იმედად ქცეულა. ფრაიბურგში, ვილის იაში შეარქვეს და ჩვენებურმა გუნდის ძირითადშიც მყარად მოიკიდა ფეხი. გერმანიაში მას მძლავრი კონკურენცია ელოდა. როგორი საქმეა, მიაშურო გუნდს, სადაც აწყობილი თავდასხმა გხვდება, კლუბი დაწყებულ ჩემპიონატში ლიდერებს შორის დაფუძნებულა და კარგადაც ირჯება. იაშკას ახალ ტალღაზე გადაწყობამ მოუწია, იყო საკონტროლო მატჩები და გოლები. მერე მთავარმა მწვრთნელმა ოფიციალურ მატჩში შეცვლაზეც შეიყვანა — ერთხელ, მეორედ. ჩვენებურმა კარგი თამაშით თავი ისახელა და სასტარტო შემადგენლობაში ადგილის დაბევებამაც არ დაახანა.

„ფრაიბურგის“ შეტევას მანამდე ადგილობრივი ვეტერანი და ტუნისელი ლეგიონერი უძღვებოდნენ. ახლა იაშკა ძირითადშია, ხოლო გერმანელი და ტუნისელი ერთმანეთს ცვლიან. უკვე ყოფილ დინამოელს მეორე ბუნდესლიგაშიც გააქვს გოლები. ბოლო ორი ტური, ორი გოლი. გამწარებულთა შორის „ფორტუნა“ და „დიუსელდორფიც“ არიან. იმედია, ეს ნუსხა კიდევ უფრო გაიზრდება.

„ფრაიბურგი“ ბუნდესლიგის ბინადარი იყო. გერმანიის ჩემპიონატში ფუროროც მოახდინა, როცა მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლა. მერე იყო უიღბლობა და გასულ სეზონში უძლიერესთა ლიგასთან დამშვიდობება. ახლა მთელი ფრაიბურგი იმით ხარობს, რომ მათი გუნდი ბუნდესლიგას უბრუნდება. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი შანსი აქვთ. კლუბი გათამაშებას ლიდერობს, ბუნდესლიგაში კი სამი საუკეთესო გადადის.

იაშკას გერმანიაში ყველა პირობა შეუქმნეს. ჯანიც მოემატა, თითქოს უფრო დაკაცდა კიდეც. ორჯერადი ვარჯიშები რაღა გასაკვირია, მაგრამ „ფრაიბურგი“ თამაშის შემდეგაც ვარჯიშობს. მსუბუქად სირბილი და მოთელვა აუცილებელია. გუნდის მწვრთნელების თქმით, ეს საუკეთესო აღმდგენი საშუალება გახლავთ. მეორე დღეს კი მასაჟი და საუნა სავალდებულოა. ცოტა უცნაური სისტემა კია, მაგრამ ფაქტია, ამართლებს.

ფრაიბურგელთა თავკაცი ფინკე პირველ წრეში ხუთეულში მოხვედრას გეგმავს, ხოლო მეორეში — მოწინავე სამეულში დამკვიდრებას, რაც ბუნდესლიგაში აღზევების გარანტია გახლავთ. არადა, პირველი წრის ბოლომდე ორი ტურიღა დარჩა. „ფრაიბურგი“ ლიდერია და ორიდან ერთ მატჩს შინ თამაშობს. ასე რომ, ფინკე, მისივე ნათქვამით თუ ვიმსჯელებთ, მეტად თავმდაბალი მწვრთნელი ყოფილა.

თავად ფინკეს იაშკას დიდი იმედი აქვს. ჩვენ აუცილებლად ბუნდესლიგაში უნდა დავბრუნდეთ, ამაში კი იაშვილი დიდად დაგვეხმარებაო — ამბობს. აღტაცებას არც კლუბის პრეზიდენტი მალავს. ბოლო, 4:2 მოგებული მატჩის შემდეგ მას იაშკას მენეჯერ კაზაკოვსკისთან დაურეკავს და მადლობის სიტყვებიც არ დაუშურებია, ეს რა კარგი ბიჭი ჩამოგვიყვანე, ჩინებულად თამაშობს და გოლიც კარგი შეაგდოო.

იაშვილის თამაში არც გერმანულ პრესას გამორჩენია. ჩვენებური უკვე ორჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში. ფრაიბურგში იაში ყველამ შეიყვარა, მას უკვე ყველა იცნობს და ქალაქის ქუჩებშიც მშვიდად ვერ გაივლის.

თავად ფრაიბურგი შვეიცარიის საზღვართან მდებარეობს. იგი ტყეში ჩაფლული ქალაქია, 400 ათასი მცხოვრებით. ჩინებული, 32-ათასიანი სტადიონი საწვრთნელად აუცილებელი მთელი კომპლექსითაა აღჭურვილი. საშინაო მატჩებში სტადიონი გადაჭედილი გახლავთ და სასიხარულოა, როცა ხშირად გულშემატკივრები იაში-იაშის ძახილით აგულიანებენ ჩვენებურს.

იაშკა ბოლო მატჩს 12 დეკემბერს ითამაშებს, თბილისში სავარაუდოდ თვის ბოლოს დაბრუნდება და უფრო ვრცლად მერე გვესაუბრება. დღეისთვის კი ეს ვიკმაროთ და იაშკას შემდგომ გოლებს დაველოდოთ.

**მამუკა ძგანტალიანი**



ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდ ალექსანდრე იაშვილს რუს თანატოლთა კარში გოლი გააქვს

# დააგვიანდათ?

საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი, 34 წლის დიმიტრი კუდინოვი ქუთაისის „ტორპედოს“ სურსო, ვიუწყებოდით. სერგო კუტივაძემ ჯერ კიდევ სექტემბერში, გუნდში მოსვლისთანავე სთხოვა კლუბის მესვეურთ, დაცვის გასაძლიერებლად ევებ ეს ფეხბურთელი გადმოვიბიროთო.

სოჭის „ჟემჩუჟინამ“ კუდინოვი წელს აიყვანა. დიმიტრიმ კარგად დაიწყო, მაგრამ მერე მუხლის ტკივილმა შეაწუხა და სამკურნალოდ შეიქნა, ოპერაციაც დასჭირდა. ახლა ტრავმა მოუშუშდა, თავს კარგად გრძნობს და საკუთარი საქმეების მოგვარებაზე ფიქრობს. მართალია, „ჟემჩუჟინას“ მისდამი ინტერესი არ დაუკარგავს, მაგრამ თავისუფალ აგენტ კუდინოვს სოჭში ბინის პრობლემა ვერ გადაუწყვიტეს და მანაც გუნდიდან წასვლა განიზრახა. გაუგებარი არაფერი რჩება და სხვებზე ადრე კუდინოვს პირველლიგელი სტავროპოლის „დინამოს“ მწვრთნელი სტუკალოვი შეხმიანებია — ჩამოდი, კარგ ბინასაც მოგცემთ და არც სხვა რამეზე დაგწყვეტთ გულსო.

— მე რომ სოჭიდან აქეთ გამოვწიე, კუდინოვი სტავროპოლში გასამგზავრებლად ემზადებოდა — გვითხრა „ჟემჩუჟინას“ მწვრთნელ-სელექციონერმა მალხაზ მენაბდემ — არ არის გამორიცხული, რომ იგი „დინამოში“ დარჩეს. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ფეხბურთელზეა. კუდინოვის „ტორპედოში“ გადმოსვლას რაც შეეხება, ამის თაობაზე ქუთაისელთა თხოვნით მე მას პირადად გავესაუბრე. კუდინოვი დაინტერესდა კიდეც წინადადებით, მაგრამ ეს ყველაფერი ამ ორი თვის წინ იყო. მას შემდეგ „ტორპედოდან“ კუდინოვს არავინ შეხმიანებია და არც უნდა გაგიკვირდეთ, რომ თუ იგი „ჟემჩუჟინაში“ არ დარჩა, „ტორპედოს“ ნაცვლად სხვა გუნდში ამოჩნდეს.

**იუზა ძაციტაძე**

# შინიკზე არც მიფიქრიაო

„ალანიიდან“ აყრილ საქართველოს ნაკრების კაპიტანს, კახი ცხადაძეს ევროპისკენ უჭირავს თვალი. მას უკვე შესთავაზეს „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლა. მისივე თქმით, მენეჯერი ჰოლანდიისა და ინგლისის სხვა გუნდებთანაც აწარმოებს მოლაპარაკებას და ჩვენებური რუსეთის ჩემპიონატში დაბრუნებას აღარ აპირებს, მიუხედავად „სპორტ-ექსპრესის“ განცხადებისა, ცხადაძე „შინიკში“ ითამაშებსო. ფეხბურთელს ამ ცნობის კომენტარი ვთხოვეთ და მან გვითხრა: „ეს ყველაფერი ტყუილია, „შინიკის“ არც ერთი წარმომადგენელი არ დამლაპარაკებია და ასეც რომ ყოფილიყო, იქ წამსვლელი მაინც არ ვარ“.

# ბათუმის პატრონი მერია იქნება

როგორც „ბათუმის“ საფეხბურთო კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა მევლუდ ცინარიძემ გვაცნობა, ამიერიდან ბათუმელ ფეხბურთელებზე ქალაქის მერია იზრუნებს.

აქამდე „ბათუმს“ როგორც ასეთი მუდმივი სპონსორი არ ჰყოლია, ხან ვინ დაეხმარებოდათ, ხან ვინ. უმეტესად ისევ ასლან აბაშიძის იმედად იყვნენ. ახლა კი ბათუმური კლუბის ფინანსურ-მატერიალურ უზრუნველყოფას ქალაქის მერის ასლან სმირბას ხელმძღვანელობით მთლიანად მერია ითავებს.


# იყიდება

61 სმ დიაგონალის ფერადი ნახევარგამტარებიანი ტელევიზორი „რუბინი-ც281“ კარგ მდგომარეობაში, დეციმეტრული და პალ-სეკამის ბლოკებით. ფასი — 160 ლარი.

დარეკეთ: 95-22-56 საღამოს საათებში, იკითხეთ სანდრო.

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია

რეკლამის დამზადება

1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება

კომპიუტერული მომსახურება

ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება

25% ფასდაკლებით!!!

მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.

ტელ. 95 96 56

# დავით ცომაია: ფეხბურთში ბოლომდე დახარჯვა სისულელეა

**ნახევარმცველ დავით ცომაიას ახალი თაობის ფეხბურთელი არ ეთქმის. ყოველ შემთხვევაში, ახალი ახალ თაობისა ნამდვილად არაა. კარგა ხანს იყო მისკენ მიპყრობილი ქომაგთა იმედის თვალი, არადა, დღეს ცოტას თუ ახსოვს. ახსოვს გამუდმებით, თორემ მის ჟინს, მონდომებას, ჭკუას, ერთად აღებულ თამაშის მანერას დიდხანს ვერ დაივიწყებენ. თუნდაც იმიტომ, რომ იგი იშვიათი ტიპია, ყველა ღირსეული შტრიხით შემკული.**

**მას „გურიასთან" ერთად დიდი ბრძოლები გადაუტანია, ჩემპიონობისთვის მებრძოლ „კოლხთა" შორისაც გამორჩეული იყო, „სამტრედიაშიც" ნაბიჯიდა დააკლდა პირველობას. მოულედ, უოქროსმედლოდ დარჩა, თორემ საყრდენთა შორის კარგა ხანს პირველობდა და საქართველოში ახლაც პირველია.**

**კარგა ხანია, მასთან გულახდილი საუბარი მსურდა. ასეთ დროს აჩქარება ცუდი მეგზურია. და მაინც, წადილის ასრულება ბევრად დამიგვიანდა. ერთი ისიც იყო, რომ დათო ტელეფონით ვერ მოვიხელთე, უბრალო მიზეზის გამო — ახლახან დაიდგა. ბევრი კი მის ადგილზე კარიერას მოიწყობდა, მშვიდ და უზრუნველ ცხოვრებას ჩაეუყრიდა საფუძველს, მაგრამ ასე არ მოხდა. ბედმა უმუხთლა თუ თავად დააკლო რამე? უნებურად აარიდეს თვალი თუ ძალით ? ყველაზე უკეთ ეს თავად უწყის. სხვა კი იოლად მიხვდება, რომ საუკეთესო წლები დათოს უკან მოუტოვებია და მათ განმეორებას ისევ თავისი გამორჩეულობის წყალობითღა თუ შეძლებს.**

**— რაღას ელი ფეხბურთისგან?**

— არაფერს. ახლის დამტკიცებას არ ვაპირებ. ვთამაშობ გარკვეული ანაზღაურების საფასურად.

**— სხვა მიზანი აღარ დაგრჩენია?**

— რა ვიცი. ვმუშაობ ფეხბურთში და სხვა დაინტერესება არ გამაჩნია.

**— ძველ მიზანზე ხელი ჩაიქნიე?**

— რომელზე?

**— ყველაზე მეტჯერ შენ მოგიწია ჩემპიონობისთვის გაბრძოლებამ — „გურიაში", „კოლხეთში", „ალაზანში", „სამტრედიაში" –**

— რაც იყო, იყო. გააჩნია, კიდევ რამდენ ხანს ვითამაშებ. თუ შეიკრა შესაფერისი გუნდი, კვლავაც ვიბრძოლებ. იმას კი, რაც უკვე იყო, ველარ დავიბრუნებ.

**— მძიმე შრომას რომ სტიმული არ ახლავს, არ გიჭირს?**

— რატომ არ ახლავს სტიმული?! მე ვთამაშობ და თანაც მიყვარს ჩემი საქმე. საყვარელი საქმის კეთებაში კი ფულს მიხდიან. უკეთესი რაღა უნდა იყოს. ახლა იმასღა ვცდილობ, კარგად ვითამაშო და ჩემთვის გადახდილი თანხა გავამართლო, რაც შეიძლება მეტხანს ვითამაშო, სანამ დავჭირდები და გადამიხდიან. როცა აღარ დავჭირდები, დავემშვიდობები და წავალ შინ.

**— უსიამოვნო გასახსენებელია, მაგრამ იყო ისეთი მონაკვეთი, როცა იძულებული გახდი, მეორე ჯგუფში გეთამაშა. ეს ძალიანაც მოულოდნელი იყო — ბევრი იუკადრისებდა.**

— იმ მომენტში სამი-ოთხი წინადადება მქონდა, მაგრამ ვერ მოვილაპარაკეთ. ზოგსაც ფული არ ჰქონდა და ვერ ბედავდა. მოკლედ, მე რომ მაწყობდა, ისეთი პირობები მხოლოდ მეორე ჯგუფელმა „კოდაკომ" შემომთავაზა. თანაც ამ გუნდს ჩემი მეგობარი დავით კერესელიძე თავკაცობდა და გადავწყვიტე იქ მეთამაშა. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს მეორე ჯგუფი იქნებოდა თუ პირველი. მთავარია, უმუშევარი არ დავრჩი.

**— ესე იგი, ამ ნაბიჯის გადადგმა არ გაგრძნელებია?**

— რატომ უნდა მეთაკილა? ვინც ფეხბურთელია, ყველა ქვიშაზე და ასფალტზეა გაზრდილი და ზედმეტად თავის დაფასებას რა აზრი აქვს. წინადადება თუ ნორმალურია და გაწყობს, სადაც გინდა, იქ ითამაშებ. მე ამის არ მრცხვენია. მითუმეტეს, რომ ყველგან ხალხი თამაშობს და მათაც პატივი უნდა სცე.

**— ამ ნაბიჯით არაფერი წაგიგია, არადა, შეიძლებოდა, ფეხბურთს საერთოდ ჩამოშორებოდი იმის ფიქრით, თუ პირველ ჯგუფში არა, საერთოდ არ ვითამაშებო.**

— ამასობაში ყველას დავავიწყდებოდი. ერთი და ორი წელი რომ გამცდენოდა, ვილას ვეხსომებოდი. იმ დროს დაკარგულად არ ვთვლი. იქაც საჭიროა ნახო, რა ხდება.

დათო ცომაიასთან საუბრისას მისთვის კიდევ ერთ უსიამოვნო თემას უნდა შევხებოდი. ამაზე ლაპარაკი არ ისურვა, ეტყობა, ჯერაც გვარიან ხინჯად შერჩენია. რატომ ჩამოაშორეს ცომაია ნაკრებს, ზეირიანად არავინ უწყის. არადა, ახალშექმნილ საქართველოს ნაკრებში იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მხოლოდ ბოლო შეხვედრა გამიცუდდაო, რომელიც კვიპროსზე ტრავმირებულს უთამაშია.

**— არ გიცდია დათხოვნის მიზეზის გაგება?**

— არ მიცდია. არასდროს მიფიქრიაგინდა თუ არა ნაკრებში უნდა ვიყო-მეთქი. თუ ვიქნები, ძალიან კარგი, არადა, რა? თავს ხომ არ მოვიკლავ?

**— მას შემდეგ კარგა ხანს კიდევ პირველობდი და მაინც არ გეძახდნენ.**

— იმ დროს ჩემნაირი საყრდენი ნახევარმცველი საქართველოში ბევრი არ იყო. მე მგონი, მაშინ უფრო ნაკრებს სჭირდებოდა ცომაია, ვიდრე მე ნაკრები. ეტყობა, ვიღაცამ ის ერთი თამაში დაიხვია ხელზე, რომელიც ვერც ერთმა ფეხბურთელმა ითამაშა ხეირიანად.

**— კიდევ ელოდი გამოძახებას?**

— რომ ვთქვა, მოუთმენლად ველოდი-მეთქი, ტყუილი იქნება, რომელ კლუბშიც ვიყავი, ის გუნდი ყოველთვის პირველობისთვის იბრძოდა. მე კი ესეც მყოფნიდა.



დათო ცომაიას „პადკატს" ბევრი ვერ გაექცევა

**— როცა მარცხს განიცდიდი — პირველობას ვერ აღწევდი, განსაკუთრებულად მოქმედებდა შენზე?**

— ყველა მარცხი გარკვეულ დონეზე მოქმედებს. ვიდრე მორიგ თამაშს არ მოიგებ, თავს კარგად ვერ გრძნობ. ფეხბურთი კი ასეა — ხან წააგებ, ხან მოიგებ. სანამ არ მოიგებ, ვერა ხარ, ესეც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოქმედებს. მერე კი მხოლოდ სინანულის გრძნობა რჩება. აბა, რა? თავს ხომ არ მოიკლავ? უფრო სერიოზული რამისთვისაც ვერ იკლავს კაცი თავს. რა თქმა უნდა, დასანანი იყო, მაგრამ რას იზამ, ასე იყო თუ ისე, ვერ ვხდებოდი ჩემპიონი.

ერთობ სინანულნარევი საუბარი კი გამოგვივიდა, მაგრამ თავიდანვე შევთანხმდით, უსიამოვნო თემების გროვაში ჭეშმარიტების მარცვალი მაინც გვეპოვა. სასაუბროდ მაშინ შევხვდით, როცა დათო მსაჯთან უცენზურო კამათისთვის მისჯილ სამთამაშიან დისკვალიფიკაციას იხდიდა, მორიგი კითხვაც დროული და გასაგები იყო.

**— მსაჯებს რის შემდეგ გადაემტერე?**

— არცა ვმტრობ. უბრალოდ მსაჯის შეცდომას ხანდახან მდგომარეობიდან გამოვყავარ. ისეთი ხასიათის არ ვარ, მსაჯის ყველა გადაწყვეტილებას რომ ვაკრიტიკებდე. უბრალოდ, ფეხბურთი ემოციური თამაშია და თუ შენც ემოციური და ჟინიანი მოთამაშე ხარ, ყველაფერს უნდა განიცდიდე. როცა მსაჯის დაინტერესებას ხედავ, ვერ ითმენ. ძნელი მოსათმენია, კაცი რომ თვალებში გიყურებს და გწვავს, როგორ უნდა მოითმინო, ადრე სამ მანეთად რომ მსაჯობდნენ, ბევრს ვერც მოსთხოვდი. ახლა კი ნორმალური გასამრჯელო აქვთ და უკვე მოეთხოვებათ კიდეც.

**— ერთ-ერთი ყველაზე ახალი და თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება კარგი გუნდი დაიჩაგროს, „სამტრედია" იყო. ამ საკითხს კონკრეტული მსაჯის შეცდომებად განიხილავ, თუ ფიქრობ, გარდაუვალია და ასე უნდა მომხდარიყო.**

— ჩემგან დაკონკრეტება ამ საკითხს არც სჭირდება. ყველამ კარგად იცის, როგორ მოხდა და რა, თუ არ იციან, გამოდის, არ უნდათ გაიგონ. ყოველი მათგანის სინდისზე იყოს. ვინც „სამტრედიასთან" მტყუანია, თავის გულში ჩაიხედოს. მე მგონი, პირიქით, უნდა მისალმებოდნენ იმ ფაქტს, რომ „დინამოს" გარდა სხვაც გახდებოდა ჩემპიონი. ჩვენთან, ეტყობა, უმრავლესობა მაინც ასე ფიქრობს, რომ „დინამო" უნდა ყოფილიყო. ასეთი მიდგომით სხვებსაც გული გაუტყდებათ. რომ შეხედავენ, ფეხბურთში ფულის ჩადებას აზრი არა აქვს, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეთ, განზრახვაზე ხელს აიღებენ.

**— თვლი, რომ დღევანდელ ქართულ ფეხბურთში ფულის დაბანდებას აზრი არა აქვს?**

— არც ვიცი, რა ვთქვა, მეც არ ვიცი. ფეხბურთი ვისაც უყვარს, ალბათ, მაინც ჩააბანდებს. გააჩნია, რამდენი აქვს — ბოლო კაპიკის ფეხბურთში ჩადება რომ არ შეიძლება, ამას თქმა არ უნდა. თუ საშუალება გაქვს, რა თქმა უნდა, ჩადებ, მაგრამ ჩემპიონობისთვის...

**— გამოდის, ჩემპიონობას „დინამოს" გარდა ვერავინ შეძლებს?**

— რატომაც არა. შეძლებს, მაგრამ ძალიან უნდა სჯობდეს. და ცოტათი თუ სჯობს, რატომ არ უნდა გახდეს ჩემპიონი, ხომ სჯობს?!

**— როგორ მოხდა, რომ ყოველთვის „დინამოს" მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყავი?**

— თავისთავად მოხდა — სხვაგან უკეთეს პირობებს მთავაზობდნენ.

**— როცა დაპირებული არ შეგისრულეს, რა გააკეთე?**

— როცა ჩემს პირობებს არ ასრულებენ, ჩანთას ვალაგებ და შინ მივდივარ. „სამტრედიიდანაც" ასე წამოვედი. მაგრამ ჩემი სარგო თანხა მაინც აეილე.

**— სამომავლოდ მწვრთნელობას თუ აპირებ?**

— ენახოთ, რა იქნება. თუ შეიქმნა შესაფერისი პირობები...

**— აქაც პირობები...**

— აბა, მე ენთუზიასტი არა ვარ. არც ვინმეს მოვატყუებ ასეთი და ასეთი მწვრთნელი ვიქნები-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, მონდომებას არ დავაკლებ და რა გამომივა, ენახავ.

მას მონდომებას მართლა ვერავინ წაართმევს, როგორც ყველა მატჩს ერთნაირი სერიოზულობით ეკიდება, მწვრთნელობასაც თუ ასე მისდია, საქმე უეჭველად გამოუვა, საამისო ცოდნა-გამოცდილება საკმაოდაც აქვს, მაგრამ აქამდე ჯერ ადრეა, რადგან ფეხბურთელი დავით ცომაია ჯერაც სჭირდებათ. სჭირდებათ და უხდიან. უხდიან და მუშაობს.

**ვახტანგ გზირაძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიელმა** კარლოს ალბერტო პარეირამ შესაძლოა მსოფლიოს ჩემპიონატზე საუდის არაბეთის გუნდს უხელმძღვანელოს. 55 წლის ბრაზილიელი დღესდღეობით ამერიკული გუნდის „მეტროსტარზის" მწვრთნელია. 80-იან წლებში იგი უკვე თავკაცობდა საუდის არაბეთის გუნდს, მერე კი ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა. ამჟამად საფრანგეთში, მსოფლიოს ნაკრების გასაწვრთნელად მყოფ პარეირას არაბები შეეხმიანნენ, მან კი — მოსაფიქრებელი დრო მჭირდებაო. დღესდღეობით არაბეთის ნაკრები უმწვრთნელოდაა. შესარჩევი ტურნირის შუა პერიოდი იყო, პორტუგალიელი ედუარდო ვინგადა ნაკრებიდან რომ გაუშვეს უხეიროდ ასპარეზობის გამო. გუნდი შესარჩევ ტურნირში საუდის არაბეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა, გერმანელმა ოტო პფისტერმა ამარჯვა, მაგრამ შემდეგ იგი ისევ ახალგაზრდებს დაუბრუნდა.

**გერმანიის თასის მეთექვსმეტედფინალის სამი შეხვედრა გაიმართა სამშაბათს: დუისბურგი — აინტრახტი 1:0, ჰონვერ 96 — კარლ ცაისი 1:1, ულმ 1846 — შტუტგარტი 1:3**

**იტალიის** სერია A-ს გუნდმა „ბრეშიამ" ზედიზედ მეოთხე დამარცხების შემდეგ მთავარი მწვრთნელი ჯუზეპე მატერაცი გაანთავისუფლა. კარგად დაწყებული სეზონის შემდეგ გუნდმა წარუმატებლად დაიწყო თამაში. მატერაცის გაშვება კი „ბარისთან" 1:2 წაგებამ გამოიწვია. მის მოვალეობას დროებით „ბრეშიას" სათადარიგო გუნდის მწვრთნელი პაოლო ფერარიო შეასრულებს.

**ინგლისის** ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ტერი ვენეიბლზმა, მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალია მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გავიდა, შესაძლოა მაინც გაწვრთნას მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფინალისტი. საუბარია ნიგერიის ნაკრებზე. მარსელში, ტურნირის ფინალური ეტაპის წილისყრაზე მყოფმა ნიგერიის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარემ, კოლონელ აბდულმუმუნი ამინუმ ინგლისურ „დეილი ტელეგრაფს" განუცხადა, ჩვენ ვენეიბლზს აუცილებლად შევეხმიანებით და იმედია, დაგვთანხმდებაო.

**ესპანეთის** თასის მესამე წრის პირველ მატჩში ლიდერთა რიგხვამ „ლას პალმასმა" 3:2 დაამარცხა „მალიორკა", არადა, თავიდან 0:2 აგებდა. ქვეყნის თასის შარშანდელმა ნახევარფინალისტმა გათამაშებას უკვე გამოთიშა „ტენერიფე".

**ინგლისის** „ლიდსის" თავკაცმა ჯორჯ გრეჰმმა კლუბთან ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც იგი ალბიონზე ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მწვრთნელი გახდა. ახალი კონტრაქტის თანახმად, გრეჰმი წელიწადში მილიონ 700 ათას დოლარს მიიღებს. 53 წლის შოტლანდიელმა განაცხადა, დღეს ჩემზე ბედნიერი არავინაა, რადგან იმ გუნდს დავუკავშირდი, რომელსაც ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალუძსო. 1995 წელს გრეჰმი „არსენალმა" გაანთავისუფლა სატრანსფერო ხრიკებში მონაწილეობისათვის. იმ ცხრა სეზონის მანძილზე, რაც გრეჰმმა „არსენალში" გაატარა, ლონდონურმა გუნდმა ორ-ორჯერ მოიგო ჩემპიონობა და ლიგის თასი, ხოლო ერთხელ ასოციაციის და თასების თასი.

**პორტუგალიის** ჩემპიონატის ბოლო ტურის უკანასკნელ მატჩში „პორტუმ" ბრაზილიელი თავდამსხმელის, მარიო ჟარდელის ჰეთ-ტრიკის წყალობით 5:2 სძლია „ფარენსე" და ლიდერობა ხუთ ქულამდე გაზარდა. ორშაბათს გამართულ კიდევ ერთ მატჩში „ლეცამ" 1:0 დაამარცხა „სპორტინგი".

**საბერძნეთის** ჩემპიონატის ბოლო ტურის უკანასკნელ მატჩში, ათენში, „ოლიმპიაკოსმა" 3:1 სძლია „პანათინაიკოსი" რასაც, გულშემატკივართა აღშფოთება მოჰყვა. პირველსელთა მოგებით გაავებულმა „პანათინაიკოსის" მხარდამჭერებმა სტადიონზე ცეცხლი დაანთეს, თან პლასტმასის სკამები დაამტვრიეს და მინდორზე ისროლეს. პოლიციელთა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და [illegible] ერთი საათის შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა. შედეგად [illegible] სკამები [illegible] ძლიერ დაზიანდა და თან 30-მდე გულშემატკივარი დაშავდა.

**ჩილელი** მწვრთნელი ვისენტე კანტატორე ამიერიდან ლისაბონის „სპორტინგს" უთავკაცებს ოკტავიო მაჩადოს ნაცვლად. არგენტინაში დაბადებული 62 წლის კანტატორე სეზონის დასაწყისში გაანთავისუფლა ესპანურმა „ვალიადოლიდმა" და მას შემდეგ უმუშევარი იყო. „სპორტინგს" სეზონის წინ დიდი გეგმები ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი აეშალა, რასაც უმთავრესად ოკტავიო მაჩადოს გუნდიდან თვითნებურ წასვლას უკავშირებენ.

**დანიელი** ოლე ტობიასენი, რომელიც „აიაქსში" თამაშობს, ექვსი თვის მანძილზე ბურთს ვეღარ გაეკარება, რის გამოც, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატსაც გამოტოვებს. 22 წლის მცველმა ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „სიტარდთან" თამაშისას მარცხენა მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო.

**იტალიის** „იუვენტუსს" დეკემბერში ტრავმები დაებედა. გუნდს წამყვანი მოთამაშეები რამდენიმე კვირით დააკლდებიან, ხოლო ოთხის ბედი უკვე გადაწყდა — ისინი ჩემპიონთა ლიგაში, „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ ველარ ითამაშებენ. ნიკოლა ამორუზომ ფეხი მოიტეხა, დელ პიერო დისკვალიფიცირებულია, ხოლო დიდიე დეშამპს თამაში ექიმებმა აუკრძალეს. მას მარჯვენა ბარძაყის კუნთი დასჭიმვია. ასევე ვერ ითამაშებს ჯანლუკა პესოტო, რომელმაც „მილანთან" მატჩში მცირე ტრავმა მიიღო. მიუხედავად ამისა, მოსალოდნელია, რომ ტურინულ გუნდში ჰოლანდიელმა ედგარ დევიდსმა ითამაშოს. მეტსახელად „პიტბულმა" დევიდსმა განაცხადა, შესაძლოა, „იუვენტუსთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გავაფორმოო. კლუბს კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ აპენინური პრესის ცნობით, დევიდსი „იუვენტუსში" წელიწადში მილიონნახევარ დოლარს მიიღებს.

**ირლანდიის** ნაკრების მწვრთნელმა მიკ მაკკართიმ ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და იგი გუნდის სათავეში 2000 წლის ივლისამდე დარჩება. „მილუოლის" ყოფილმა თავკაცმა განაცხადა, ჩვენი მიზანი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე უეჭველი მოხვედრააო.

**უელსელმა** დინ სონდერსმა ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბები გამოიცვალა. ამიერიდან იგი „ნოტინგემის" ნაცვლად „შეფილდ იუნაიტედში" ითამაშებს. უელსელმა ახალ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ფრანგი** ვინსენ გერენი დოპინგზე ერთი თვის კი წინ დაიჭირეს, მას შემდეგ მისი ანალიზების შემოწმებას მოუნდნენ. ხელახალმა ტესტმა დაამტკიცა, რომ გერენმა მართლა მიიღო აკრძალული პრეპარატი ნანდროლონი. მას საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციისგან 18-თვიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

**ბელგიის** ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა „ანდერლეხტმა" ორკვირიანი წარუმატებლობის შემდეგ მთავარი მწვრთნელი, რენე ვანდერეიკენი გაანთავისუფლა. კლუბის წარმომადგენელმა განაცხადა, ახალი თავკაცის ვინაობას უახლოეს ხანებში დავასახელებთ, მანამდე კი გუნდს ვანდერეიკენის ასისტენტი ჟან დოქსი უხელმძღვანელებსო. ამ სეზონში ვანდერეიკენი ბელგიის ჩემპიონატში მეოთხე სამუშაოდაკარგული მწვრთნელია. გუნდის ხელმძღვანელობამ გუშინ მწვრთნელობის კანდიდატად, ოქტომბრის ბოლოს, როტერდამის „ფეიენოორდიდან" განთავისუფლებული არი ჰაანი დაასახელა. ჰაანი 70-იანი წლების ბოლოს „ანდერლეხტის" ღირსებას იცავდა, ხოლო 1985-87 წლებში წვრთნიდა კიდეც კლუბს.

**იუგოსლაველი** პრედრაგ მიატოვიჩი შესაძლოა სამ-ოთხი კვირით ჩამოშორდეს ფეხბურთს. მადრიდის „რეალის" თავდამსხმელს ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ვიგოს „სელტასთან" 3:1 მოგებულ შეხვედრაში მეტოქე უხეშად ეთამაშა და გული შეუწუხდა, ოთხი წუთი უგონოდ იყო. თუმცა, ტრავმა არც ისე მძიმე აღმოჩნდა, მას მხოლოდ ბარძაყს კუნთი ჰქონდა დაჭიმული.

# დორტმუნდი. პლანეტის უმაღლესი მწვერვალი

ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე საკონტინენტთაშორისო თასის მაძიებლებმა, გერმანულმა „ბორუსიამ“ და ბრაზილიურმა „კრუზეირომ“ ბურთი რომ გააგორეს „ბორუსიას“ მშობლიურ ქალაქ დორტმუნდში დილის 10 საათი იყო. მიუხედავად დილის სუსხისა, „ვესტფალენშტადიონზე“ 10 ათასი გულშემატკივარი მივიდა და იქ დამონტაჟებულ უზარმაზარ ეკრანზე იხილა ის რისი ნახვაც ასე ეწადა — „ბორუსიამ“ კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. სწორედ ასე უწოდებენ იმ თასის მფლობელს, რომელსაც ხშირად საკონტინენტთაშორისო ან ტოიოტას თასს ეძახიან.

ტოიოტას თასზე, ტოიოტას სამშობლოს დედაქალაქში, ანგარიში 34-ე წუთზე გაიხსნა. საგოლე შეტევა მარცხენა ფრთაზე ანდრეას მიოლერმა წამოიწყო, მან ბურთი შტეფან შაპუიზას გადასცა, რომელიც მცველს გასცდა და გასის გასწვრივ გადააგდო ბურთი, სადაც ყველას მიხაელ ცორკმა დაასწრო. „კრუზეიროს“ მეკარე დიდა ვერაფერს გახდა.

შესვენების შემდეგ „კრუზეირომ“ მთელი ძალით შეუტია. გერმანელებმა უკან დაიხიეს და დაცვაში გამაგრდნენ. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ მათ მცველთა შორის გამოირჩეოდა ბრაზილიელი ჟულიო სეზარი, რომელიც საიმედოდ ბოჭავდა ძველ მეგობარს ბებეტოს. 68-ე წუთზე სამხრეთ ამერიკელთა მცველმა ვიქტორმა იუხეშა, მსაჯსაც შეედავა და წითელი ბარათი მიიღო. ამას ის მოჰყვა, რომ დორტმუნდელების კონტრშეტევები უფრო სახიფათო გახდა და 85-ე წუთზე შედეგიანადაც დამთავრდა: პორტუგალიელი პაულუ სოუზას საუცხოო პასით ჰაიკო ჰერლიხმა მეორე და ბოლო გოლი შეაგდო კონკურენტთა კარის ბადეში.

— დღეს, მატჩის ყველაზე ღირებული ფეხბურთელის ჯილდოს ჩემი გუნდის უკლებლივ ყველა ფეხბურთელი იმსახურებს. ყველა მათგანმა საგანგებოდ მოინდომა და თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინა — განაცხადა მატჩის შემდეგ „ბორუსიას“ იტალიელმა მწვრთნელმა ნევიო სკალამ.

დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე“ კი ზეიმი გაიმართა. განსაკუთრებით კმაყოფილი ის 2 ათასი გულშემატკივარი გახლდათ, რომლებმაც არ დაიზარეს და პირველები, დილის 7 საათზე მივიდნენ სარბიელზე. მათ ხომ თავიანთი საყვარელი გუნდის მაისურები უფასოდ ჩამოურიგდათ.

ამრიგად ევროპულმა გუნდმა მეთექვსმეტედ მოიპოვა თასი, რომელსაც „ბებერ კონტინენტზე“ თავიდან საგანგებო ყურადღებით შესაძლოა არც ეკიდებოდნენ, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, თანდათან ვითარება იცვლება. სამხრეთ ამერიკელთა უპირატესობა ნათელია, მათ 20-ჯერ ეპყრათ ხელთ საკონტინენტთაშორისო ჯილდო, რომლისთვისაც თუკი ადრე ორი ან სამი თამაში იმართებოდა, 1980 წლიდან ერთ მატჩში წყდება ყველაფერი. ეს მას მერეა, რაც საქმეს დიდმა იაპონურმა საავტომობილო კონცერნმა „ტოიოტამ“ მოჰკიდა ხელი.



REUTERS ფოტოქრონიკა

ელიველტონმა ფროინდს და კომპანიას ვერაფერი მოუხერხა

## საკონტინენტთაშორისო თასას ყველა გათამაშება

| | | |
|---|---|---|
| 1960 | რეალი — პენიაროლი | 0:0, 5:1 |
| 1961 | პენიაროლი — ბენფიკა | 0:1, 5:0, 2:1 |
| 1962 | სანტოსი — ბენფიკა | 3:2, 5:2 |
| 1963 | სანტოსი — მილანი | 2:4, 4:2, 1:0 |
| 1964 | ინტერი — ინდეპერდიენტე | 0:1, 2:0, 1:0 |
| 1965 | ინტერი — ინდეპენდიენტე | 3:0, 0:0 |
| 1966 | პენიაროლი — რეალი | 2:0, 2:0 |
| 1967 | რასინგი — სელტიკი | 0:1, 2:1, 1:0 |
| 1968 | ესტუდიანტესი — მანჩესტერ იუნაიტედი | 1:0, 1:1 |
| 1969 | მილანი — ესტუდიანტესი | 3:0, 1:2 |
| 1970 | ფეიენოორდი — ესტუდიანტესი | 2:2, 1:0 |
| 1971 | ნასიონალი — პანათინაიკოსი | 1:1, 2:1 |
| 1972 | აიაქსი — ინდეპენდიენტე | 1:1, 3:0 |
| 1973 | ინდეპენდიენტე — იუვენტუსი | 1:0 |
| 1974 | ატლეტიკო — ინდეპენდიენტე | 0:1, 2:0 |
| 1975 | არ ჩატარებულა | |
| 1976 | ბაიერნი — კრუზეირო | 2:0, 0:0 |
| 1977 | ბოკა ხუნიორსი — მიონხენგლადბახი | 2:2, 3:0 |
| 1978 | არ ჩატარებულა | |
| 1979 | ოლიმპია — მალმიო | 1:0, 2:1 |
| 1980 | ნასიონალი — ნოტინგემ ფორესტი | 1:0 |
| 1981 | ფლამენგო — ლივერპული | 3:0 |
| 1982 | პენიაროლი — ასტონ ვილა | 2:0 |
| 1983 | გრემიო — ჰამბურგი | 2:1 |
| 1984 | ინდიპენდიენტე — ლივერპული | 1:0 |
| 1985 | იუვენტუსი — არგენტინოს ხუნიორსი | 2:1 (4:2 პ) |
| 1986 | რივერ პლეიტი — სტიაუა | 1:0 |
| 1987 | პორტუ — პენიაროლი | 2:1 |
| 1988 | ნასიონალი —ეინდჰოვენი | 1:1 (7:6 პ) |
| 1989 | მილანი — ატლეტიკო ნასიონალი | 1:0 |
| 1990 | მილანი — ოლიმპია | 3:0 |
| 1991 | ცრვენა ზვეზდა — კოლო კოლო | 3:0 |
| 1992 | სან პაულუ — ბარსელონა | 2:1 |
| 1993 | სან პაულუ — მილანი | 3:2 |
| 1994 | ველეზ სარსფილდი — მილანი | 2:0 |
| 1995 | აიაქსი — გრემიო | 0:0 (4:3 პ) |
| 1996 | იუვენტუსი — რივერ პლეიტი | 1:0 |
| 1997 | დორტმუნდი — კრუზეირო | 2:0 |

## საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი დორტმუნდის „ბორუსია“

დაარსდა 1909 წელს.
ჩემპიონთა თასი: 1997
თასების თასი: 1966
გერმანიის ჩემპიონი: 1956, 1957, 1963, 1995, 1996
გერმანიის თასი: 1965, 1989
მწვრთნელი: ნევიო სკალა
სტადიონი: ვესტფალენშტადიონი, 55 ათასი ადგილი
ყველაზე მეტი გოლი გაიტანა მანფრედ ბურგსმიულერმა — 135 (1976-83 წლები)
ნაკრებში ყველაზე ხშირად იწვევდნენ იურგენ კოლერს — 92

### გუნდის შემადგენლობა

**მეკარეები:** *შტეფან კლოსი*, 26 წლის. მართალია მეკარეთა შორის სიმაღლით ვერ გამოირჩევა და მხოლოდ 182 სანტიმეტრია, მაგრამ „ბორუსიაში“ 1988 წელს მისვლის შემდეგ გუნდის შეუცვლელ ფიგურად იქცა. მიუხედავად ასაკისა, ბუნდესლიგაში 200-ზე მეტი შეხვედრა აქვს ჩატარებული.

**მცველები:** *ვოლფგანგ ფაიერზინგერი*, 32 წლის. ავსტრიელი ვეტერანი გასულ სეზონში მათიას ზამერის დუბლიორად აიყვანეს. ივარგა კიდეც, ზამერის ტრავმის დროს საიმედოდ თამაშობს ლიბეროს პოზიციაზე.

*შტეფან როიტერი*, 31 წლის. 96 წლის ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებში ერთობ გამოიჩინა თავი. გუნდის კაპიტანია, ერთ-ერთი უსწრაფესი მარჯვენაფლანგელი. ტრავმის შემდეგ საუკეთესო ფორმა აღიდგინა.

*ჟულიო სეზარი*, 30 წლის. გამოცდილი ბრაზილიელი „ბორუსიაში“ „იუვენტუსიდან“ გადავიდა 1994 წელს. გასულ სეზონში ტრავმების გამო ბევრი არ უთამაშია. სეზარი ათლეტურია, დაცვის ცენტრში საიმედოდ თამაშობს. ახლანდელი სეზონის შემდეგ ბრაზილიაში აპირებს დაბრუნებას.

*შტეფან ფროინდი*, 27 წლის. სასარგებლო მოთამაშეა, დაცვის ფრთაზეც შეუძლია მოქმედება და უკანდახეულ ნახევარმცველადაც როიტერის მსგავსად სწრაფად ერთვება შეტევაში.

**ნახევარმცველები:** *იორგ ჰაინრიხი*, 27 წლის. დიდი სისწრაფით არ გამოირჩევა, მაგრამ თამაშის ხედვის საუცხოო უნარი აქვს. ბოლო დროს ნაკრებში მუდმივად იწვევენ.

*პაულუ სოუზა*, 27 წლის. გამოცდილ პორტუგალიელ ნახევარმცველს უფრო დაცვითი თვისებები აქვს. „ბორუსიაში“ „იუვენტუსიდან“ გადავიდა 1996 წელს, მაგრამ მას მერე ერთი ტრავმა მეორეს მოსდევდა. ახლა სრულიად ჯანმრთელადაა.

*ანდრეას მიოლერი*, 30 წლის. კარიერაში აღმასვლაც უნახავს და დაღმასვლაც. დიდებული გამთამაშებელია. ამასწინათ ორი კვირის განმავლობაში მუხლს მკურნალობდა.

*მიხაელ ცორკი*, 35 წლის. ადრე გუნდის კაპიტანი იყო. ბოლო დროს ისე ხშირად აღარ ათამაშებენ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ბოლო მატჩში, „გალათასარაის“ კარში ორი გოლის გატანამ თითქოს სიჭაბუკე დაუბრუნა.

*კრისტიან ტიმი*, 18 წლის. უნივერსალური ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელიც ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ჯერჯერობით მეტოქეთაგან ზეწოლას ბოლომდე ვერ უძლებს.

*ლარს რიკენი*, 21 წლის. რიკენი ის შემტევი ნახევარმცველია, რომელმაც ჩემპიონთა თასის ფინალში შეცვლაზე შესვლის შემდეგ პირველივე შეხებით გაიტანა გოლი. გასულ თვეში კოჭის ოპერაცია გაიკეთა.

**თავდამსხმელები:** *იოჰან კიროვსკი*, 21 წლის. ამერიკელია, თავისი ქვეყნის ნაკრების წევრი. „ბორუსიაში“ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ შარშან გადავიდა. შეუძლია თავდასხმაში თამაშიც და შემტევი ნახევარმცველის ფუნქციების შესრულებაც.

*შტეფან შაპუიზა*, 28 წლის. შვეიცარიელ შაპუიზას გოლების გატანაც ეხერხება და ასისტენტობაც. შედარებით ჩია. ტრავმებმა ერთობ გააწვალეს, მაგრამ ფორმაც აღიდგინა და საგოლე ინსტინქტიც.

*ჰაიკო ჰერლიხი*, 25 წლის. 1995 წელს მიონხენგლადბახის „ბორუსიადან“ ძვირად იყიდეს, დიდი ვარსკვლავის სახელი ჰქონდა დაგდებული, მაგრამ გაირკვა, რომ ადაპტაციისთვის დრო სჭირდებოდა. ძლიერი ფორვარდია. აქვს საოცარი ნიჭი დროულად აღმოჩნდეს შესაფერის ადგილზე.

## ინგლისი

### გამოტოვებული მატჩი
### ბოლტონი 1:0 ნიუკასლი

**ბოლტონი:** ბრენეგენი, ფრანდსენი, პოლოკი, სელარსი, ტომპსონი, ბერგსონი, ტოდი, ფიში, უაითლოუ, ჰოლდსუორსი, ბლეიკი

**ნიუკასლი:** ჰისლოპი, ბეტი, პიკოკი, პირსი, გილესპი, უოტსონი, ჰამილტონი (ბარნსი 76), პისტონე, ლი, ქეცბაია, ტომასონი

**1:0 ბლეიკი (22)**

ლონდონელების ძლევის შემდეგ „ნიუკასლი“ „კრისტალ პალასზე“ სუსტ ბოლტონს ეწვია და უპატიებელი სამი ქულა დაკარგა — მათ თამაში ისე წარმართეს, მასპინძლებს მოგების მეტი არა დარჩენოდათ რა. სტუმრები ერთობ უნიათოდ ირჯებოდნენ და ამიტომაც იყო, თითქმის ერთი საათი სახიფათო მომენტი რომ ვერ შექმნეს, ამასობაში კი მასპინძლები ჰისლოპს მოსვენებას არ აძლევდნენ. სანამ ანგარიში გაიხსნებოდა, ნიუკასლელები უელსელი ფორვარდის, ბლეიკის დარტყმულს გადაურჩნენ, თუმცა, მალე ბლეიკმა უოტსონის და ჰისლოპის შეცდომა გოლად აქცია. შეხვედრის გადარჩენა სრულიად შესაძლებელი იყო, მაგრამ სტუმართა არეულდარეული გუნდი ამას რომ ვერ შეძლებდა, თავიდანვე ეტყობოდათ. თანაგუნდელთა დარად ვერ ითამაშა ქეცბაიამ, რომელმაც „კრისტალ პალასთან“ მოგებაში ლომის წილი დაიდო. სტუმართაგან ერთადერთი ტომასონი აქტიურობდა, თუმცა, ახალგაზრდა დანიელი ბევრს ვერაფერს გახდა.

სხვათა შორის, „ბოლტონმა“ ზედიზედ მეორედ იმარჯვა 1:0 და ორივე შეხვედრაში გოლები ბლეიკმა შეაგდო. ისე ბოლტონის „რიბოკის“ სტადიონზე ამ სეზონში გამართული ივა მატჩიდან ზანგი თავდამსხმელის გოლი, მასპინძელთათვის ოდენ მეხუთე იყო.

## პირველი დივიზიონი

### ვესტ ბრომვიჩი 0:1 სიტი

**სიტი:** მარგეტსონი, ეჯილი, ვიგენი, ბრაუნი, საიმონსი, ვიკენსი, ბრენენი, ჰორლოკი (ვან ბლერკი 4), დიკოვი, ქინქლაძე (როსლერი 89), რასელი

**0:1 დიკოვი (55)**

მანჩესტერელთა ამბავი გაუგებარია. გუნდი ლიდერებს სტუმრად ამარცხებს, აუტსაიდერებთან კი შინ მარცხდება. ამჯერად ერთობ გაკრიტიკებული ფრენკ კლარკის „სიტიმ“ ძლიერად ითამაშა და დამსახურებულად იმარჯვა, მაგრამ არც ის ითქმის, „ვესტ ბრომვიჩი“ ძლიერ განადგურდაო. მანჩესტერელებმა ერთადერთი გოლი ზუსტად განხორციელებული კონტრშეტევის შემდეგ შეაგდეს — პოლ დიკოვმა ჩემპიონატის მეხუთე გოლი ქინქლაძის გადაცემის შემდეგ გაიტანა. „სიტის“ მე-10 ნომერს თავადაც შეეძლო შეგდება, მაგრამ მეკარემ ბრწყინვალე დარტყმული აუღო.

ისე, „სიტის“ იმ დღეს ახალი კაპიტანი ჰყავდა, მაგრამ თავისი წინამორბედის, კიტ საიმონსისგან განსხვავებით კევინ ჰორლოკი უიღბლო აღმოჩნდა — იგი მეოთხე წუთზე მუხლის ტრავმის გამო გაიყვანეს მინდვრიდან.

**სხვა თამაშები:** იფსვიჩი — მიდლსბრო 1:1, შეფილდ იუნაიტედი — სტოკი 3:2

# დრონი მეფობენ

„ტოტენჰემთან“ შეხვედრისთვის დაბეჭდილი პროგრამის გარეკანზე „ევერტონის“ ხორვატი ლეგიონერი სლავენ ბილიჩი იყო გამოსახული, ქვემოთ კი წაეწერათ — რატომ არ მინდა აქედან წასვლა? შესაძლოა, ბილიჩი მართლაც არ წავიდეს გუნდიდან. არაა გამორიცხული, კარიერის დასასრულამდე მისი ერთგული დარჩეს, მაგრამ ბოლო ხანებში კარგმა თამაშმა, ქულებმა, თასებმა, ჩემპიონობამ, უკლებლივ ყველა სიკეთემ ერთხმად უგანა „ევერტონს“. კარგა ხანია, ისტორიას ჩაბარდა ლივერპულის ცისფერი გუნდის გამარჯვებები, ძისი ბრწყინვალე თამაში. 80-იანი წლების დაუმარცხებელი „ევერტონი“ 90-იანი წლების თითქმის ყველგან ძლეულმა გუნდმა შეცვალა.

ალბათ, არავის დაავიწყდება ის „ევერტონი“, რომელმაც 1985 წელს თასების მფლობელთა თასი მოიგო. გუნდი სწორედ მაშინ დაადგა მსოფლიოს საფეხბურთო ოლიმპისკენ მიმავალ გზას, მაგრამ „ეიზელზე“ მომხდარმა ტრაგედიამ „ევერტონს“ ჩემპიონთა ჩემპიონობა არ დააცალა. თუმცა, ეს იყო წარსულში. დღეს უკვე ყველამ ვიცით, რომ იმ საყვარელი, სათაყვანებელი კლუბის მხოლოდ სახელიღა შემოგვრჩა.

1888 წელს ინგლისის საფეხბურთო ლიგა დაარსდა. „ევერტონი“ იმ თორმეტთაგანია, რომელთაც ჩემპიონატის დაწყებას საფუძველი ჩაუყარეს. მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა. გუნდმა კი ჟამთა ცვლილებას გაუძლო და მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე კრიზისი ვერ აიცილა, ინგლისის უმაღლეს საფეხბურთო ეშელონში ყველაზე მეტჯერ, 99-ჯერ ითამაშა, 1954 წლიდან კი მისი მუდმივი წევრია. გუნდს მართალია არც ისე ხშირი, მაგრამ ბრწყინვალე გამარჯვებები ჰქონდა — ჩემპიონობა, თასები, ევროთასები, მაგრამ დიდებამ ისე მოულოდნელად ჩაიარა, უკან მოხედვა ვერ მოვასწარით. ახლა ტკბილად მოსაგონარი მხოლოდ 1987 წლის ინგლისის ჩემპიონობა, 1985 წლის თასების თასია, ბოლო გამარჯვება კი 1995 წელს იყო ინგლისის თასზე. მაშინ დაუძლურებულმა „ევერტონმა“ ჩემპიონს, „მანჩესტერ იუნაიტედს“ სძლია და ჯერჯერობით ბოლო თასს დაეუფლა. ზემოთ ითქვა, რომ 1954 წლიდან გუნდი ინგლისური ფეხბურთის ელიტაშია, პირველთა შორის ასე ხანგრძლივად ყოფნა კი „ევერტონის“ გარდა არავის რგებია წილად. წელს კი რა ხდება? შეიძლება ლივერპულს პრემიერლიგაში ერთი გუნდი დარჩეს, თუმცა, საეჭვოა ქალაქის ნახევარზე მეტმა ამაზე ინაღვლოს. ისინი ხომ „ლივერპულის“ გულშემატკივრები არიან...

გუნდი ბოლო ადგილზეა. ასე კი ჯერ არ დაქვეითებულა, ასეთი ცუდი დასაწყისი კლუბს არ ჰქონია. რეალობა ასეთია, მას გავარდნა ემუქრება.

ჩემპიონატში ბოლოს „ევერტონმა“ „ტოტენჰემს“ უმასპინძლა. ლივერპულელთაგან გამარჯვების იმედი არავის ჰქონდა, რადგან ჯერ ერთი, გუნდში კარგა ხანია, აღარაა გამარჯვების მომტანი ატმოსფერო და ურთიერთობები, მეორეც — მწვრთნელ პიტერ ჯონსონს რთული დღეები უდგას. დაბნეული და საქმერეული კაცი კი აბა, რას მიაღწევს.

თამაშის შედეგი მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. პირიქით, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოველოდით. ჯერ ვეგამ დალახვრა საუთჰოლის კარი, მერე კი შეუდარებელმა ჟინოლამ. „ტოტენჰემმა“ პირველად მოიგო ახალი მწვრთნელის, შვეიცარიელი კრისტიან გროსის თავკაცობით და ნევილ საუთჰოლს იუბილე ჩაუშხამა. „ევერტონის“ ულალატო მეკარე ლიგაში 750-ედ თამაშობდა, მაგრამ 40-ს მიღწეულს სულაც არ ეზეიმებოდა. 80-იან წლებში საუთჰოლის დრო იდგა. მაშინ ჟინოლაც და ვეგაც ეზოში აგორებდნენ ბურთს, იგი კი უმაღლეს დონეზე თამაშობდა და თასებს იგებდა. თუმცა დრონი მეფობენ და არა მეფენი. წავიდა „ევერტონისთვის“ ის ტკბილი, სიხარულით აღსავსე დრო. ახლა სხვების ჯერი დადგა.

„ტოტენჰემთან“ დამარცხების შემდეგ „ჰადსონ პარკზე“ შეკრებილი გულმოკლული გულშემატკივრები თითქმის ორი საათი არ იშლებოდნენ — მწვრთნელის, პიტერ ჯონსონის გადადგომას ითხოვდნენ. პოლიციელთა ჩარევის მიუხედავად მათ კარგა ხანს არ დატოვეს საყვარელი გუნდის სარბიელი, მაგრამ მერე მაინც დაიშალნენ. მათ გულში რა ცეცხლიც ენთო, ძნელი მისახვედრი არაა. ამიტომ იყო, მეორე დღეს „ევერტონის“ ოფისთან მიტინგისმაგვარი თავყრილობა რომ გაიმართა — ხალხი, ძირითადად ძველი თაობის ფანები, ჯონსონის წასვლას ითხოვდნენ. ბოლოს მათაც მობეზრდათ ღრიალი და წავიდ-წამოვიდნენ. რა თქმა უნდა, მათი პროტესტი არ განელდება მანამ, სანამ შედეგები არ იქნება. ამას კი დრო სჭირდება.

„ევერტონის“ ყველაზე ხელხვავიანმა კაპიტანმა, კევინ რეტკლიფმა გუნდი ალმოდებულ სახლს შეადარა და თან დასძინა, თუ დროზე რაიმე არ ვიღონეთ, იგი დაიფერფლებაო. მართალია ძველი კაპიტანი, დღეს „ევერტონი“ იწვის და შველას ითხოვს. ასე გაგრძელება არ შეიძლება.

შემდეგ ტურში „ევერტონი“ ლიდსში თამაშობს, ქალაქში, რომელშიც ლივერპულელებს 1951 წლიდან არ უმარჯვიათ. გამარჯვებას არც ახლა მოველით, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ შარშანდელი დეკემბრის შემდეგ „ევერტონს“ გასვლითი მატჩი აღარ მოუგია, მაგრამ იმედია, გუნდი ზედიზედ მეექვსე მარცხს იკმარებს...

და მაინც, ნუთუ ლივერპული პრემიერლიგაში ერთი გუნდის ამარა დარჩება?

**ალან გოლდუინი „როიტერი“**

# ბედნიერები



ჯოვანი ტრაპატონი

ჯოვანი ტრაპატონიმ და ოტო რეჰაგელმა კარგად უწყიან, რას ნიშნავს „ბაიერნის“ მწვრთნელობა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ რეჰაგელისთვის მიუნხენი მხოლოდ მოგონებაა, ტრაპატონისთვის კი დღევანდელობა.

ელეგანტური იტალიელი და თავგადაკლული, დაუღალავი გერმანელი ერთმანეთს ხვალ უპირისპირდებიან. ბუნდესლიგის მორიგ ტურში „კაიზერსლაუტერნსა“ და „ბაიერნს“ შორის ცხრილის მწვერვალზე ასასვლელი ბრძოლა იმართება, ბრძოლა, რომელსაც მთელი გერმანია შეჰყურებს.

1995 წელს, როდესაც ტრაპატონი ბავარიულ კლუბს დასცილდა, გუნდის ხელმძღვანელად რეჰაგელი მიიყვანეს. მანამდე რეჰაგელს ბრემენის „ვერდერში“ სასწაულები ჰქონდა ჩადენილი. მაშ ასე, ტრაპატონის საქმე იმ ორი წლის წინ მისმა ხვალინდელმა მეტოქემ ჩაიბარა. თან როგორი საქმეა „ბაიერნის“ მწვრთნელობა? ის გერმანულ ფეხბურთში ყველაზე პრესტიჟული და იმავდროულად ყველაზე სახიფათო საქმეა. თავად განსაჯეთ, შემდგომ სეზონშივე რეჰაგელი თანამდებობიდან მოხსნეს. მოხსნეს მწვრთნელი, რომელმაც გუნდი უეფას თასის გათამაშების ფინალში გაიყვანა. მოხსნეს ზედ ფინალის წინ, ფინალისა, რომელიც „ბაიერნმა“ პრეზიდენტის, ფრანც ბეკენბაუერის თავკაცობით მოიგო. დიახ, რეჰაგელი მიუნხენიდან გააგდეს და იგი „კაიზერსლაუტერნს“ ჩაუდგა სათავეში.

ის სეზონი არც ტრაპატონისთვის გამოდგა საამაყო. იგი სამშობლოში დაბრუნდა, სუსტი „კალიარის“ გამოჯანსაღება სცადა, მაგრამ იქ ფეხი ვერ მოიკიდა და... ისევ „ბაიერნს“ დაუბრუნდა.

მას მერე ორივენი, ტრაპატონიცა და რეჰაგელიც წარმატებებს აღწევენ. მეტიც, რეჰაგელმა მორიგი სასწაული ჩაიდინა. სასწაული ასეთია: მან „კაიზერსლაუტერნი“ არა მხოლოდ დაუბრუნა ბუნდესლიგას, რამედ იქ უმაღლეს ეშელონში, ლიდერად აქცია და პირველი წრე ცხრილის სათავეშიც კი დაასრულებინა. დიახ, სათავეში. „კაიზერი“ ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ პირველ ადგილზეა, ანუ ასეთი რამ ბუნდესლიგის 34 წლიან ისტორიას არ ახსოვს. ლიგაში ახალაღზევებულები, როგორც წესი, უფრო მოკრძალებულად იქცევიან ხოლმე.

ტრაპატონიმ რაღა ჰქნა? მან „ბაიერნი“ მეთოთხმეტად გახადა გერმანიის ჩემპიონი. გარდა ჩემპიონობისა, სეზონი ბავარიულ კლუბში გაუთავებელი სკანდალებითაც იყო ღირშესანიშნავი, მაგრამ იტალიელმა ყველაფერს გაუძლო, ტიტული მოაპოვებინა და „რომაში“ გადასვლა ითხოვა, მაგრამ ვინლა გაუშვებდა.

და ტრაპატონი დარჩა. მას მშვიდი მუშაობა სურს. სულაც არ უნდა ის კოშმარი, რის გამოც ჟურნალისტებმა „ბაიერნს“ საფეხბურთო კლუბი „ჰოლივუდი“ შეარქვეს. მიუხვდით ალბათ გერმანელ მწერლებს, ისინი ჰოლივუდისეულ სკანდალურ ისტორიებს გულისხმობდნენ.

52 წლის იტალიელზე ამბობენ, კმაყოფილია იმით, რასაც დღეს ხედავსო. შესაძლოა, მისი გუნდი ბუნდესლიგის ცხრილში მხოლოდ მეორე ადგილზეა, შესაძლოა, „კაიზერსლაუტერნს“ ოთხი ქულით ჩამორჩება, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში დიდებულად ასპარეზობს. „ბაიერნი“ მეოთხედფინალში ამაყად გავიდა.

— ჩვენ დღეს უდავოდ ევროპის ერთ-ერთი უძლიერეს გუნდთაგანი ვართ — უთხრა ტრაპატონიმ ჟურნალისტებს „ბეშიქთაშთან“ სტამბოლში 2:0 მოგების შემდეგ — მართლა დიდი გუნდი სულ ერთი თუ ორი შევნიშნე. ისინი გარდა იმისა, რომ ძლიერად თამაშობენ, გზად ყველაფერს თელავენ და ასეთი მენტალიტეტი ჩვენც გვაქვს.

კაცს, რომელსაც კარიერაში უდიდესი შედეგებისთვის მიუღწევია, უმუშავია „იუვენტუსსა“ და „ინტერში“, დიდი გუნდის ამოცნობა არ შეეშლება.

ყველაზე გასაოცარი კი იცით რა არის? ის, რომ ახალ სეზონში „ბაიერნთან“ დაკავშირებით არავინ არაფერს ჰყორაობს. სკანდალი რაა, სკანდალიკოც არ ყოფილა. და გერმანულ პრესას აღარ იკითხავთ? გერმანული პრესა, რომელსაც ძალიან უყვარს მეტსახელების შერქმევა, ბავარიულ კლუბს, ჰოი საოცრებავ, საფეხბურთო კლუბ „ჰარმონიას“ უწოდებს.



ჯოვანი ტრაპატონი

ეს ყველაფერი ალბათ ძალიან აკვირვებს და აღიზიანებს რეჰაგელს. რეჰაგელი ის კაცია, რომელსაც ლიდერობა უყვარს. თუ საქმეს ხელს ჰკიდებს, ის ხელი მხოლოდ მისი უნდა იყოს. „ბაიერნში“ მუშაობის დროს კი მარტო ვინ დასტოვა? ფრანც ბეკენბაუერის ხელი სერიოზულად ფათურობდა იქ, სადაც რეჰაგელს ნერვები ეშლებოდა.

ახლა, „კაიზერსლაუტერნში“ იგი ყველაფრით თვალი, ყური და გულია.

— მწვრთნელი ვალდებულია ყოველდღე ჩაწვდეს თავისი თითოეული ფეხბურთელის სულს. ბოსი მე ვარ — აცხადებს 59 წლის რეჰაგელი.

ვარსკვლავთა გუნდის თავკაცი ყოველ ცისმარე დღე აწყდება მათ ეგოს. ეგოს, რომელიც, ხშირად იმხელაა, რა სიკაშკაშისაც ვარსკვლავი გახლავთ. ამას დაამატეთ ფრანც ბეკენბაუერი, კაცი, რომელიც ლეგენდადაა სიცოცხლეშივე ქცეული. ჰო, აქ დიპლომატის ნიჭი და რკინის ნერვებია საჭირო. დიპლომატის ნიჭი კი ოტო რეჰაგელს არ აქვს.

ტრაპატონის კი საქმისადმი თავისი, ლათინური მიდგომა აქვს. მწორედ ეს აძლებინებს. ის ხანდახან სიამაყეს თოკავს და რაღაც-რაღაცეებს ყლაპავს.

რეჰაგელი სხვა კაცია — გინდა მოიწონე, ვინდა დაიწუნე.

დღეს, რეჰაგელიცა და ტრაპატონიც კმაყოფილნი არიან თავისი სამუშაოთი. მაგრამ თუ ხვალ „ბაიერნი“ წააგებს, არაა გამორიცხული, იტალიელმა ისევ სადმე სხვაგან ყოფნა ინატროს. თუ არა და რაღაცის ჩაყლაპვა ნამდვილად მოუწევს.

ნუ დაგვავიწყდება, პირველი წრის შეხვედრა მიუნხენში „კაიზერსლაუტერნმა“ მოიგო — 1:0.

# ფრთხილად! სავარძელი თავისუფლდება

ფიფას პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა, რომელიც ივნისში გადადგება იმ თანამდებობიდან, 24 წელიწადი რომ ეკავა, ასევე 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თანაპრეზიდენტი მიშელ პლატინი თავის პოტენციურ შემცვლელად ესახება.

და მაინც, 81 წლის აველანჟმა მოკლედ მოყვა, განაცხადა ერთადერთი ოფიციალური კანდიდატი, ანუ ადამიანი, რომელმაც თავისი კანდიდატურა წესების დაცვით წამოაყენა ჯერჯერობით უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონიაო. ეს საუბარი მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრის წინა დღეს, ფიაფს მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა.

აველანჟს 8 ივნისს, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე, პრეზიდენტობის მეექვსე ვადა ელევა. თითო ვადა, მოგეხსენებათ, ოთხწლიანი გახლდათ. მან თავიდან ყველა ღონე იხმარა, რათა თავი აერიდებინა იმაზე საუბრისთვის, ვინ სურს თავის დაცარიელებულ სკამზე იხილოს, მაგრამ როდესაც ჟურნალისტებმა ოსტატურად შეაპარეს კითხვები ბლატერსა და პლატინიზე, აველანჟმა ლირიკულად დაახასიათა ორივე ღირსეული ადამიანი.



ჟოაო აველანჟი

ჯერჯერობით ბლატერს და პლატინის არ გამოუმჟღავნებიათ თავიანთი ლტოლვა ფიფას პრეზიდენტის კაბინეტისკენ, არადა, მსოფლიოს პრესაში უკვე მერამდენედ იწერება ამ ორ პიროვნებაზე და იმაზე, რომ ერთ-ერთმა მათგანმა სულაც არაა გამორიცხული, დედამიწაზე სპორტის ყველაზე გავლენიანი თანამდებობა დაიკავოს.

კანდიდატების რეგისტრაციის ვადა 1998 წლის 7 აპრილამდეა.

აველანჟმა არც იუჰანსონის მისამართით დაიშურა კეთილი სიტყვა, ამას კი დარბაზში არავინ ელოდა. შვედს ხომ ჯერ კიდევ მაშინ განაცხადა, ფიფას პრეზიდენტობა მსურსო, ბრაზილიელს თანამდებობიდან წასვლა გადაწყვეტილი რომ არ ჰქონდა. გარდა ამისა, აველანჟი და იუჰანსონი ფიფას მართვის მთელ რიგ საკითხებშიც ვერ რიგდებოდნენ.

აველანჟმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე იუჰანსონს ფიფაში მეტად პატივცემული პიროვნება უწოდა და ხაზი გაუსვა, რომ უეფას პრეზიდენტი ფიფაში მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის შეფად იყო არჩეული.

და მაინც, ბლატერზე რომ ჩამოვარდა სიტყვა, აველანჟს სხვა შთაგონება ეწვია.

— თუ მას თანამდებობა ენდომება, იგი დიდი პრეზიდენტი გახდება — საუბრობდა აველანჟი სხვადასხვა ენაზე — წამოაყენებს თუ არა თავის კანდიდატურას, ეს უკვე მასზეა დამოკიდებული. ეს ჩემი პრობლემა არ გახლავთ. თუ იბრძოლებს და გაიმარჯვებს, მე მას მხოლოდ მივესალმები, ხოლო თუ დამარცხდება, მასთან ერთად ვიტირებ.

ბლატერს პრეზიდენტობასთან დაკავშირებით არაფერი უქვამს, მან მხოლოდ ის გაიმეორა რამდენჯერმე, გენერალურ მდივნად დარჩენას ვისურვებდი თუ, რა თქმა უნდა, ახალი პრეზიდენტი ამის წინააღმდეგი არ იქნებაო.

არანაკლებ გულიანად ისაუბრა აველანჟმა მიშელ პლატინიზე.

— მან მუშაობის საუცხოო უნარი გამოავლინა, ჩინებული ორგანიზატორი და ადმინისტრატორი ყოფილა. იგი უდიდესი მნიშვნელობის პიროვნებაა და 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შეუცვლელი გახლავთ — ბრძანა ფიფას თავკაცმა — თუ პლატინი თავის კანდიდატურას წამოაყენებს, მხოლოდ ტაშს თუ დაუკრავს კაცი.

აველანჟმა ბრძანა, რომ პლატინის მისი ფეხბურთელობის დღეებიდან ეთაყვანება, როდესაც იგი მოედანზე თუ მის გარეთ სამაგალითო გახლდათ. აქ ბრაზილიელმა განმარტა, რომ გულისხმობდა არა მხოლოდ მის ნიჭს, არამედ ჯენტლმენურ დამოკიდებულებას მეტოქეებისადმი და წესების პატივისცემას.

ამბობენ, რომ შესაძლოა გამოჩნდეს კიდევ ორი კანდიდატი, აფრიკული კონფედერაციის პრეზიდენტი ისა ჰაიატუ, რომელიც კამერუნელი გახლავთ და კორეელი ჩანგ მონგ-ჯუნგი, ფიფას ვიცე-პრეზიდენტი.

აზიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა პიტერ ვილაპანმა ბრძანა:

— მაძიებელმა ფიფას კონგრესამდე 60 დღით ადრე მაინც უნდა შეიტანოს განცხადება. დღეს ჩვენ სიტუაციას ვუყურებთ და თითი მის მაჯაზე გვიდევს. თუ შევნიშნეთ, რომ სწორ გადაწყვეტილებას ვიღებთ, შესაძლოა აზიიდანაც წამოვაყენოთ კანდიდატი.

# ტიგანა შარშანდელზე ფიქრობს

წლევანდელი საფრანგეთის ჩემპიონატი ძალზე უცნაურად მიმდინარეობს. ქვეყნის ხეირიანი გუნდებიდან პირველობა ასე თუ ისე ყველამ დააჭაშნიკა და ერთი-ორი ტურის შემდეგ ლიდერი აუცილებლად იცვლება. ბოლო ტურშიც ასე მოხდა. ამჯერად პირველ ადგილზე „მონაკო“ აინაცვლა, მაგრამ წინამორბედებისგან განსხვავებით საფრანგეთის ჩემპიონატის მონაწილე ამ არაფრანგულ გუნდს და მის ფრანგ მწვრთნელს, ჟან ტიგანას ლიდერად ყოფნა კარგა ხნით განუზრახავთ. საამოსოდ კი გამარჯვებებია საჭირო.

ჩემპიონატი „მონაკომ“ უხეიროდ დაიწყო. გუნდი ვერ იყო ფორმაში და ხანდახან ისეთ მეტოქესთან წაიბორძიკებდა, უბრალოდ, სირცხვილიც კი იყო. ბევრმა ისიც იფიქრა, „მონაკოს“ საფრანგეთის 1995 და 1996 წლის ჩემპიონების — „ნანტის“ და „ოსერის“ ბედს გაიზიარებსო, მაგრამ ასე არ მოხდა. ალბათ გახსოვთ მომდევნო სეზონებში ჟან კლოდ სიუდოს და გი რუს გუნდებმაც უაზროდ რომ დათმეს ჩემპიონობა.

— „მონაკოს“ ჩავარდნა მოსალოდნელიც იყო. მე მას უფრო ადრე, გასული ჩემპიონატის ბოლო ორ-სამ ტურში ველოდი, მაგრამ მაშინ კრიზისი ავიცილეთ, ახლა კი ეს ველარ მოვახერხეთ. ჩავარდნისა არ შემშინებია. ყველა ალმართს დაღმართიც თან ახლავს. უბრალოდ, თავქვე მიმავალ გზას ბოლომდე არ უნდა ჩაჰყვე. ჭკვიანურად დაგეგმილი ვარჯიშით მდგომარეობა მალე გამოვასწორეთ. ასე რომ, „მონაკოს“ კრიზისზე საუბარი უკვე დაგვიანებულიც კია“ — განაცხადა ევროპის 1984 წლის ჩემპიონმა ტიგანამ, რომელსაც ამ სეზონში შარშანდელის გამეორება, ანუ ჩემპიონობა სურს.

მისი გუნდი მომდევნო ტურში „ლიონს“ ხვდება. მეტოქე ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არაა. ეს ლიონელთა „ინტერთან“ მოპოვებულმა გამარჯვებამაც დაადასტურა. „მონაკო“ ჩემპიონატს „მეცთან“ ერთად ლიდერობს, მეტოქე კი ამჯერად აუტსაიდერ „შატორუს“ ხვდება. ამრიგად, ტიგანას გუნდის წაფორხილების შემთხვევაში სრულიადაც არაა გამორიცხული, ჩემპიონატს ლიდერი კვლავ შეეცვალოს. სწორედ ამიტომ უნდა ტიგანას გამარჯვება. მას არ სურს მიღწეულით დაკმაყოფილება. პირველობა კი კარგია, მაგრამ როცა მდევართა შორის სხვაობა მხოლოდ ერთი ან ორი ქულაა, დიდი ყურადღება გმართებს — საკმარისია, ოდნავ ფეხი დაგიცდეს, რომ მდევრები გადაგასწრებენ და მერე უყარე კაკალი, ისევ თავიდან მოგიწევს ბრძოლის დაწყება.

— გასულ ჩემპიონატში გამარჯვება ჩვენმა ერთმა მეტად ეშმაკურმა ნაბიჯმაც განაპირობა — სეზონის შუაწელში გუნდის მწვრთნელები ერთად დავსხედით და ახალი ვარჯიშების სტრუქტურა მოვიფიქრეთ, რომლის წყალობითაც ფეხბურთელების გადაღლა და ფორმიდან ამოვარდნა გაზაფხულიდან ზაფხულში გადავწიეთ. შარშან ამან გაამართლა, წელს რატომ არ უნდა მოხდეს ასე? — განაცხადა ტიგანამ.

ისე, სიჭაბუკისას ჟან ტიგანამ საფრანგეთის ჩემპიონატში პირველი მატჩი სწორედ „ლიონის“ წინააღმდეგ ითამაშა. ის შეხვედრა აწ უკვე მწვრთნელის გუნდის გამარჯვებით დასრულდა. ახლა რა იქნებ, არავინ იცის.

# შავი რაინდი



პელე დღეს და გუშინ

2 დეკემბერს ედსონ არანტეს დე ნასიმენტო, ხალხისთვის პელედ ცნობილი ფეხბურთის მეფე, რაინდი გახდა. ბრიტანეთის დედოფალმა ელიზავეტამ ბუკინგემის სასახლეში გამართული ცერემონიის დროს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ოფიციალურად მიანიჭა ბრიტანეთის იმპერიის რაინდის წოდება. ამიერიდან პელე რაინდია.

ფეხბურთის მეფე ლონდონში იმყოფება. რაინდობის „ხელში ჩაგდების“ შემდეგ იგი „ჩელსის“ ესტუმრა და კლუბის ყველაზე უმცროს თაობასთან ერთად ცოტა ხნით ბურთიც ითამაშა, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტებზეც ისაუბრა. პელემ ჩემპიონობის კანდიდატებად ბრაზილია, გერმანია და იტალია მიიჩნია, თუმცა არც მასპინძლებს დასწყვიტა გული და განუცხადა ნახევარფინალში უეჭველად ითამაშებთო.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ფეხბურთის მეფე დღეს, მარსელში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს, მაგრამ თუ ფიფას გენერალურ მდივან იოზეფ ბლატერს ვენდობით, ფიფასა და პელეს შორის არანაირი უთანხმოება არ არსებობს, არადა ამაში ეჭვის შეტანა სავსებით შესაძლებელი იყო.

ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრაში პელეს მონაწილეობა უნდა მიეღო, მაგრამ მისმა თანამემამულე ჟოაო აველანჟმა, პელეს გვერდით დგომა არ ისურვა და კენჭისყრამაც ფეხბურთის მეფის გარეშე ჩაიარა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ პელემ 1993 წლის სექტემბერში ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, რიკარდო ტეიშეირას მიმართ უკმაყოფილება გამოთქვა. ტეიშეირა რომ აველანჟის სიძეა, ცნობილია და, ცხადია, მძლავრ სიმამრს პელეს გამოხტომები არ ესიამოვნებოდა. პელეს მაშინ ბრაზილიის სპორტის მინისტრის პოსტი ეკავა და თავს საკმაოდ ბევრ უფლებებს აძლევდა... ფეხბურთის მეფეს თავი სიზმარში ეგონა და სხვის საქმეში უცერემონიოდ ერეოდა, რის გამოც კინაღამ კისერიც წაიმტვრია. წელს ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციისადმი გამოქთმულმა კრიტიკამ და ტეიშეირას და მთელი ფედერაციის საქმიანობის შესახებ პრესაში გამოქვეყნებულმა პელეს მხილებებმა ფეხბურთის მეფე კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს. საქმე იქამდეც მივიდა, ფიფა ბრაზილიას მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოხსნას უპირებდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი დალაგდა, მტყუან-მართალი გაირკვა და პელესაც პასუხი მოეთხოვა. ბრაზილიელმა ხალხმა სიმართლე დაადგინა. პელეს მიმართ კი ძველებური სიყვარული კიდეც გაუნელდათ.

შესაძლოა, ამიტომაც მოგზაურობს ფეხბურთის მეფე ასე განუწყვეტლივ. ვინ იცის?

# ტაპის მემკვიდრენი

ფეხბურთში ბევრი ფული ტრიალებს. ფულმა შეიძლება კაცი აცდუნოს, ისეთი რამე ჩაადენინოს, მთელი თავისი სიცოცხლე სანანებელი გაუხდეს. ფულს სულ ადვილად შეუძლია ადამიანის გაფუჭება, მისი ნამდვილი ბუნების გამომჟღავნება.

მდიდარი კლუბების პრეზიდენტები ბიზნესში დიდი გაქექილი ხალხია, ზოგნი სახელის მოხვეჭას და გუნდის უძლეველად ქცევას შავბნელი საქმეებით ახერხებენ.

არ არს დაფარული, რომელი არ გაცხადდეს — ეს ბიბლიური შეგონება მოეხსენებათ თუ არა სილვიო ბერლუსკონის და მის თანამეინახეებს, ცნობილი არ არის, მაგრამ... „მილანის“ მულტ-იმილიონერი პრეზიდენტი გუშინ იტალიის საგადასახადო ინსპექციამ მათთვის შემოსავლის საკმაოდ დიდი ნაწილის დამალვასა და თანხების ფარულ ანგარიშზე გადარიცხვაში ამხილა. ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიადი გუნდის შემქმნელს 16 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თუმცა, იტალიური კანონების მიხედვით, ორ წლამდე სასჯელის საკომპენსაციო თანხით შეცვლაა შესაძლებელი. ფულში მცურავ ბერლუსკონის კი სულ რაღაც 36 ათასი დოლარის გადახდა რატომ გაუჭირდებოდა? იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა უმალ გადაიხადა თანხა და 16-თვიანი ციხეც აიცილა, ისევე, როგორც მისმა თანამოაზრე კარლო ბერნასკონიმ. ამ ორის გარდა, მაქინაციებში კიდევ სამი ამხილეს და მათაც სასჯელის სახით რამდენიმე ათასი დოლარით შეუთხელეს ჯიბე.

ბერლუსკონის შექმნილმა „მილანმა“ ხუთჯერ მოიგო ჩემპიონატი, სამჯერ ჩემპიონთა თასი, ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასი, სამჯერ ევროპის სუპერთასი და უამრავ საერთაშორისო ტურნირშიც იმარჯვა.

„მილანი“ საფეხბურთო სამყაროში იყო უძლეველი, ბერლუსკონი კი — ბიზნესში. ახლა გუნდი დაღმასვლის გზაზეა და აგერ ლამის პრეზიდენტიც დაუჭირეს.

ბერლუსკონი გადარჩა. ეშველება „მილანს“?

# დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრაა

დღეს მარსელში კენჭისყრაა. ფიფას თავკაცები და მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიის შემქმნელები თბილისის დროით საღამოს თერთმეტი საათიდან გადაწყვეტენ საფრანგეთში გასული 32 გუნდის ბედს. სანახაობა მართლაც დაუვიწყარი იქნება, მაგრამ დღევანდელ დღეს, 4 დეკემბერს, წინ თითქმის ორწლიანი ჭიდილი, ბათალღელვა, მილიონობით ფეხბურთის გულშემატკივრების თეთრად გათენებული ღამეები, უდიდესი ბრძოლა და მოთამაშეთა ნერვებისწყვეტა უსწრებდა.

და მაინც, დღეს ყველაფერი ისტორიაა. იმ 643 შესარჩევი მატჩის შედეგი მხოლოდ ფურცლებსღა შერჩა. გაირკვა 32 ფინალისტი, ფეხბურთის უპირველესი ტურნირის მონაწილეები.

გუშინწინ, 2 დეკემბერს, მარსელში ფიფამ და ამ ორგანიზაციაში შემავალი სხვადასხვა კონფედერაციების პრეზიდენტებმა კენჭისყრისწინა სხდომაზე გუნდების განთესვასა და კონკრეტულად ამ პროცესის ჩატარების ნაირსახეობაზე იმსჯელეს. შეკრებილთ უეფას პრეზიდენტი, აველანჟის სავარძლის მომლოდინე შვედი ლენარტ იუჰანსონი თავკაცობდა. სჯა-ბაასი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, რომლის უდიდესი ნაწილი იმ რვა გუნდის არჩევას დაეთმო, რომლებიც ჯგუფებში განითესებიან.

ეს საკმაოდ პრობლემური და ძნელად გადასაწყვეტი საკითხი აღმოჩნდა. ორი განთესილის ვინაობა თავიდანვე ცნობილი იყო — საფრანგეთს ეს პატივი ერგო, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელს, ბრაზილიამ კი განთესვის უფლება იმიტომ მიიღო, რომ ბოლო ჩემპიონატის გამარჯვებულია. თანაც ფიფას ნაკრებთა რეიტინგში მყარადაა პირველ ადგილზე. ისე, გერმანიასაც და არგენტინასაც განაღდებული ჰქონდა განთესვა, მაგრამ რჩებოდა ოთხი ვაკანტური ადგილი, რომლის დაკავების პრეტენზიაც ერთბაშად ათამდე გუნდს ჰქონდა — სავსებით შესაძლებელი იყო, იტალიას, ინგლისს, ესპანეთს, ჰოლანდიას, რუმინეთს, ნიგერიას, ბულგარეთს, ნორვეგიას და სხვებს ეს ადგილი უფლება მოეპოვებინათ, მაგრამ აქ ფიფამ ჭკუა იხმარა და რჩეულთა დასადგენად ორი კრიტერიუმი შემოიღო, პირველი გახლდათ საერთოდ მსოფლიოს ჩემპიონატებში, განსაკუთრებით კი ბოლო სამ ტურნირში (1986 — მექსიკა, 1990 — იტალია და 1994 — აშშ) ნაჩვენები შედეგები, მეორე განმსაზღვრელი კი ფიფას რეიტინგში დღევანდელი ადგილი იყო. ფიფამ ასე იმიტომ გადაწყვიტა, რომ გასული ჩემპიონატობისას დაშვებული შეცდომები არ გაემეორებინა. „ამ საკითხზე საკმაოდ ვიფიქრეთ და საბოლოოდ განსათესი გუნდის დასადგენად ორი რამ ვარჩიეთ. უპირატესობა ფიფას რეიტინგში მაღალ ადგილებზე მყოფ გუნდებს მივანიჭეთ, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ნაკრებთა შედეგები მსოფლიოს ბოლო სამ ჩემპიონატზე" — განაცხადა ფიფას გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა, რომლის გარეშეც ბარე ათი წელია ფიფას რაიმე ასე თუ ისე მნიშვნელოვანი სხდომა არ ჩატარებულა.

ზემონახსენები კრიტერიუმებით ბრაზილიასა და საფრანგეთის ბედის ზიარნიც გაირკვნენ. განთესვის უფლება გერმანიამ, არგენტინამ, იტალიამ, ესპანეთმა, ჰოლანდიამ და რუმინეთმა მოიპოვეს. ასე რომ, რვიდან ექვს ჯგუფში განთესილი ევროპული გუნდი იქნება. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, განთესილთა შორის ვერ მოხვდნენ ინგლისი, ნიგერია, ბულგარეთი. არადა, ამ გუნდებს საკმაოდ დიდი ამბიციები აქვთ. ინგლისი, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ არ უასპარეზია, იმიტომაც ვერ მოხვდა რჩეულთა შორის. ბულგარეთს ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ჰქონდა, მაგრამ დღეს დღეობით გუნდი ფიფას რეიტინგში შედარებით დაბლაა, თანაც 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატმა მის გარეშე ჩაიარა. რაც შეეხებათ ნიგერიელებს, მათი ამბავი გასაგებია — გუნდმა ფეხბურთის უპირველესი ტურნირი მხოლოდ 1994 წელს დააჭაშნიკა.

მოკლედ, განთესილებიც დადგინდა, თუმცა, კენჭისყრამდე ორიოდ დღით ადრე ფიფას გენერალურმა მდივანმა ბლატერმა ისიც განაცხადა, რომ ბრაზილია პირველ ანუ A ჯგუფში განითესება, ხოლო საფრანგეთი C-ში.

მარსელში, 2 დეკემბრის შეკრებაზე სხვა საკითხებზეც იმსჯელეს, მაგრამ ამაზე ქვემოთ. მანამდე კი კენჭისყრის ჩატარების დამტკიცებულ ვარიანტზე მოგახსენებთ.

საფრანგეთი 98-ის ფინალური ეტაპის კენჭისყრა პარიზის ნაცვლად მარსელში, „ველოდრომის" სტადიონზე გაიმართება, რომელსაც შოუს სახე ექნება. მონაწილეობას ბლატერთან ერთად ფრანც ბეკენბაუერი, კარლოს ალბერტო პარეირა, ჟორჟ ვეა, ჟული ფუდი, ჟან-პიერ პაპენი, რაიმონ კოპა, მარიუს ტრეზორი, ჟორჟ კარნუ და, რა თქმა უნდა, ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მიშელ პლატინი მიიღებენ. კენჭისყრა შემდეგნაირად ჩატარდება: თავდაპირველად ევროპის ცხრა ქვეყანას ცალკე განათავსებენ, აფრიკის ხუთ და კონკაკაფის სამ გუნდს კიდევ ცალკე, ხოლო მესამეში სამხრეთ ამერიკის სამი და აზიის ოთხი გუნდი მოთავსდება, სულ შვიდი. შემდეგ ჯგუფებში განთესავენ თავში ნახსენებ რვა რჩეულ ნაკრებს. ამის შემდეგ კი აფრიკის ხუთ და კონკაკაფის სამ გუნდს ჯგუფებში გაანაწილებენ, რითაც პირველ კალათას დააცარიელებენ. თუ შემდგომ კენჭი უყარეს ევროპის ქვეყნებს, მაშინ ის ერთი გუნდი, რომელიც პირველივე ჯერზე ვერ მოხვდება რვიდან რომელიმე ჯგუფში, კენჭს მესამე კალათის გუნდებთან, ანუ სამხრეთ ამერიკის და აზიის ნაკრებებთან ერთად იყრის.

კენჭისყრა ასეთი სახით იმიტომ ტარდება, რომ გამოირიცხოს ერთ ჯგუფში სამი ევროპული, ანაც ორი სამხრეთ ამერიკული გუნდის მოხვედრა. რაც შეეხება ნაკრებთა ადგილებს ჯგუფებში, იგი იმის მიხედვით განაწილდება, რა თანმიმდევრობითაც ეყრება მათ კენჭი. მაგალითად, თუ ევროპული ქვეყნები პირველი და მესამე კალათის გუნდებზე ადრე გაანაწილეს, მაშინ მათი ნომერი ორი იქნება და ა.შ.

საფრანგეთი 98 მონაწილეთათვის საკმაოდ შემოსავლიანი ტურნირი აქნება. გარდა თავთავიანთი ფედერაციებისგან შეპირებული პრემიებისა, ტურნირის მონაწილეები თითო ნათამაშევი შეხვედრის



ზეპ ბლატერი დღეს საქართველოში ფაქსების გამოსაგზავნად ვერ მოიცლის

სანაცვლოდ ფიფასგან მილიონ შვეიცარიულ ფრანკს, ანუ 698 ათას დოლარს მიიღებენ, ხოლო შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის ამ თანხას კიდევ 750 ათასი დაემატება.

შეკრებილებმა მწვრთნელთათვის საკმაოდ სასიხარულო გადაწყვეტილებაც მიიღეს — იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც შესარჩევ ტურნირში მიღებული ორი გაფრთხილების გამო საფრანგეთში პირველი მატჩი უნდა გამოეტოვებინათ, საწყის შეხვედრში თამაშის უფლება მიეცათ. ეს გადაწყვეტილება არ ვრცელდება გაძევებულ მოთამაშეებზე. უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონის თქმით, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის წინ, აშშ-შიც ასე მოიქცნენ და ამას კარგი შედეგი მოჰყვა. ამ გადაწყვეტილების მიხედვით ინგლისის ნაკრების მცველი სოლ კემპბელი, რომელიც თამაშით იყო დისკვალიფიცირებული, მსოფლიოს ჩემპიონატის პირველსავე მატჩში ითამაშებს, თუ, რა თქმა უნდა, მწვრთნელმა ისურვა. იგივე მოხდება შოტლანდიელი ჯონ კოლინზის შემთხვევაშიც.

გარდა ამისა, ისაუბრეს ტურნირის მასპინძელი სტადიონებიდან დამცავი ზღუდეების მოხსნის შესახებაც. უმეტესობა ფიფას აზრს დაეთანხმა და ტრიბუნებსა და მინდორს შორის არსებული რკინის ზღუდეები მოიხსნა, მაგრამ ნანტსა და სენტ ეტიენში ისინი მაინც არის. „მიუხედავად შეთანხმებისა, ნანტსა და სენტ ეტიენში არაფერი შეცვლილა. იმედია, შევთანხმდებით და წინაღობებს მოვშლით, რადგნან რკინის გალიები და ზღუდეები ველურ ცხოვრებას და პატიმრებს სჭირდებათ და არა ფეხბურთის გულშემატკივარს" — განაცხადა აველანჟის მარჯვენა ხელმა ბლატერმა.

მოკლედ, ფიფას თავკაცებმა და ფეხბურთის მომავალზე მზრუნველმა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებმა სამშაბათს მეტად ნაყოფიერად იმუშავეს, გუშინდელი დღე კი დღევანდელი ზეპამის წინ დასასვენებლად გამოიყენეს.

## მარსელი წილისყრისთვის ემზადება

საფრანგეთი, ქვეყანა, რომელმაც დასაბამი დაუდო მსოფლიოს ჩემპიონატებსა და მთავარ ევროპულ შეჯიბრებებს, დღეს ახალ ფარდას ხსნის — 38 000 ადამიანის თანდასწრებით, ღია სარბიელზე გაიმართება მსოფლიოს პირველობის ფინალური ეტაპის წილისყრა.

— ჩვენ გვსურს წილისყრა ფეხბურთს დავუბრუნოთ და ამისათვის მას საფეხბურთო ნაგებობაში ვაწყობთ — განაცხადა პლატინიმ, საფრანგეთი 98-ის საორგანიზაციო კომიტეტის თანაპრეზიდენტმა — წარსულში წილსყრები კაზინოებსა და საკონცერტო დარბაზებში იმართებოდა. დროა იგი საფეხბურთო სარბიელზე გავმართოთ.

პროგრამა სამ საათზე ცოტა მეტ ხანს გასტანს. იგი „სტად ველოდრომზე", ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებების თამაშით გაიხსნება, ხოლო შემდეგ მოეწყობა წილისყრა. ცენერმონიალის დაწყების დროა 16.55 (20.55 ჩვენი დროით).

წილისყრას ფიფას გენერალური მდივანი ზეპ ბლატერი წარმართავს. სხვადასხვა ქვეყნის აღმნიშვნელ ბურთულებს კალათებიდან ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავები ჟან-პიერ პაპენი და რაიმონდ კოპა, აგრეთვე ლიბერიელი ჟორჟ ვეა ამოიღებენ.

რვა განთესილი — ჩემპიონი ბრაზილია, მასპინძელი საფრანგეთი, გერმანია, იტალია, არგენტინა, ესპანეთი, რუმინეთი და ჰოლანდია — ცალცალკე განლაგდებიან რვა ჯგუფში, შემდეგ კი კენჭისყრა გეოგრაფიული პრინციპით გაგრძელდება, ისე, რომ, მაგალითად, ოთხმა ევროპულმა ან სამხრეთამერიკულმა გუნდმა რომელიმე ჯგუფში თავი ერთად არ მოიყაროს.

იყო გარკვეული შიში იმისა, რომ მისტრალმა ანუ სამხრეთ საფრანგეთისთვის დამახასიათებელმა ზღვის ქარმა, რომელიც 60 კილომეტრსაც აღწევს ხოლმე საათში, შესაძლოა, ცერემონიალს დარბაზში შესვლა აიძულოს, მაგრამ ამინდის პროგნოზი დღეისათვის მარსელელებს სუსტ ქროლვას ჰპირდება. საფრანგეთი 98-ის პრესცენტრი კი აცხადებს, რომ წილისყრა, ნებისმიერ პირობებში, ღია ცის ქვეშ გაიმართება.

სცენა 60 მეტრიანია, 700 კვადრატულ მეტრს ჰფარავს. იგი სტადიონის ერთ ბოლოში ააგეს. თანაც, 38 ათას მაყურებელს, რომელთა შორის უმეტესობა ახალგაზრდა იქნება, საშუალება მიეცემა პროგრამას ორ დიდ ეკრანზე ადევნოს თვალი.

ტელეტრანსლაცია მთელს პლანეტას მოედება. საამისოდ იმუშავებს 300 კაციანი გუნდი, რომელსაც კამერით შეიარაღებული 25 ოპერატორი მოემსახურება.

თავდაპირველად პლატინისა და მისებრ თანაპრეზიდენტს ფერნანდ სასტრს წილისყრის გამართვა ვარსკვლავთა შეხვედრის შესვენებისას სურდათ, მაგრამ ლოგიკოსებმა გადაათქმევინეს.

— მთავარი მაინდც ისაა, რომ წილისყრა ახალგაზრდებისთვის ეწყობა და სტუმართა უმრავლესობაც ახალგაზრდა გვყავს — მაინც არაა უკმაყოფილო სასტრი.

ფესტივალი კი ქალაქში წუხელ დაიწყო. მარსელის ცნობილ პორტში ჩირალი ანუ ფოიერვერკი მოეწყო. 5 ათასამდე საყვირიანმა ბავშვმა ათასობით სანთლით გაჩირაღდნებულ ავენიუ დელა კანებიეროსკენ მარშით ჩაიარა.

**მაიქლ ძოლეტი, როიტერი**

## საქმე მიეცათ

სანამ საფრანგეთში კენჭისყრისთვის ემზადებიან, ლონდონში ბუკმეიკერებს საქმე მიეცათ, დღე არ გავა, ახალი სახის სანაძლეოები არ შესთავაზონ ფეხბურთის გულშემატკივრებს. გუშინ კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესაძლო გამარჯვებულთა კოეფიციენტები გამოამზეურეს. ინგლისელები თასის მოპოვების უპირველეს კანდიდატად ბრაზილიას მიიჩნევენ, შემდეგ მასპინძლებს, თავიანთი საკმაოდ ძლიერი ნაკრები კი რატომღაც მეხუთე ადგილზე დააყენეს.

ქვემოთ უკლებლივ ყველა მონაწილის კოეფიციენტებს შემოგთავაზებთ: ბრაზილია 10-3, საფრანგეთი 6-1, გერმანია და იტალია 7-1, ინგლისი 15-2, ჰოლანდია 8-1, არგენტინა, ესპანეთი 12-1, ნიგერია, იუგოსლავია 25-1, კოლუმბია, ნორვეგია, რუმინეთი 33-1, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია 40-1, დანია, პარაგვაი 50-1, შოტლანდია 66-1, ავსტრია, კამერუნი, მექსიკა, მაროკო, სამხრეთ აფრიკა 100-1, ჩილე, კორეა, ტუნისი 150-1, იამაიკა, საუდეთი, აშშ, ირანი, იაპონია 200-1.



ნვანკვო კანუ

## ბეწვზე გადარჩენილი და სხვა ვარსკვლავები

ყოფილ აიაქსელებს ნვანკვო კანუსა და პატრიკ კლუივერტს ზეცისთვის მადლობის თქმა მართებთ, რადგან მათ დღეს, მსოფლიოს სხვა ვარსკვლავებთან ერთად გალა შეხვედრაში, ევროპა დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ, თამაში უწევთ. ორივე სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ისინი მსოფლიოს გაისინდელი ჩემპიონატის კენჭისყრის ცერემონიალის შემადგენელ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ.

20 წლის იყო ნიგერიელი კანუ, მასზე რომ თქვეს, ფეხბურთს ველარასოდეს ითამაშებსო. მას „აიაქსიდან" მილანის „ინტერში" გადასვლის შემდეგ გულის მძიმე დაავადება აღმოუჩინეს. მაგრამ კანუ არ დანებდა, აშშ-ში ოპერაცია გაიკეთა და ვარჯიშსაც შეუდგა.

კლუივერტი კანუსთან ერთად იყო იმ „აიაქსში" 1995 წელს ჩემპიონთა თასი რომ მოიპოვა. მისი საფრთხე კი სულ სხვაგვარი გახლდათ, 21 წლის ჰოლანდიელი თავდამსხმელი ძლივს გადარჩა პატიმრობას. ორი წლის წინ მას საბედისწერო ავტო-საგზაო შემთხვევა ეწია. მასდა ბედად ციხეში არ ჩასვეს, ჯარიმა და საზოგადოებრივი სასჯელი ამყოფინეს.

წლეულს კლუივერტის თავისუფლება ერთხელაც შეაგდეს თემიდის სასწორზე. სამშობლოში მას გაუპატიურებისთვის ასამართლებდნენ, მაგრამ საკანო ამჯერადაც კლუივერტის გარეშე დარჩა — სამხილები საკმარისი არ აღმოჩნდა.

დღეს კანუს და კლუივერტს, ძველ მეგობრებს, რომლებიც კარიერის განვრცობას მილანში აპირებენ — ერთი „ინტერში", მეორე „მილანში" — თავიანთი ნიჭის გამომზეურების მორიგი, საუცხოო შანსი აქვთ. ისინი მოედანზე გავლენ ისეთ ვარსკვლავებთან ერთად, როგორებიც არიან რონალდო, გაბრიელ ბატისტუტა, პოლ ინსი და ზინედინ ზიდანი. ამ შეხვედრას მთელი დედამიწა ადევნებს თვალს.

ვარსკვლავთა გუნდების მწვრთნელები იქნებიან ფრანც ბეკენბაუერი და კარლოს ალბერტო პარეირა, ხალხი, რომელთაც მსოფლიოს თასი აღუმართავთ. თამაშში, რომელიც მარსელის „ველოდრომზე" გაიმართება, მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი ოცდათორმეტივე გუნდის წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ კენჭისყრა ისტორიაში პირველად ეწყობა საფეხბურთო სტადიონზე.

სხვათაშორის, ამ შეხვედრაში მონაწილეობა იუარეს იუგოსლავიელმა დე[...]ან სავიჩევიჩმა და კოლუმბიელმა კა[...]რლოს ვალდერამამ, ვერ შეძლო მარსე[...]ლში ჩასვლა რამდენიმე სხვა მოთამაშ[...]მაც, მაგრამ მიუხედავად სამწუხარო და[...]ნაკლისისა, იქ მრავლად მოიყარეს თავ[...]ისეთმა ვარსკვლავებმა, რომლებიც სა[...]ფეხბურთო ფესტივალს ნამდვილად და[...]ამშვენებენ. ირანელი მეჰდი ფაშაზად[...]ევროპის ნაკრების მაისურს ჩაიცმევს.

ევროპა: ანდრეას კეპკე (გერმანია), ჰაიტმო ფაიფენბერგერი (ავსტრია), ს[...]რინ კოლდინგი (დანია), ალესანდრო კო[...]სტაკურტა (იტალია), ფერნანდო იერ[...] (ესპანეთი), დომენიკ ლემონი (ბელგია), კრასიმირ ბალაკოვი (ბულგარეთი), პოლ ინსი (ინგლისი), პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი), ალენ ბოკშიჩი (ხორვატია); შემცვლ[...]ლები: ფროდე გროდასი (ნორვეგია), მ[...]რიუს ლაკატუში (რუმინეთი), სლავიშა ი[...]კანოვიჩი (იუგოსლავია), მეჰდი ფაშაზად[...] (ირანი), გორდონ დიური (შოტლანდია).

დანარჩენი მსოფლიო: ჟაკ სონგო (კა[...]მერუნი), მიუნგ ბო ჰონგი (კორეა), ხავ[...]ერ მარგასი (ჩილე), ნვანკვო კანუ (ნიგ[...]რია), ნურედინ ნაიბეტი (მაროკო), მარ[...]ლინო ბერნალი (მექსიკა), ჰიდეტოში ნ[...]კატა (იაპონია), ადელ სელიმი (ტუნისი), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა), რონა[...]ლდო (ბრაზილია), ჰუსეინ სულიმანი (ს[...]უდის არაბეთი); შემცვლელები: რუბ[...]რუისი (პარაგვაი), ანტონი დე ავილა (კო[...]ლუმბია), დავიდ რიათი (სამხრეთ აფრი[...]კა), დეონ ბარტონი (იამაიკა), ერიკ ვინ[...]ლდა (აშშ).

## უკან ფიფაში

ჰონკონგი კვლავ ფიფაშია. 1954 წელს აზიის ფეხბურთის კონფედერაციის ერთ-ერთი დამაარსებელი კარგა ხანს მოწყვეტილი იყო ფიფას, მაგრამ გუშინ იგი კვლავ მიიღეს დიდ საფეხბურთო ოჯახში.

— ფიფას ექსპერტები შემოდგომით ეწვივნენ ჰონკონგს და მდგომარეობის შესწავლის შემდეგ მიიღეს გადაწყვე[...]ტილება. მიხარია, მათ ჰონკონგი ფიფა[...]წევრობის ღირსად რომ სცნეს — განა[...]ცხადა აზიის ფეხბურთის კონფედერა[...]ციის პრეზიდენტმა პეტერ ველაპენმა.

ჰონკონგი ბოლო 135 წელი ბრიტან[...]თის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა[...] წლეულს, 1 ივლისს, იგი ჩინეთს გადაეც[...] ჰონკონგის ფეხბურთის ფედერაცია [...] 1914 წელს დაარსდა...

# მსოფლიოს XVI ჩემპიონატის მონაწილეები

## ავსტრია
დაარსდა: 1904 ფიფა: 1905
მწვრთნელი: ჰერბერტ პროჰაზკა

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 ჯგუფი | 78 1/4 ფინალი |
| 34 IV ადგილი | 62 ---------- | 82 1/4 ფინალი |
| 38 შესარჩევი | 66 შესარჩევი | 86 შესარჩევი |
| 50 ---------- | 70 შესარჩევი | 90 ჯგუფი |
| 54 III ადგილი | 74 შესარჩევი | 94 შესარჩევი |

მჩ 6 26 12 2 12 40:43

## ესპანეთი
დაარსდა: 1905 ფიფა: 1913
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 შესარჩევი | 78 ჯგუფი |
| 34 II ეტაპი | 62 ჯგუფი | 82 1/4 ფინალი |
| 38 ---------- | 66 ჯგუფი | 86 1/4 ფინალი |
| 50 IV ადგილი | 70 შესარჩევი | 90 1/8 ფინალი |
| 54 შესარჩევი | 74 შესარჩევი | 94 1/4 ფინალი |

მჩ 9 37 15 9 13 53:44

## კოლუმბია
დაარსდა: 1924 ფიფა: 1940
მწვრთნელი: ერნან დარიო გომესი

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 შესარჩევი | 78 შესარჩევი |
| 34 ---------- | 62 ჯგუფი | 82 შესარჩევი |
| 38 ---------- | 66 შესარჩევი | 86 შესარჩევი |
| 50 ---------- | 70 შესარჩევი | 90 1/8 ფინალი |
| 54 ---------- | 74 შესარჩევი | 94 ჯგუფი |

მჩ 3 10 2 2 6 13:20

## სამხრეთი აფრიკა
დაარსდა: 19?? ფიფა: 1992
მწვრთნელი: კლაივ ბარკერი

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 ---------- | 78 ---------- |
| 34 ---------- | 62 ---------- | 82 ---------- |
| 38 ---------- | 66 ---------- | 86 ---------- |
| 50 ---------- | 70 ---------- | 90 ---------- |
| 54 ---------- | 74 ---------- | 94 შესარჩევი |

მჩ 0 0 0 0 0 0:0

## არგენტინა
დაარსდა: 1893 ფიფა: 1912
მწვრთნელი: დანიელ პასარელა

| | | |
|---|---|---|
| 30 II ადგილი | 58 ჯგუფი | 78 ჩემპიონი |
| 34 I ეტაპი | 62 ჯგუფი | 82 1/4 ფინალი |
| 38 ---------- | 66 1/4 ფინალი | 86 ჩემპიონი |
| 50 შესარჩევი | 70 შესარჩევი | 90 II ადგილი |
| 54 ---------- | 74 1/4 ფინალი | 94 1/8 ფინალი |

მჩ 11 52 26 9 17 90:65

## იამაიკა
დაარსდა: 1910 ფიფა: 1962
მწვრთნელი: რენე სიმოეში

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 ---------- | 78 შესარჩევი |
| 34 ---------- | 62 ---------- | 82 ---------- |
| 38 ---------- | 66 შესარჩევი | 86 შესარჩევი |
| 50 ---------- | 70 შესარჩევი | 90 შესარჩევი |
| 54 ---------- | 74 შესარჩევი | 94 შესარჩევი |

მჩ 0 0 0 0 0 0:0

## კორეა
დაარსდა: 1928 ფიფა: 1948
მწვრთნელი: ბუმ კუნ ჩა

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 ---------- | 78 შესარჩევი |
| 34 ---------- | 62 შესარჩევი | 82 შესარჩევი |
| 38 ---------- | 66 ---------- | 86 ჯგუფი |
| 50 ---------- | 70 შესარჩევი | 90 ჯგუფი |
| 54 ჯგუფი | 74 შესარჩევი | 94 ჯგუფი |

მჩ 4 11 0 3 8 9:34

## საუდეთი
დაარსდა: 1959 ფიფა: 1959
მწვრთნელი: ოტო პფისტერი

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 ---------- | 78 შესარჩევი |
| 34 ---------- | 62 შესარჩევი | 82 შესარჩევი |
| 38 ---------- | 66 ---------- | 86 შესარჩევი |
| 50 ---------- | 70 ჯგუფი | 90 შესარჩევი |
| 54 ---------- | 74 შესარჩევი | 94 1/8 ფინალი |

მჩ 1 4 2 0 2 5:6

## აშშ
დაარსდა: 1913 ფიფა: 1913
მწვრთნელი: სტივ სემპსონი

| | | |
|---|---|---|
| 30 1/2 ფინალი | 58 შესარჩევი | 78 შესარჩევი |
| 34 I ეტაპი | 62 შესარჩევი | 82 შესარჩევი |
| 38 ---------- | 66 შესარჩევი | 86 შესარჩევი |
| 50 ჯგუფი | 70 შესარჩევი | 90 ჯგუფი |
| 54 შესარჩევი | 74 შესარჩევი | 94 1/8 ფინალი |

მჩ 5 14 4 1 9 17:33

## იაპონია
დაარსდა: 1921 ფიფა: 1950
მწვრთნელი: ტაკეში ოკადა

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 ---------- | 78 შესარჩევი |
| 34 ---------- | 62 შესარჩევი | 82 შესარჩევი |
| 38 ---------- | 66 ---------- | 86 შესარჩევი |
| 50 ---------- | 70 შესარჩევი | 90 შესარჩევი |
| 54 შესარჩევი | 74 შესარჩევი | 94 შესარჩევი |

მჩ 0 0 0 0 0 0:0

## მაროკო
დაარსდა: 1955 ფიფა: 1956
მწვრთნელი: ანრი მიშელი

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 ---------- | 78 ---------- |
| 34 ---------- | 62 შესარჩევი | 82 ---------- |
| 38 ---------- | 66 ---------- | 86 1/8 ფინალი |
| 50 ---------- | 70 ჯგუფი | 90 ---------- |
| 54 ---------- | 74 ---------- | 94 ჯგუფი |

მჩ 3 10 1 3 6 7:13

## საფრანგეთი
დაარსდა: 1919 ფიფა: 1904
მწვრთნელი: ემე ჟაკე

| | | |
|---|---|---|
| 30 ჯგუფი | 58 III ადგილი | 78 ჯგუფი |
| 34 I ეტაპი | 62 შესარჩევი | 82 IV ადგილი |
| 38 II ეტაპი | 66 ჯგუფი | 86 III ადგილი |
| 50 შესარჩევი | 70 შესარჩევი | 90 შესარჩევი |
| 54 ჯგუფი | 74 შესარჩევი | 94 შესარჩევი |

მჩ 9 32 14 5 13 66:65

## ბელგია
დაარსდა: 1895 ფიფა: 1904
მწვრთნელი: გეორგ ლეეკენსი

| | | |
|---|---|---|
| 30 ჯგუფი | 58 შესარჩევი | 78 შესარჩევი |
| 34 I ეტაპი | 62 შესარჩევი | 82 1/4 ფინალი |
| 38 I ეტაპი | 66 შესარჩევი | 86 IV ადგილი |
| 50 ---------- | 70 ჯგუფი | 90 1/8 ფინალი |
| 54 ჯგუფი | 74 შესარჩევი | 94 ჯგუფი |

მჩ 9 28 9 4 15 35:50

## ინგლისი
დაარსდა: 1863 ფიფა: 1946
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 ჯგუფი | 78 შესარჩევი |
| 34 ---------- | 62 1/4 ფინალი | 82 1/4 ფინალი |
| 38 ---------- | 66 ჩემპიონი | 86 1/4 ფინალი |
| 50 ჯგუფი | 70 1/4 ფინალი | 90 IV ადგილი |
| 54 1/4 ფინალი | 74 შესარჩევი | 94 შესარჩევი |

მჩ 9 41 18 12 11 55:38

## მექსიკა
დაარსდა: 1927 ფიფა: 1929
მწვრთნელი: მანუელ ლაპუენტე

| | | |
|---|---|---|
| 30 ჯგუფი | 58 ჯგუფი | 78 ჯგუფი |
| 34 შესარჩევი | 62 ჯგუფი | 82 შესარჩევი |
| 38 ---------- | 66 ჯგუფი | 86 1/4 ფინალი |
| 50 ჯგუფი | 70 1/4 ფინალი | 90 ---------- |
| 54 ჯგუფი | 74 შესარჩევი | 94 1/8 ფინალი |

მჩ 10 33 7 8 18 31:68

## ტუნისი
დაარსდა: 1956 ფიფა: 1960
მწვრთნელი: ჰენრიკ კასპერჩაკი

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 ---------- | 78 ჯგუფი |
| 34 ---------- | 62 შესარჩევი | 82 შესარჩევი |
| 38 ---------- | 66 ---------- | 86 შესარჩევი |
| 50 ---------- | 70 შესარჩევი | 90 შესარჩევი |
| 54 ---------- | 74 შესარჩევი | 94 შესარჩევი |

მჩ 1 3 1 1 1 3:2

## ბრაზილია
დაარსდა: 1914 ფიფა: 1917
მწვრთნელი: მარიო ზაგალო

| | | |
|---|---|---|
| 30 ჯგუფი | 58 ჩემპიონი | 78 III ადგილი |
| 34 I ეტაპი | 62 ჩემპიონი | 82 1/4 ფინალი |
| 38 III ადგილი | 66 ჯგუფი | 86 1/4 ფინალი |
| 50 II ადგილი | 70 ჩემპიონი | 90 1/8 ფინალი |
| 54 1/4 ფინალი | 74 IV ადგილი | 94 ჩემპიონი |

მჩ 15 73 49 13 11 159:68

## ირანი
დაარსდა: 1922 ფიფა: 1948
მწვრთნელი: ვალდირ ვიეირა

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 ---------- | 78 ჯგუფი |
| 34 ---------- | 62 ---------- | 82 ---------- |
| 38 ---------- | 66 ---------- | 86 ---------- |
| 50 ---------- | 70 ---------- | 90 შესარჩევი |
| 54 ---------- | 74 შესარჩევი | 94 შესარჩევი |

მჩ 1 3 0 1 2 2:8

## ნიგერია
დაარსდა: 1945 ფიფა: 1959
მწვრთნელი: უმწვრთნელოდ

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 ---------- | 78 შესარჩევი |
| 34 ---------- | 62 შესარჩევი | 82 შესარჩევი |
| 38 ---------- | 66 ---------- | 86 შესარჩევი |
| 50 ---------- | 70 შესარჩევი | 90 შესარჩევი |
| 54 ---------- | 74 შესარჩევი | 94 1/8 ფინალი |

მჩ 1 4 2 0 2 7:4

## ხორვატია
დაარსდა: 1991 ფიფა: 1992
მწვრთნელი: მიროსლავ ბლაჟევიჩი

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 ---------- | 78 ---------- |
| 34 ---------- | 62 ---------- | 82 ---------- |
| 38 ---------- | 66 ---------- | 86 ---------- |
| 50 ---------- | 70 ---------- | 90 ---------- |
| 54 ---------- | 74 ---------- | 94 ---------- |

მჩ 0 0 0 0 0 0:0

## ბულგარეთი
დაარსდა: 1923 ფიფა: 1924
მწვრთნელი: ხრისტო ბონევი

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 შესარჩევი | 78 შესარჩევი |
| 34 შესარჩევი | 62 ჯგუფი | 82 შესარჩევი |
| 38 შესარჩევი | 66 ჯგუფი | 86 1/8 ფინალი |
| 50 ---------- | 70 ჯგუფი | 90 შესარჩევი |
| 54 შესარჩევი | 74 ჯგუფი | 94 IV ადგილი |

მჩ 6 23 3 7 13 21:43

## იტალია
დაარსდა: 1898 ფიფა: 1905
მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 შესარჩევი | 78 IV ადგილი |
| 34 ჩემპიონი | 62 ჯგუფი | 82 ჩემპიონი |
| 38 ჩემპიონი | 66 ჯგუფი | 86 1/8 ფინალი |
| 50 ჯგუფი | 70 II ადგილი | 90 III ადგილი |
| 54 ჯგუფი | 74 ჯგუფი | 94 II ადგილი |

მჩ 13 61 35 14 12 97:59

## ნორვეგია
დაარსდა: 1902 ფიფა: 1908
მწვრთნელი: ეგილ ოლსენი

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 შესარჩევი | 78 შესარჩევი |
| 34 შესარჩევი | 62 შესარჩევი | 82 შესარჩევი |
| 38 1/8 ფინალი | 66 შესარჩევი | 86 შესარჩევი |
| 50 ---------- | 70 შესარჩევი | 90 შესარჩევი |
| 54 ---------- | 74 შესარჩევი | 94 ჯგუფი |

მჩ 4 11 3 4 4 16:25

## შოტლანდია
დაარსდა: 1873 ფიფა: 1946
მწვრთნელი: კრეიგ ბრაუნი

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 ჯგუფი | 78 ჯგუფი |
| 34 ---------- | 62 შესარჩევი | 82 ჯგუფი |
| 38 ---------- | 66 შესარჩევი | 86 ჯგუფი |
| 50 შესარჩევი | 70 შესარჩევი | 90 ჯგუფი |
| 54 ჯგუფი | 74 ჯგუფი | 94 შესარჩევი |

მჩ 7 20 4 6 10 23:35

## გერმანია
დაარსდა: 1900 ფიფა: 1904
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 IV ადგილი | 78 1/4 ფინალი |
| 34 III ადგილი | 62 1/4 ფინალი | 82 II ადგილი |
| 38 ჯგუფი | 66 II ადგილი | 86 II ადგილი |
| 50 ---------- | 70 III ადგილი | 90 ჩემპიონი |
| 54 ჩემპიონი | 74 ჩემპიონი | 94 1/4 ფინალი |

მჩ 13 73 42 16 15 154:97

## იუგოსლავია
დაარსდა: 1919 ფიფა: 1919
მწვრთნელი: სლობოდან სანტრაჩი

| | | |
|---|---|---|
| 30 1/2 ფინალი | 58 1/4 ფინალი | 78 შესარჩევი |
| 34 შესარჩევი | 62 IV ადგილი | 82 ჯგუფი |
| 38 შესარჩევი | 66 შესარჩევი | 86 შესარჩევი |
| 50 ჯგუფი | 70 შესარჩევი | 90 1/4 ფინალი |
| 54 1/4 ფინალი | 74 1/4 ფინალი | 94 ---------- |

მჩ 8 33 14 7 12 55:42

## პარაგვაი
დაარსდა: 1906 ფიფა: 1921
მწვრთნელი: პაულუ ცეზარ კარპეჯანი

| | | |
|---|---|---|
| 30 ჯგუფი | 58 ჯგუფი | 78 შესარჩევი |
| 34 ---------- | 62 შესარჩევი | 82 შესარჩევი |
| 38 ---------- | 66 შესარჩევი | 86 1/8 ფინალი |
| 50 ჯგუფი | 70 შესარჩევი | 90 შესარჩევი |
| 54 შესარჩევი | 74 შესარჩევი | 94 შესარჩევი |

მჩ 4 11 3 4 4 16:25

## ჩილე
დაარსდა: 1895 ფიფა: 1912
მწვრთნელი: ნელსონ აკოსტა

| | | |
|---|---|---|
| 30 ჯგუფი | 58 შესარჩევი | 78 შესარჩევი |
| 34 ---------- | 62 III ადგილი | 82 ჯგუფი |
| 38 ---------- | 66 ჯგუფი | 86 შესარჩევი |
| 50 ჯგუფი | 70 შესარჩევი | 90 შესარჩევი |
| 54 შესარჩევი | 74 ჯგუფი | 94 ---------- |

მჩ 6 21 7 3 11 26:32

## დანია
დაარსდა: 1889 ფიფა: 1904
მწვრთნელი: ბო იოჰანსონი

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 შესარჩევი | 78 შესარჩევი |
| 34 ---------- | 62 ---------- | 82 შესარჩევი |
| 38 ---------- | 66 შესარჩევი | 86 1/8 ფინალი |
| 50 ---------- | 70 შესარჩევი | 90 შესარჩევი |
| 54 ---------- | 74 შესარჩევი | 94 შესარჩევი |

მჩ 1 4 3 0 1 10:6

## კამერუნი
დაარსდა: 1960 ფიფა: 1962
მწვრთნელი: ჟან კლოდ სიუდო

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 ---------- | 78 შესარჩევი |
| 34 ---------- | 62 ---------- | 82 ჯგუფი |
| 38 ---------- | 66 ---------- | 86 შესარჩევი |
| 50 ---------- | 70 შესარჩევი | 90 1/4 ფინალი |
| 54 ---------- | 74 შესარჩევი | 94 ჯგუფი |

მჩ 3 11 3 4 4 11:21

## რუმინეთი
დაარსდა: 1908 ფიფა: 1930
მწვრთნელი: ანგელ იორდანესკუ

| | | |
|---|---|---|
| 30 ჯგუფი | 58 შესარჩევი | 78 შესარჩევი |
| 34 I ეტაპი | 62 ---------- | 82 შესარჩევი |
| 38 I ეტაპი | 66 შესარჩევი | 86 შესარჩევი |
| 50 ---------- | 70 ჯგუფი | 90 1/8 ფინალი |
| 54 შესარჩევი | 74 შესარჩევი | 94 1/4 ფინალი |

მჩ 6 17 6 4 7 29:29

## ჰოლანდია
დაარსდა: 1889 ფიფა: 1904
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

| | | |
|---|---|---|
| 30 ---------- | 58 შესარჩევი | 78 II ადგილი |
| 34 ჯგუფი | 62 შესარჩევი | 82 შესარჩევი |
| 38 1/8 ფინალი | 66 შესარჩევი | 86 შესარჩევი |
| 50 ---------- | 70 შესარჩევი | 90 1/8 ფინალი |
| 54 შესარჩევი | 74 II ადგილი | 94 1/4 ფინალი |

მჩ 6 25 11 6 8 43:29

ეროვნული ბიბლიოთეკა

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | |

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | |

| № | მატჩი | ქალაქი | თარიღი |
|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია — A2 | სენ დენი | 10 ივნისი, ოთხშაბათი |
| 2 | A3 — A4 | მონპელიე | 10 ივნისი, ოთხშაბათი |
| 3 | B1 — B2 | ბორდო | 11 ივნისი, ხუთშაბათი |
| 4 | B3 — B4 | ტულუზი | 11 ივნისი, ხუთშაბათი |
| 5 | D3 — D4 | მონპელიე | 12 ივნისი, პარასკევი |
| 6 | C3 — C4 | ლანსი | 12 ივნისი, პარასკევი |
| 7 | საფრანგეთი — C2 | მარსელი | 12 ივნისი, პარასკევი |
| 8 | D1 — D2 | ნანტი | 13 ივნისი, შაბათი |
| 9 | E3 — E4 | ლიონი | 13 ივნისი, შაბათი |
| 10 | E1 — E2 | სენ დენი | 13 ივნისი, შაბათი |
| 11 | F3 — F4 | სენტ ეტიენი | 14 ივნისი, კვირა |
| 12 | H1 — H2 | ტულუზი | 14 ივნისი, კვირა |
| 13 | H3 — H4 | ლანსი | 14 ივნისი, კვირა |
| 14 | G3 — G4 | მარსელი | 15 ივნისი, ორშაბათი |
| 15 | G1 — G2 | ლიონი | 15 ივნისი, ორშაბათი |
| 16 | F1 — F2 | პარიზი | 15 ივნისი, ორშაბათი |
| 17 | A2 — A4 | ბორდო | 16 ივნისი, სამშაბათი |
| 18 | ბრაზილია — A3 | ნანტი | 16 ივნისი, სამშაბათი |
| 19 | B2 — B4 | სენტ ეტიენი | 17 ივნისი, ოთხშაბათი |
| 20 | B1 — B3 | მონპელიე | 17 ივნისი, ოთხშაბათი |
| 21 | C2 — C4 | ტულუზი | 18 ივნისი, ხუთშაბათი |
| 22 | საფრანგეთი — C3 | სენ დენი | 18 ივნისი, ხუთშაბათი |
| 23 | D2 — D4 | პარიზი | 19 ივნისი, პარასკევი |
| 24 | D1 — D3 | სენტ ეტიენი | 19 ივნისი, პარასკევი |
| 25 | E2 — E4 | ბორდო | 20 ივნისი, შაბათი |
| 26 | H2 — H4 | ნანტი | 20 ივნისი, შაბათი |
| 27 | E1 — E3 | მარსელი | 20 ივნისი, შაბათი |
| 28 | H1 — H3 | პარიზი | 21 ივნისი, კვირა |
| 29 | F1 — F3 | ლანსი | 21 ივნისი, კვირა |
| 30 | F2 — F4 | ლიონი | 21 ივნისი, კვირა |
| 31 | G2 — G4 | მონპელიე | 22 ივნისი, ორშაბათი |
| 32 | G1 — G3 | ტულუზი | 22 ივნისი, ორშაბათი |
| 33 | B1 — B4 | სენ დენი | 23 ივნისი, სამშაბათი |
| 34 | B2 — B3 | ნანტი | 23 ივნისი, სამშაბათი |
| 35 | ბრაზილია — A4 | მარსელი | 23 ივნისი, სამშაბათი |
| 36 | A2 — A3 | სენტ ეტიენი | 23 ივნისი, სამშაბათი |
| 37 | საფრანგეთი — C4 | ლიონი | 24 ივნისი, ოთხშაბათი |
| 38 | C2 — C3 | ბორდო | 24 ივნისი, ოთხშაბათი |
| 39 | D1 — D4 | ლანსი | 24 ივნისი, ოთხშაბათი |
| 40 | D2 — D3 | ტულუზი | 24 ივნისი, ოთხშაბათი |
| 41 | E1 — E4 | სენტ ეტიენი | 25 ივნისი, ხუთშაბათი |
| 42 | E2 — E3 | პარიზი | 25 ივნისი, ხუთშაბათი |
| 43 | F1 — F4 | მონპელიე | 25 ივნისი, ხუთშაბათი |
| 44 | F2 — F3 | ნანტი | 25 ივნისი, ხუთშაბათი |
| 45 | H1 — H4 | ბორდო | 26 ივნისი, პარასკევი |
| 46 | H2 — H3 | ლიონი | 26 ივნისი, პარასკევი |
| 47 | G1 — G4 | სენ დენი | 26 ივნისი, პარასკევი |
| 48 | G2 — G3 | ლანსი | 26 ივნისი, პარასკევი |
| | | მერვედფინალი | |
| 49 | B1 — A2 | მარსელი | 27 ივნისი, შაბათი |
| 50 | A1 — B2 | პარიზი | 27 ივნისი, შაბათი |
| 51 | C1 — D2 | ლანსი | 28 ივნისი, კვირა |
| 52 | C2 — D1 | სენ დენი | 28 ივნისი, კვირა |
| 53 | F1 — E2 | მონპელიე | 29 ივნისი, ორშაბათი |
| 54 | E1 — F2 | ტულუზი | 29 ივნისი, ორშაბათი |
| 55 | G1 — H2 | ბორდო | 30 ივნისი, სამშაბათი |
| 56 | H1 — G2 | სენტ ეტიენი | 30 ივნისი, სამშაბათი |
| | | მეოთხედფინალი | |
| 57 | 50 — 51 | სენ დენი | 3 ივლისი, პარასკევი |
| 58 | 49 — 52 | ნანტი | 3 ივლისი, პარასკევი |
| 59 | 53 — 56 | მარსელი | 4 ივლისი, შაბათი |
| 60 | 54 — 55 | ლიონი | 4 ივლისი, შაბათი |
| | | ნახევარფინალი | |
| 61 | 58 — 59 | მარსელი | 7 ივლისი, სამშაბათი |
| 62 | 57 — 60 | სენ დენი | 8 ივლისი, ოთხშაბათი |
| | | მატჩი მესამე ადგილისთვის | |
| 63 | | პარიზი | 11 ივლისი, შაბათი |
| | | ფინალი | |
| 64 | | სენ დენი | 12 ივლისი, კვირა |

| № | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | |

| № | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | |

## მერვედფინალი

### მატჩი №1
A 1
B 2

### მატჩი №2
B 1
A 2

### მატჩი №3
C 1
D 2

### მატჩი №4
D 1
C 2

## მეოთხედფინალი

### მატჩი A
1
4

### მატჩი B
2
3

## ნახევარფინალი

### მატჩი A
A
C

### მატჩი B
B
D

## მეოთხედფინალი

### მატჩი C
5
8

### მატჩი D
6
7

## მერვედფინალი

### მატჩი №5
E 1
F 2

### მატჩი №6
F 1
E 2

### მატჩი №7
G 1
H 2

### მატჩი №8
H 1
G 2

| № | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საფრანგეთი | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | |

| № | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | |



1994 წელი. ბრაზილიელები ჩემპიონობას ზეიმობენ

## ფინალი

## მესამე ადგილისთვის

დღეს მარსელში მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის წილისყრაა. მანამდე კი ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს ვარსკვლავებს შორის საჩვენებელი მატჩიც შედგება. ამ ღირშესანიშნავ მოვლენათა პირდაპირ რეპორტაჟს EUROSPORT-ის მეშვეობით იხილავთ.

ვარსკვლავთა მატჩი თბილისის დროით 20 საათსა და 45 წუთზე იწყება. კენჭისყრის ცერემონიალი კი 22 საათსა და 45 წუთზე.

ვიდრე მსოფლიო ფეხბურთის წარსულისა თუ თანამედროვეობის ვარსკვლავები ჩემპიონატის 32 მონაწილის ბედს გადაწყვეტენ, „სარბიელი" საგაისო ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირისა და ფლეი-ოფის ბადეს გთავაზობთ.

დღეს შეგიძლიათ თავად ჩაინიშნოთ კენჭისყრის შედეგები, შაბათს კი ჩვენეულ, შევსებულ ვარიანტსაც შემოგთავაზებთ.

| № | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | |

| № | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | |

# ჰაეს, ტო?

ბერბენკი. კალიფორნია.
„ჰელს-საუსის“ ჩელენჯერი.
საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარი

**მეოთხედფინალი:** სარგის სარგსიანი (1, სომხეთი) — ბრაიან მაკფი (აშშ) 6:4, 3:6, 6:3; მარტინ სინერი (5, გერმანია) — ტოდ ლარკჰემი (ავსტრალია) 7:6 (10:8), 6:0; ანდრე აგასი (3, აშშ) — რობერტო ჟაბალი (ბრაზილია) 6:1, 6:3; დანიელ ნესტორი (2, კანადა) — მაიკლ სლეი (8, აშშ) 6:4, 4:6, 6:2

**ნახევარფინალები:** სარგის სარგსიანი — მარტინ სინერი 6:1, 7:6 (7:5); ანდრე აგასი — დანიელ ნესტორი 6:4, 5:7, 6:3

**ფინალი:** აგასი — სარგსიანი 6:2, 6:1

გასულ კვირაში ბერბენკში ჩატარებული ერთი რიგითი ჩელენჯერი, ე. წ. მეორე ლიგის ტურნირი, ორი რამით გახლდათ გამორჩეული — ერთი ის, რომ მასში თვით ყოფილი მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ანდრე აგასი მონაწილეობდა და მეორეც — შორეულ კალიფორნიაში ფინალში აგასის, იგივე ალასიანს, თანამემამულე სარგსიანი გადაეყარა. ამ ბოლო ხანებში გარდასულ დღეთა დიდების დაბრუნების მწარე სურვილით შეპყრობილმა ანდრემ, რომელიც ახლა მსოფლიოს 120-ე ჩოგანია, მისი დონის ჩოგბურთელისთვის უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და ფორმაში ჩასადგომად ჩელენჯერებში გამოსვლას მიჰყო ხელი. ორი კვირის წინ ჩასუქებულ ამერიკელს (პასპორტით) ვინმე კრისტიან ვინკმა დაასხა თავს ლაფი, მაგრამ ანდრე მარცხს არ შეეპუა და ამჯერად გაცილებით უკეთაც ისპარეზა. სერიოზული წინააღმდეგობა მსოფლიოს ჩოგბურთის ყოფილ ლიდერს მხოლოდ კანადელმა დანიელ ნესტორმა გაუწია ნახევარფინალში, რომელიც 2 საათსა და 7 წუთს გრძელდებოდა. რაც შეეხება პირველ „იანურ“ ფინალს ATP-ის ისტორიაში, ალასიანმა სარგსიანი სრულებით არ დაინდო და 52 წუთში, 6:2, 6:1 გაანადგურა. გამარჯვებისათვის ანდრეს 7200 დოლარი ერგო, რაც მის წლიურ 14 მილიონ დოლარს მაინცდამაინც არ დაეტყობა, მაგრამ მისივე თქმით, საჭირო მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯები მისთვის ფულზე გაცილებით მეტს ნიშნავს. აგასი ამ წარმატების შემდეგ მთელი 15 საფეხურით აიწევს კლასიფიკაციაში და სადღაც 105-ის მიდამოებში ამოყოფს თავს.

**ავთანდილ სვანიძე**

# ანას ასიამოვნეს

სეზონი დამთავრდა და სხვადასხვა ქვეყანაში წლის საუკეთესო ჩოგბურთელებიც დაასახელეს. რუსეთში მაინცდამაინც დიდი არჩევანი არ ჰქონიათ და, როგორც მოსალოდნელი იყო, კაცებს შორის ფედერაციამ მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი, ევგენი კაფელნიკოვი გამოარჩია, ქალებში კი 16 წლის ანა კურნიკოვა — წლევანდელი უიმბლდონის ნახევარფინალისტი. ჩეხეთში ჟურნალისებსა და სპეციალისტებს შორის გამოკითხვით ანიჭებენ საუკეთესოს ტიტულს, თანაც ქალებსა და კაცებს ერთად უყრიან კენჭს. წელს პირველი ადგილი 65 ხმით ამერიკის ღია პირველობაზე სამპრასის გამმწარებელმა პეტრ კორდამ დაიკავა, რომელმაც თვით ქალებს შორის მსოფლიოს მეორე ჩოგანს — ახლახან დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულ იანა ნოვოტნას აჯობა, რომელმაც მხოლოდ 29 ხმა მიიღო.



ანა კურნიკოვა მოდების ჩვენებაზე ბრნოში (ჩეხეთი)

# ვუდები პირველობენ



ვუდები

ერთეულების მსგავსად ATP წყვილების კლასიფიკაციასაც აქვეყნებს-ხოლმე. მასში აგერ უკვე სამი წელია ავსტრალიელ „ვუდებს“ — ტოდ ვუდბრიჯსა და მარკ ვუდფორდს უკავიათ პირველი ადგილი. წელს ერთხანს მათ შორის ურთიერთობა ერთობ დაიძაბა: უფროსმა „ვუდმა“ — მარკ ვუდფორდმა მეწყვილეს უსაყვედურა, ერთეულებში ასპარეზობას მეტ ყურადღებას აქცევო, მაგრამ ოზებმა მაინც გამონახეს საერთო ენა და გაისადაც ერთად დარჩებიან. სამაგიეროდ, უკვე ცნობილია ორი დუეტი, რომელიც 1998-ში ნამდვილად დაიშლება. ახლახან დამთავრებული მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულები — რიკ ლიჩი და ჯონათან სტარკი და მეცამეტე, უილბლო ადგილს შერჩენილი კიდევ ერთი ავსტრალიური წყვილი — პატრიკ რაფტერი და მარკ ფილიპუსისი საგაისოდ ახალ მეწყვილეებს მონახავენ.

**1997 წლის ოცი საუკეთესო წყვილი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ტოდ ვუდბრიჯი — მარკ ვუდფორდი | 4703 |
| 2. | იაკო ელტინგი — პოლ ჰაარჰიუსი | 3669 |
| 3. | რიკ ლიჩი — ჯონათან სტარკი | 2750 |
| 4. | ევგენი კაფელნიკოვი — დანიელ ვაცეკი | 2583 |
| 5. | მაჰეშ ბჰუპატი — ლეანდერ პაესი | 2543 |
| 6. | ელის ფერერა — პატრიკ გალბრაიტი | 2527 |
| 7. | სებასტიან ლარო — ალექს ობრაიენი | 8445 |
| 8. | მარკ ნოულსი — დანიელ ნესტორი | 2017 |
| 9. | იონას ბიორკმანი — ნიკლას კულტი | 1929 |
| 10. | ლუის ლობო — ხავიერ სანჩესი | 1919 |
| 11. | დონალდ ჯონსონი — ფრანსისკო მონტანა | 1791 |
| 12. | ნილ ბროუდი — პიტ ნორვალი | 1746 |
| 13. | მარკ ფილიპუსისი — პატრიკ რაფტერი | 1681 |
| 14. | ტრევორ კრონემანი — დევიდ მაკფერსონი | 1267 |
| 15. | ლუკ იენსენი — მერფი იენსენი | 1255 |
| 16. | სენდონ სტოლი — სირილ სუკი | 1244 |
| 17. | ტომას კარბონელი — ფრანსისკო როიგი | 1109 |
| 18. | ლუკას არნოლდი — დანჩელ არსანიჩი | 998 |
| 19. | ჯოშუა იგლი — ენდრიუ ფლორანი | 997 |
| 20. | დეივ რენდალი — ჯეკ უეიტი | 933 |

## ევროლიგა

ევროლიგის ჯგუფური ტურნირის ბოლოსწინა ტურმა ორი მერვედფინალისტი გამოავლინა.

შვედეთის „ფერიესტადმა“ თავისი ტრიუმფალური სვლა ზედიზედ მეხუთე გამარჯვებით დააგვირგვინა. სკანდინაველთა დიდ უპირატესობას, რომელიც მათ „კასელთან“ შეხვედრაში მოიპოვეს, სულაც არ ასახავს ორშაიბიანი სხვაობა — 5:3. გერმანელებმა ბოლო წუთებზეღა შეძლეს, ორი გოლი გაეტანათ და საპატიო ანგარიშით დამარცხებულიყვნენ (მანამდე 5:1 იყო).

ინგლისური „მანჩესტერის“ ბოლოდროინდელმა წარმატებებმა გარკვეული ინტრიგა შესძინა ამ გუნდს მოსკოვში ჩამოსვლის წინ, მაგრამ დინამოელებმა ურჩი მეტოქე დაარწმუნეს, რომ მისთვის ჯერ ადრეა დიდ მიღწევებზე ფიქრი. მოსკოველებმა მეტოქე 9:3 გაანადგურეს, თანაც გოლების გატანაში თითქმის ყველა ჰოკეისტმა მიიღო მონაწილეობა, ექს-ბუფალოელი პეტრენკოთი (4+1) და სხვა ლიდერებით დაწყებული და ახალბედა აფინოგენოვითა და ჩუბაროვით (თითო-თითო გოლი) დამთავრებული. „დინამომ“ მეორე ეტაპზე გასვლა გაინაღდა.

დანარჩენ ჯგუფებში რეალურ შანსს რამდენიმე გუნდი ინარჩუნებს. E ჯგუფში ყველაფერი ჩეხეთის „ვშეტინისა“ და რუსეთის „ლადას“ შეხვედრაში გადაწყდება. პირველმა სრშენისა (1+3) და გალკინის (1+3,4) ძალისხმევით სტუმრად 4:0 მოუგო შვეიცარიის „ცუგს“, ხოლო ტოლიატელებმა 7:1 გაანადგურეს „ამიენი“, თუმცა, 37-ე წუთამდე ანგარიში 1:1 იყო.

ასევე პირად ორთაბრძოლაში უნდა მოიპოვონ მეორე ეტაპზე გასვლის უფლება გერმანიის „კიოლნმა“ და ავსტრიის „ფელდკირხმა“. გერმანელებს არ გასჭირვებიათ აუტსაიდერ „ბერნის“ ძლევა — 4:2, „ფელდკირხმა“ კი სამი უპასუხო შაიბა შეუგდო „სტურჰამარს“.

B ჯგუფის ლიდერს, ფინეთის ჰპკ-ს ბედმა გაუღიმა — მხოლოდ ოვერტაიმში სძლია „დუკლას“ 2:1, ძირითად დროში კი 56-ე წუთზეღა გაათანაბრა ანგარიში. ორივე გოლის სულისჩამდგმელი კლუბის საუკეთესო ბომბარდირი სავიოკი იყო.

ფინელთა უშუალო კონკურენტმა — „ლექსანდმა“ „მანჰაიმი“ არ დაინდო — 8:2, თანაც მეორე პერიოდის შემდეგ ანგარიში უკვე 7:0 იყო. ვიტეჰალმა ჰეთ-თრიქი გააზერხა. თუმცა, შვედების შანსი მეტად სათუოა, ისევე, როგორც ფინეთის „იოკერიტისა“ — ამ უკანასკნელმა ერთი ქულა დაკარგა, რადგან ჩეხეთის „ვიტკოვიცეს“ მხოლოდ დამატებით დროში აჯობა 2:1. შევახსენებთ, რომ ექვს ჯგუფში მეორე ადგილზე გასულ გუნდთაგან მხოლოდ ორი საუკეთესო გააგრძელებს მეორე ეტაპზე ასპარეზობას.

ოთხი გამარჯვების შემდეგ იაროსლაველის „ტორპედო“ მოულოდნელად დამარცხდა სლოვაკეთის „სლოვანთან“ 1:5. მიუხედავად ამისა, რუსები კვლავ ლიდერობენ თავიანთ ჯგუფში.

საერთოდ, წლევანდელ გათამაშებაში აუტსაიდერებმა ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი. განსაკუთრებით ეს D ჯგუფის ორ წარმომადგენელს — შვედეთის „ლულეოსა“ და ევროლიგის შარშანდელ ჩემპიონს, ფინეთის ტპს-ს ეხება. ვინ იფიქრებდა, რომ ფავორიტებად მიჩნეული გრანდების შეხვედრა უბრალო ფორმალობად იქცეოდა. ტპს-მ კვლავ წააგო, ამჯერად ბულიტების სერიაში 2:3.

სპარტა — ბოლცანო 3:1

A: ფერიესტადი 15, იოკერიტი 10, კასელი 4, ვიტკოვიცე 1.
B: ჰპკ 11, ლექსანდი 0, მანჰაიმი 6, დუკლა 3.
C: ფელდკირხი 12, კიოლნი 12, სტურჰამარი 5, ბერნი 1.
D: ტორპედო 12, სლოვანი 10, ლულეო 5, ტპს 3.
E: ვშეტინი 13, ლადა 11, ცუგი 6, ამიენი 0.
F: დინამო 14, მანჩესტერი 9, სპარტა 6, ბოლცანო 2.

ბომბარდირები: ხარიტონოვი (დინამო) 10 (5+5), ვუდკროფტი (მანჩესტერი) 9 (6+3), სავიოკი (ჰპკ) 10 (3+7), გალკინი (ვშეტინი) 9 (4+5), მომესო (კიოლნი) და პუეე (მანჰაიმი) 8 (4+4), ტარასენკო (ლადა) 8 (3+5), გუსტაფსონი (ფელდკირხი) 8 (2+6).



## რეგულარული ჩემპიონატი

# ჯერ შეშეს, მერე მოუგეს

**კოლორადო — ედმონტონი 4:2**

**შაიბები:** სმიტი 10 (0:1), ფორსბერგი 8 (1:1), საკიკი 15 (2:1), კოვალენკო 2 (2:2), ფორსბერგი 9 (3:2), ლემიე 10 (4:2)

თუ დეტროიტი კოლორადოსთვის ყველაზე უხერხული მეტოქეა, მეორე შეურიგებელ მოწინააღმდეგედ უეჭველად ედმონტონი უნდა ჩაითვალოს.

გუნდების დაპირისპირება, რომელიც დღემდე გრძელდება, ჯერ კიდევ ბოლო ფლეიოფში დაიწყო. ეს შეხვედრაც უშელავათო გამოდგა. თავიდან სტუმრები ძალზე თავდაჯერებულად გამოიყურებოდნენ, მით უმეტეს, რომ ბოლო ორ მატჩში „მშრალად“ კარშენახული გოლკიპერი — კერტის ჯოზეფი ჰყავდათ. მეორე პერიოდში უკვე მასპინძელთა ლიდერებმა — ფორსბერგმა და საკიკმა იმარჯვევს და კოლორადო დააწინაურეს, მაგრამ 43-ე წუთზე, როცა კოვალენკომ რიცხემრავლობა გამოიყენა, მეტოქეებმა ყველაფერი თავიდან დაიწყეს. ამ მომენტისთვის მოედანზე ვითარება უკიდურესად დაიძაბა და შეხლა-შემოხლამაც არ დააყოვნა. ჩხუბში და, საბოლოოდ, მატჩში გამარჯვებულნი კოლორადოელები აღმოჩნდნენ, რომელთა ლიდერებმაც — ფორსბერგმა და ლემიემ სულ ორ წუთში გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი. შვედი ისეთ საუცხოო ფორმაშია, რომ ორი გოლის გატანა არ იკმარა და ედმონტონის მოთამაშეებს რამდენჯერმე წესიც დაარღვევინა, თუმცა, სტუმართა მწვრთნელის რონ ლოუს თქმით, ფორსბერგი ამას საგანგებოდ აკეთებს, თანაც ისე ოსტატურად, რომ მსაჯებსაც არაფერში ეპარებათ ეჭვი.

**1 დეკემბერი. კაროლინა — ბოსტონი 3:1, მონრეალი — პიტსბურგი 0:1, ფილადელფია — ბუფალო 1:1, ფლორიდა — ფინქსი 2:3, კალგარი — სან ხოსე 3:2, ვანკუვერი — დეტროიტი 3:3.**

**2 დეკემბერი. აილენდერსი — ოტავა 2:4, რეინჯერსი — ვაშინგტონი 2:3, ნიუ ჯერსი — სენტ ლუისი 1:3, ტორონტო — ანაჰაიმი 3:3, კოლორადო — ედმონტონი 4:2.**

დაზამთრებასთან ერთად ნჰლ-ის გუნდების შედეგიანობამ საგრძნობლად იკლო. 11 შეხვედრა გაიმართა და 6 გოლზე მეტი არც ერთში გასულა.

მარიო ლემიეს წასვლის შემდეგ პიტსბურგის შეტევებს სიმწვავე მოაკლდა და გუნდი ერთ-ორ შაიბას თუ შეაგდებს, მეტად თავს არ იწუხებს. ამჯერად „პინგვინებმა“ მონრეალს თავიანთი კარის დალაშქვრა არ დაანებეს და იაგრის (11) ერთადერთი გოლის წყალობით მას ზედიზედ მეორედ მოუგეს. გოლკიპერ ბარასოს ანგარიშზე ეს უკვე მე-4 „მშრალი“ მატჩია.

მრისხანე ფილადელფიაც ასეთივე განწყობით გამოვიდა ბუფალოსთან სათამაშოდ და თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ლინდროსის (10) ერთადერთი შაიბით უგებდა მეტოქეს, მაგრამ „ხმლებს“ ბედი სწყალობდათ და დამარცხებას გადაურჩნენ.

თუ გუნდებმა მაღალი შედეგიანობით ვერ მოიწონეს თავი, წამყვან ფორვარდებს დრო უქმად არ დაუკარგავთ: ფინიქსელი ტკაჩუკი, ფაქტობრივად, მარტოდმარტო გაუმკლავდა ფლორიდელ „პანტერებს“. მას მუდმივად წინ გაჰყავდა თავისიანები და თუ პირველ ორ შემთხვევაში მასპინძლებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, მესამედ დრო აღარ ეყოთ.

რეინჯერსმა ისევ წააგო. ამის მიზეზი ისაა, რომ ნიუიორკელებმა, აგერ უკვე მერამდენედ, პირველებმა გაუშვეს გოლი და ამ ფაქტორმა მათზე კვლავ უარყოფითად იმოქმედა. მართალია, მასპინძლებმა გაათანაბრეს, მაგრამ ვაშინგტონელმა ჟიუნომ (3) ოვერტაიმში თავისიანებს ორი ქულა მოუტანა. სტუმრებს აკლდათ მთავარი სნაიპერი ბონდრა, თუმცა, მის მუდმივ პარტნიორებს — ოუთსს (2 პასი) და საიმონს (გოლი) სლოვაკის ყოფნა სულაც არ დასჭირვებიათ, თავი ღირსეულად რომ წარმოეჩინათ. ნიუიორკელთაგან გოლები კოვალიოვმა (7) და გრეცკიმ (9) გაიტანეს.

ნიუ ჯერსის ბოლოდროინდელი წარუმატებლობა ერთობ გაუგებარი და ძნელი ასახსნელია — „ეშმაკების“ ყველა წამყვანი მოთამაშე სრულ მზადყოფნაშია და გოლკიპერი ბროდოც საუცხოო ფორმაშია. ახლა, შეიძლება ითქვას, ნიუჯერსელები ერთადერთმა მოთამაშემ, სენტლუისელმა კონროიმ დაჯაბნა, არადა, ეს ის ფორვარდია, რომელსაც აქამდე არაფრით გამოუჩენია თავი და 3 საგოლე პასი მისი კარიერის რეკორდია.

დიდი ინტერესი გამოიწვია ვანკუვერისა და დეტროიტის შეხვედრამ. მოგეხსენებათ, კინენის მისვლამ კანადელები გამოაცოცხლა და მომძლავრებულნი ახლა „წითელფრთიანებს“ დაატყდნენ თავს რისხვად. მიუხედავად იმისა, რომ პირველად სტუმრებმა შეაგდეს, შემდეგ მათ ძალზე გაუჭირდათ და 23-ე წუთზე რუსი სნაიპერების — ბურესა (15) და მოგილნის (2+0,6) ძალისხმევით ვანკუვერი უკვე 3:1 იგებდა. მრავლისმნახველმა და გამოცდილმა დეტროიტელებმა საბოლოოდ მაინც მიაღწიეს ფრეს, თუმცა კანადელთა მკაცრი მწვრთნელი შეგირდების თამაშით მაინც კმაყოფილი დარჩა.

ბოლო ხანს უხეიროდ მოასპარეზე ოტავას მისთვის სასურველ მეტოქესთან — აილენდერსთან გამარჯვების იმედი ჰქონდა (ბოლო 7 მატჩში არც ერთხელ წაეგო) და სამართლიანადაც, რადგან ნიუიორკელებმა „სენატორებს“ წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. საინტერესოა, რომ ორი პერიოდის შემდეგ სტუმრები მხოლოდ მინიმალური ანგარიშით იგებდნენ, მაგრამ ბოლო მესამედში აილენდერსელები მათსავე ნახევარზე ჩაკეტეს და გასაქანი არ მისცეს. პირველი ორი გოლი რუსმა ლეგიონერებმა — კრავჩუკმა და იაშინმა გაიტანეს.

ამათმა კალგარელმა თეისტომმა — ტიტოვმა სან ხოსეს გადამწყვეტი გოლი გაუტანა, ბელარუს სალეის ზუსტმა დარტყმამ კი ანაჰაიმს ქულა მოაპოვებიან ტორონტოსთან.

**სამველ ლარიბიანი**



# ტყუილს მოკლე ფეხები აქვს სავონს ოქროს ჩუქნიან

ბუდაპეშტში, მოყვარულ მოკრივეთა მსოფლიო პირველობის უმთავრესი მოულოდნელობა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, უბერებელი კუბელი ფელიქს სავონის მარცხი იყო. შეჯიბრის ბოლოსწინა დღეს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ფინალი 4:14 წააგო უზბეკ რუშან ჩაგაევთან და უმაგალითო მეექვსე ტიტული ველარ მოიპოვა.

უზბეკის გამარჯვება ბევრს მაშინვე საეჭვოდ მოეჩვენა. იმასაც ამბობდნენ, მებამბეთა ქვეყანას ერთი მილიონი დოლარი დაუჯდა ბიჭის ჩემპიონად გაყვანაო. შეეჭვებულებს ისიც ემცხეთათ, რომ ფინალის რეფერი თურქი, ესე იგი უზბეკის ჯილაგისა იყო და ისიც, რომ სავონის ბანაკიდან ამ თურქ მსაჯულს შერკინების დამთავრებისთანავე საცემრად მიუხდნენ. აყალმაყალი იმით დასრულდა, რომ რეფერი რინგიდან ავტომატით შეიარაღებულმა ჩაფრებმა გააცილეს.

სავონი საერთაშორისო ასპარეზზე ბოლო ათწლეული უძლეველი იყო. მისი გამლახველის ვინაობა ამერიკულმა ჟურნალმა „ფლეშმა“ გამოიკვლია და დაადგინა, რომ ჩაგაევს შარშან, აგვისტო-სექტემბერში პროფესიულ რინგზე ორი შერკინება გაუმართავს. ამდენად, 19 წლის ჯეელი მოყვარული ველარ ყოფილა და ბუდაპეშტში ასპარეზობის უფლებაც აღარა ქონია.

ჟურნალის ვერსია სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციის (აიბა) გენერალურმა მდივანმა, გერმანელმა კარლ-ჰაინც ვერმა პირადად გადაამოწმა და დაასკვნა, რომ უზბეკის სიმაღლე და დაბადების თარიღი ემთხვევა იმისას, ვინაც შარშან ჩიკაგოში პროფესიულად იკრივა. ექს-გდრ-ელ დიდ-მოხელეს გუშინწინ უთქვამს, უეჭველია, რომ მოყვარულთა მსოფლიო ჩემპიონი და დამწყები პროფესიონალი ერთი და იგივე პიროვნებააო.

ჩაგაევს აფერისტობისთვის დისკვალიფიკაცია ელის. მას ტიტულს ჩამოართმევენ. სავონი მეექვსედ გახდება ჩემპიონი. უზბეკეთის კრივის ფედერაციას ახსნა-განმარტებისთვის 48 საათი მიეცა. გარდა ამისა, გერმანიასაც შეუტანია საჩელი. ჩაგაევმა ნახევარფინალში 12:7 რომ დაამარცხა გერმანელი მაიკ ჰანკე, მისი ქვეყანა ბრინჯაოს მაგივრად ახლა ვერცხლის მედალს ითხოვს, რადგან მიაჩნია, რომ მაიკი ფელიქსის მომრევი ვერ იყო.

**ლევან ლეონიძე**

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

## გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტური

5 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტერნი — ბაიერნი | 2,3 | 2,6 | 2,6 |

6 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არმინია — ბოხუმი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ვერდერი — კარლსრუე | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| მიუნხენ 1860 — შტუტგარტი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ლევერკუზენი — შალკე | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| მიონხენგლადბახი — ჰამბურგი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| დუისბურგი — კიოლნი | 1,4 | 3,3 | 5,6 |

7 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი — ჰანზა | 1,6 | 3,0 | 4,4 |

## გერმანია. II ბუნდესლიგა. XVI ტური

7 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიურნბერგი — კიკერსი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| უნტერჰახინგი — ფიურტი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| მეპენი — ზტ. პაული | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ურდინგენი — მაინცი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 2,6 |
| აინტრახტი — ცვიკაუ | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| კარლ ცაისი — ფორტუნა | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| ფრაიბურგი — ვატენშაიდი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| გიუტერსლოო — კოტბუსი | 1,5 | 3,1 | 5,0 |

8 დეკემბერი.

| | | | |
|---|---|---|---|
| ლაიპციგი — დიუსელდორფი | 2,0 | 2,8 | 3,0 |

## ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური

6 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ქოვენთრი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ბლექბერნი — ბოლტონი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| დერბი — ვესტ ჰემი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ლიდსი — ევერტონი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ლესტერი — კრ. პალასი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ლივერპული — მანჩესტერი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| ნიუკასლი — არსენალი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ტოტენჰემი— ჩელსი | 2,8 | 2,8 | 2,1 |

7 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| უიმბლდონი — საუთჰემპტონი | 1,7 | 2,9 | 4,0 |

8 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| შეფილდი — ბარნსლი | 1,25 | 4,0 | 7,0 |

## ინგლისი. I დივიზიონი. XXI ტური

6 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბერი — მიდლსბრო | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| ქრიუ — ჰადერსფილდი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| სიტი — ვულვერჰემპტონი | 1,9 | 3,0 | 3,0 |
| ნორვიჩი — შეფილდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| ნოტინგემი — ბრედფორდი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| პორტ ვეილი — ბირმინგემი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| პორტსმუთი — სტოკი | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| ქუინზ პარკი — სანდერლენდი | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| რედინგი — ჩარლტონი | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| სვინდონი — ოქსფორდი | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| ტრანმერი — იფსვიჩი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ვესტ ბრომი — სტოკპორტი | 1,4 | 3,2 | 6,0 |

## საფრანგეთი. XIX ტური

5 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მეცი — შატორუ | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 2,6 |
| მონაკო — ლიონი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| კანი — პსჟ | 4,4 | 3,0 | 1,6 |
| ლე ავრი — ლანსი | 2,3 | 2,7 | 2,5 |
| სტრასბური — გინგამი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| რენი — ბორდო | 2,9 | 2,9 | 2,0 |

7 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მარსელი — მონპელიე | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| ბასტია — ტულუზი | 1,5 | 3,0 | 5,3 |

## იტალია. სერია A. XI ტური

6 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| იუვენტუსი — ლაციო | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| სამპდორია — ინტერი | 2,4 | 2,8 | 2,3 |

7 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეჩე — ვიჩენცა | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| მილანი — ბარი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| პიაჩენცა — ნაპოლი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| რომა — ატალანტა | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| უდინეზე — ბოლონია | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ბრეშია — ემპოლი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ფიორენტინა — პარმა | 2,1 | 2,8 | 2,8 |

## იტალია. სერია B. XIII ტური

6 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეჯინა — ფ. ანდრია | 1,6 | 3,0 | 4,4 |

7 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სალერნიტანა — ჯენოა | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| ტრევიზო — ვერონა | 2,5 | 2,9 | 2,2 |
| დი სანგრო — პესკარა | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| კიევო — ვენეცია | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| ლუკეზე — მონცა | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| პადოვა — ფოჯა | 2,2 | 2,9 | 2,5 |
| პერუჯა — კალიარი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| რავენა — ტორინო | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| რეჯანა — ანკონა | 1,6 | 2,9 | 4,7 |

## ესპანეთი. I დივიზიონი. XV ტური

6 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ესპანიოლი — მალიორკა | 1,5 | 3,0 | 5,3 |

7 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სარაგოსა — ბარსელონა | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| მერიდა — რასინგი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ოვიედო — რეალი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| სელტა — ვალიადოლიდი | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| კომპოსტელა — ბილბაო | 2,2 | 2,9 | 2,5 |
| სოსიედადი — ვალენსია | 1,35 | 3,8 | 6,5 |
| სალამანკა — დეპორტივო | 2,4 | 2,8 | 2,8 |
| ატლეტიკო — სპორტინგი | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| ბეტისი — ტენერიფე | 1,5 | 3,1 | 5,0 |

## ესპანეთი. II დივიზიონი. XVII ტური

7 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ორენსე — ხაენი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| ლეიდა — სერესი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| ლას პალმას — ლეჩე | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| ეიბარი — ესტრემადურა | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ალბასეტე — ბადახოსი | 1,4 | 3,0 | 7,0 |
| ტოლედო — ლოგრონიესი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ვილიარეალი — სევილია | 2,3 | 2,7 | 2,5 |
| რაიო — ატლეტიკო B | 1,5 | 3,3 | 4,4 |
| ერკულესი — ლეგანესი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| ოსასუნა — ალავესი | 2,3 | 2,8 | 2,4 |
| ნუმანსია — ლევანტე | 1,6 | 3,0 | 4,4 |

## პორტუგალია. XII ტური

5 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| შაგეში — პორტუ | 7,0 | 4,0 | 1,25 |
| ბრაგა — ლეცა | 1,5 | 3,0 | 5,3 |

6 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოავიშტა — მარიტიმუ | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| გიმარაეში — ვარზიმი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| სპორტინგი — კამპომაიორენსე | 1,2 | 4,2 | 8,0 |

7 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბენფიკა — სალგეირუში | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| რიუ ავე — სეტუბალი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| ფარენსე — ამადორა | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| აკადემიკა — ბელენენსეში | 1,7 | 2,9 | 4,0 |

## ჰოლანდია.

6 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სატარდი — ტვენტე | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| აიაქსი — როდა | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| ბრედა — სპარტა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ჰერენვენი — გრააფსხაპი | 1,25 | 3,8 | 7,5 |

7 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაიმეგენი — ფეიენოორდი | 4,7 | 3,2 | 1,5 |
| უტრეხტი — ვიტესი | 2,5 | 2,9 | 2,2 |
| ტალბურგი — ეინდჰოვენი | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| გრონინგენი — მაასტრიხტი | 1,6 | 3,2 | 4,0 |

## ბელგია. XV ტური

6 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სტანდარდი — ლიერსი | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| მუსკრონი — მოლენბეკი | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| შარლერუა — ანტვერპენი | 1,5 | 3,3 | 4,4 |
| ლოკერენი — ბევერენი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| ანდერლეხტი — ვესტერლო | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| ლომელი — სტ. ტრიუდენი | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| გენტი — გენკი | 2,2 | 2,8 | 2,6 |

7 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეკერენი — ჰარელბეკი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| აალსტი — ბარიუგე | 4,0 | 3,2 | 1,6 |

## შოტლანდია. XVI ტური

6 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — სტ. ჯონსტონი | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| დანდი იუნ. — დანფერმლაინი | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| ჰართსი — მოზერველი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| კილმარნოკი — სელტიკი | 4,7 | 3,2 | 1,5 |

7 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეინჯერსი — ჰიბერნიანი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |

## შვეიცარია. XXII ტური

7 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არაუ — ლოზანა | 3,4 | 3,2 | 1,7 |
| გრასჰოპერი — ციურიხი | 1,05 | 7,0 | 10,0 |
| ლუცერნი — ბაზელი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| სერვეტი — კარუჟი | 1,15 | 5,0 | 8,0 |
| სტ. გალენი — სიონი | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| ქსამაქსი — კრინსი | 1,4 | 3,3 | 5,6 |

## თურქეთი. XV ტური

6 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქაისერისფორი — გალათასარაი | 8,0 | 4,2 | 1,2 |
| ბეშიქთაში — ფენერბაჰჩე | 2,3 | 2,6 | 2,6 |

7 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტრაბზონსფორი — ქარაბუქსფორი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| ალთაი — ისთანბულსფორი | 4,7 | 3,2 | 1,5 |

## ტურში გატანილი გოლები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისი (მე-17). | 25 და ნაკლები — 1,9; | 27 და მეტი — 1,9 |
| იტალია (მე-11). | 23 და ნაკლები — 1,9; | 25 და მეტი — 1,9 |
| ესპანეთი (მე-15). | 25 და ნაკლები — 1,9; | 27 და მეტი — 1,9 |

# CROCO-2

### ტირაჟი №86

1. მიუნხენი — შტუტგარტი
2. ლევერკუზენი — შალკე
3. მიონხენგლადბახი — ჰამბურგი
4. ლესტერი — კრ. პალასი
5. ლივერპული — მანჩესტერი
6. ნიუკასლი — არსენალი
7. ტოტენჰემი — ჩელსი
8. ფიორენტინა — პარმა

### ტირაჟი №87

1. ვოლფსბურგი — ჰანზა
2. უიმბლდონი — საუთჰემპტონი
3. ბრეშია — ემპოლი
4. ლეჩე — ვიჩენცა
5. პიაჩენცა — ნაპოლი
6. სამპდორია — ინტერი
7. მერიდა — რასინგი
8. კომპოსტელა — ბილბაო

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
**საქართველო — თურქეთი 73:76 (38:43)**
თბილისი. სპორტის სასახლე. 3 დეკემბერი
მსაჯები: პეტარ სუდეკი (სლოვაკეთი), იონ ბორნლი (რუმინეთი)

| საქართველო | ქულა | ფარზე მოხსნა | | საჯარიმო | სამქულიანი | ფოლი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | საკუთარ | მეტოქის | | | |
| 5 სანაძე | 10 | 1 | 1 | 2(2) | 2 | 3 |
| 6 სტეფანია | 13 | 9 | 1 | 4(3) | — | 5 |
| 8 ბეჟანიშვილი | 2 | — | 1 | 2(2) | — | 2 |
| 10 ვაშაკიძე | 9 | 6 | 2 | 4(3) | — | 4 |
| 11 ხოშტარია | — | — | 1 | — | — | 2 |
| 12 ბერძენიშვილი | 2 | 1 | 1 | 2(0) | — | 1 |
| 13 ნაცვლიშვილი | 33 | 4 | 4 | 11(9) | — | 4 |
| 15 ჩხეიძე | 4 | 1 | — | 5(2) | — | 5 |
| სულ | 73 | 22 | 11 | 30(21) | 2 | 26 |

| თურქეთი | ქულა | ფარზე მოხსნა | | საჯარიმო | სამქულიანი | ფოლი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | საკუთარ | მეტოქის | | | |
| 7 ენე | 7 | 2 | 1 | 4(2) | 1 | 4 |
| 8 თურქკანი | 11 | 14 | 4 | 6(5) | — | 5 |
| 9 ერდენაი | 14 | — | — | — | 2 | 4 |
| 10 ქუთლუაი | 19 | — | — | 3(3) | 2 | 4 |
| 11 კონუკი | — | — | — | — | — | — |
| 12 ბესოკი | 2 | — | — | 2(2) | — | 3 |
| 13 ოიგუჯი | 8 | 3 | 3 | 2(0) | — | 3 |
| 14 სარიქა | 15 | 1 | — | 6(5) | 2 | 2 |
| სულ | 76 | 20 | 8 | 23(17) | 7 | 25 |

დასაწყისი პირველ გვერდზე

# იმედო ჩემო, ამჟამად სხვისო

ჩვენი სტუმრები მხოლოდ მეექვსე წუთისთვის დაწინაურდნენ, თუმცა მალე სტეფანიამ ჩატენა და ნაცვლიშვილმა კვლავ საქართველოს ნაკრები გაიყვანა წინ. აქ თურქებს ჩინებული ორწუთიანი მონაკვეთი ჰქონდათ — ქუთლუაიმ და თურქკანმა ზედიზედ შედეგიანად ისროლეს და ექვსქულიან სხვაობას მიაღწიეს 20:14. მათ სამქულიან სროლებზე გადაიტანეს აქცენტი და ამიტომაც იყო, ენე და ერდენაი, ჩვენგან განსხვავებით, დიდხანს რომ ეძებდნენ გზებს მასპინძელთა ფარისკენ. ჩვენებმა კვლავ ტემპით გადაწყვიტეს სხვაობის შემცირება. პირველი სამქულიანი ჩააგდო სანაძემაც, მაგრამ ქუთლუაიმ ითამაშა ჩინებულად და ანგარიში 28:20 გახდა თურქების სასარგებლოდ. აქ შეიქმნა



ქართველნი და ოსმალონი ბურთისთვის იბრძვიან

ბადრი ქადილაძის ფოტო

საშიშროება, რომ ისინი კიდევ უფრო დაწინაურდებოდნენ და ბესო ლიპარტელიანმა წუთშესვენება აიღო. ჩხეიძეს შორეული ტყორცნების გადაკეტვა დაევალა, ბეჟანიშვილს — ფარზე აქტიური თამაში და ჩვენებმაც ოთხ ქულამდე დაიყვანეს სხვაობა, მაგრამ მოულოდნელად საკუთარ ფარზე წააგეს და თურქებმა ეს გარემოება კარგად გამოიყენეს. ამ დროს ყველა სტეფანიას გააქტიურებას ელის მეტოქის ფართან, რითაც ნაცვლიშვილს, რომელიც შესანიშნავია თავდასხმაში, კიდევ უფრო უნდა გაუადვილდეს შემტევი თამაში, მაგრამ ვოვა, ისევე როგორც პირველ თამაშში, სამწუხაროდ, ვერ ამართლებს იმედებს. თურქები ტაიმის ბოლომდე ინარჩუნებენ 8-ქულიან სხვაობას, მაგრამ ტაიმის ბოლოს ვაშაკიძე ორჯერ ზედიზედ ჭრის გადაცემებს და მის ჩინებულ პასებს პარტნიორები აგვირგვინებენ, ბოლო წამებზე კი ვაშაკიძისვე ზუსტ ტყორცნას ხუთ ქულამდე დაჰყავს სხვაობა. შესვენებისთვის 43:38-ია სტუმართა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი კვლავ ნაცვლიშვილის გარღვევით იწყება. ვატო ბურთსაც აგდებს და ერთ საჯარიმოსაც უმატებს. სხვაობა ორი ქულაღაა — 41:43. ოიგუჯი შედეგიანი სროლით პასუხობს, მაგრამ ისეთი სიტუაციაა, რომ ჩვენებმა, შესაძლოა, შემცბარ თურქებს წაართვან ინიციატივა. თურქები ოთხჯერ ზედიზედ ვერ აგდებენ კალათში, მაგრამ ოთხჯერვე(!) თავად ეუფლებიან ბურთს და ეს უსაშველოდ გრძელი შეტევა, ბოლო და ბოლოს, ჩვენი კალათის აღებით მთავრდება. თურქები კვლავ ექვსქულიან დისტანციას ინარჩუნებენ. ბრწყინვალედ თამაშობს ვახტანგ ნაცვლიშვილი — ერთი მეორეზე უკეთესი გასვლები, გია სანაძის საფირმო სამქულიანიც და 9,55 წუთით ადრე ანგარიში თანაბარია 53:53. მაგრამ ჩვენი მეტოქე გამოცდილია, თურქთა გამთამაშებელს, გუნდის კაპიტან ორჰუნ ენეს კი ასეთ დროს არაერთხელ დაულაგებია გუნდის თამაში. ახლაც ასე ხდება და სტუმრები კვლავ წინ არიან. ჩვენი მცველები გაუმართლებლად შორს მიჰყვებიან თურქთა უკანახაზელებს და დაცვაში თავისუფალი დერეფნები იქმნება, სადაც მორიგეობით შედიან ერდენაი, თურქკანი და ქუთლუაი. სხვაობა 6,30 წთ-ით ადრე 9 ქულას აღწევს და შთაბეჭდილება იქმნება, რომ მატჩის ბედი გადაწყდა, მაგრამ რასაც ვერ დავუკარგავთ ჩვენს ბიჭებს, ეს დიდი მონდომებაა. ლიდერობა კი კვლავ ნაცვლიშვილმა იტვირთა — 2,18 წამით ადრე ტანმაღალ მცველებთან ბრძოლაში ფარქვეშ იმარჯვა, მერე კი ჩვეულ სტილში ჩატენა კალათში 72:70. წუთითა და ორმოცდახუთი წამით ადრე თურქები დაბნეულნი ჩანან, ორჯერ გაუმართლებელ შეცდომას უშვებენ შეტევაში. ბოლო ბურთს ვაშაკიძე ეუფლება, მაგრამ მის წინააღმდეგ ჯარიმდებიან და ირაკლი მხოლოდ ერთ საჯარიმოს იყენებს. მეტოქის შეტევა: ჩვენები პრესინგს მიმართავენ, თურქებიც უკვე მომწყვდეულნი არიან პირიქით ხაზთან, ენე შეტევის დროის უკანასკნელ წამებზე ტყორცნის ბურთს კალათში — უშედეგოდ, მაგრამ აქ ნაცვლიშვილი ლონივრად ეხება კალათს და მსაჯები თურქებს ამ ბურთს უთვლიან — 74:71. მატჩის დამთავრებამდე 58 წამია და ამ იერიშს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ აქ სტეფანია გაუგებრად თამაშობს: მცველებისგან გარშემორტყმული მაინც ცდილობს კალათზე შეტევას, ვერ აგდებს და თავდასხმაში ჯარიმდება, რის შედეგადაც ხუთი პერსონალურის გამო ტოვებს მოედანს, საჯარიმოებს კი თურქები ჩინებულად იყენებენ. ნაცვლიშვილი კვლავ გვიტოვებს იმედს — 76:73 თურქების სასარგებლოდ. დამთავრებამდე 38 წამია, ისინი დიდხანს ათამაშებენ ბურთს და უშედეგოდ. ჩვენ ერთი სამქულიანი გვჭირდება. თურქებმა იციან, რომ ქართველთაგან ამის ოსტატი გია სანაძეა და ყველა მას დასდევს, სამქულიანს კი ბეჟანიშვილი ისვრის — ბურთის კალათზე დატრიალდა და ამოვარდა. მესამე წაგება და კვლავ მინიმალური ანგარიშით — 73:76.

ჩვენმა ნაკრებმა წარუმატებლად ჩაატარა საშემოდგომო შეხვედრები და ახლა შესარჩევ ტურნირში თებერვლამდე შესვენებაა. სამი მატჩი და სამი დასანანი მარცხი, რომელთაგან სამივეში შეგვეძლო გამარჯვება. ალბათ, აზრი არა აქვს უსაყვედურო ზოგიერთ კალათბურთელს, რატომ უკეთ არ ითამაშეო, ანაც მწვრთნელებს, ესა თუ ის ტაქტიკური შეცდომა რატომ დაუშვიო. საყვედური ადვილია, მაგრამ გვაქვს კი ამის უფლება? იმ პირობებში, როგორშიც ჩვენი კალათბურთია, ძნელია, მეტი მოსთხოვო მოთამაშეებს. აი, თურქებმა კი ერთ დღეს გადაწყვიტეს, ევროპულ დონეზე ეთამაშათ კალათბურთი და სიტყვა საქმედაც აქციეს. რა შედეგიც გამოილო მათმა მონდომებამ, თავად ხედავთ. ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო — რასაც დასთეს, იმას მოიმკი.

## პრესკონფერენცია

ერმან ქუნთერი, თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: საქართველოს ნაკრები ძალიან მომეწონა. თქვენები თამაშიდან თამაშამდე უკეთ გამოიყურებიან. ჩვენ კი თბილისში დაღლილები ჩამოვედით და მთლიანად ვერ ვაჩვენეთ ის, რაც შეგვეძლო. თავად მატჩი, ჩემი აზრით, ძალზე საინტერესო სანახავი იყო. თბილისელმა გულშემატკივრებმა, რომლებსაც ჩინებული ქომაგობა სცოდნიათ, ალბათ, ისიამოვნეს მაღალი დონის კალათბურთით. თქვენებიდან დიდი შთაბეჭდილება დატოვა ვახტანგ ნაცვლიშვილმა, ჩვენებიდან ყველაზე ძალიან ერდენაის თამაშით ვარ კმაყოფილი. შესარჩევ ტურნირში ჯერ მხოლოდ სამი ტური გაიმართა, ასე რომ, თურქეთის ნაკრებისთვის, ისევე როგორც საქართველოს, ყველაფერი წინაა.

ბესიკ ლიპარტელიანი, საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი: ყველასთვის კარგა ხანია ცნობილი იყო, რომ ეს სასტარტო სამი მატჩი წყვეტდა ფინალურ ეტაპზე გასვლის ბედს. მაგრამ ამ თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად არაფერი გაკეთებულა. ჩვენ არანაირი სათამაშო პრაქტიკა არ გვქონდა, მეტოქეთა თამაშის ნახვის შესაძლებლობასაც მოკლებულნი ვართ და ასე ბრმად ვიბრძვით — ამ აუცილებლად მოსაგებ თამაშებში ვიძენთ გამოცდილებას, იმის ნაცვლად, რომ ეს პრაქტიკა ამხანაგურ შეხვედრებში მივიღოთ. რა თქმა უნდა, როცა გუნდი აგებს, დამნაშავედ მწვრთნელებს მიიჩნევენ ხოლმე, მაგრამ ჩვენ ვერავითარ მხარდაჭერას ვერ ვგრძნობთ. შვედეთიდან გუნდი მორალურად განადგურებული ჩამოვიდა. იქ ბიჭებმა 37 წუთი მშვენივრად ითამაშეს და შემდეგ სწორედ სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო წააგეს. არავინ მოსულა ჩვენთან და მხარში არავინ დაგვდგომია — ორი თაში წავაგეთ და ხელი ჩაიქნიეს. ჩვენ კი არ გვინდა გავაწბილოთ მაყურებელი, ბოლომდე ვთამაშობთ და სამივე მატჩი ფაქტობრივად მოუმზადებელმა გუნდმა მინიმალური ანგარიშით დათმო. ძალზე ძნელი იქნება რაიმე წარმატებაზე ფიქრი, თუ ქართულ კალათბურთს მეტი ყურადღება არ მიექცა. არადა, ჩვენი გუნდი ძალზე ახალგაზრდულია, ამათ კიდევ 9-10 წელი აქვთ სათამაშო და სათანადო ყურადღებით, მჯერა, გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლიათ. ჩვენ წლიდან წლამდე ენთუზიაზმის ამარა ვრჩებით, თანამედროვე კალათბურთში კი ამით შორს ვერ წახვალ.

**ქოტე ,მგალობლიშვილი**

რეგულარული ჩემპიონატი

# ტაში კლინტონისგან

1 დეკემბერი

**იუტა 100:95 ნიუ ჯერსი**

**იუტა: მელოუნი (19+14 მოხსნა)**
**ნიუ ჯერსი: კასელი (26+10 პასი), უილიამსი (16)**

მართალია, იუტამ პირველი ექვსი შეხვედრიდან ოთხი წააგო, მაგრამ გონს მოეგო და მას შემდეგ ათ თამაშში რვაჯერ გაიხარა, ნიუ ჯერსისთან მოგება კი ზედიზედ მეხუთე იყო.

2 დეკემბერი

**პორტლენდი 88:89 ორლანდო**

**პორტლენდი: რაიდერი (33)**
**ორლანდო: ჰარდევეი (29)**

მთავარი ბოლო მეოთხედში მოხდა, რომელშიც გუნდებმა 67:67 „შეაბიჯეს“. მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ორლანდო 10 ქულით იყო წინ 84:74. აქ პორტლენდმა აიწყვიტა შარისთავ რაიდერის (26 ქულა მეორე ნახევარში) წინამძღოლობით და ორწუთიანი მონაკვეთი 11:0 მოიგო. დარჩენილ დროში ორლანდოელებმა 5 საჯარიმო ჩააგდეს — ორ-ორჯერ ჰარდევეიმ და სთრონგმა, ერთიც აუთლოომ და ორლანდო კვლავ წინაა 89:85. პორტლენდელთაგან ბრაიან გრანტმა გამოიდო თავი: მან ჯერ საჯარიმო ჩააგდო, მერეც ივარგა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. დარჩენილ 30 წამში ჰარდევეიმ და აუთლოომ ააცილეს, მაგრამ გამარჯვება მაინც მათ დარჩათ.

**შარლოტი 121:102 საკრამენტო**

**შარლოტი: რაისი (30)**
**საკრამენტო: რიჩმონდი (25+9 პასი)**

**ჰიუსტონი 112:101 დენვერი**

**ჰიუსტონი: დრექსლერი (22), ბალარდი (20)**
**დენვერი: ნიუმენი (32), ფორსტონი (22+11 მოხსნა)**

ჰიუსტონმა საქმე პირველ ნახევარშივე მოათავა, როცა 19 ქულით დაწინაურდა. ჰიუსტონელმა სერ ჩარლზ ბარკლიმ კარიერაში მეოცე სამმაგი დუბლი შეასრულა: 15 ქულა, 11 მოხსნა, 12 პასი.

**სან-ანტონიო 90:84 ნიუ იორკი**

**სან ანტონიო: რობინსონი (23+14 მოხსნა + 5 დაფარება), დანკანი (23+13 მოხსნა)**
**ნიუ იორკი: იუინგი (25+15 მოხსნა), ჰიუსტონი (22)**

ნიუ იორკმა თამაში მეოთხე მეოთხედში წააგო, როცა ბოლო 12 წუთი ამდენივე ქულით დათმო. ნიუიორკელი იუინგი ბევრს ეცადა, მაგრამ ამაოდ. ამ მეოთხედში გუნდის 15 ქულიდან 13 მის ანგარიშზეა. ნიუიორკელებს კვლავ აკლდათ ფეხმტკივანი ლარი ჯონსონი.

**მილუოკი 86:90 ფინიქსი**

**მილუოკი: ბრენდონი (23), რობინსონი (17)**
**ფინიქსი: მაკლაუდი (16), მაკდაიესი (13+10 მოხსნა)**

დროის ამოწურვამდე 52,6 წამით ადრე ფინიქსელმა მაკლაუდმა სამქულიანი ჩააგდო და თავისიანები 88:86 დააწინაურა. მისმა თანაგუნდელმა რექს ჩეპმენმა ორი ზუსტი საჯარიმოც მიაყოლა, რის შემდეგაც მილუოკელებმა ვერაფერი შეძლეს. ხეირიანი ცენტრის გარეშე მოთამაშე ფინიქსმა 46:31 დაჩაგრა მოწინააღმდეგე მოხსნებში.

**დალასი 79:112 ატლანტა**

**დალასი: ფინლი (18), უოლკერი (14+15 მოხსნა)**
**ატლანტა: სმიტი (28)**

**ვაშინგტონი 95:78 სიეტლი**

**ვაშინგტონი: ჰოვარდი (18+10 მოხსნა), მიურეი (18)**
**სიეტლი: ბეიკერი (22), შრემპფი (17+10 პასი)**

წელს ნამდვილად ცვლილებების სეზონი აქვს ვაშინგტონს. ჯერ იყო და, სახელი „ბულიტსი“ გადაიკეთა „ვიზარდსად“, ახლა კი სათამაშო მოედანიც გამოიცვალა და ახალ სახლში პირველი მატჩი ლიგის ერთ-ერთ ფავორიტთან — სიეტლთან ძლევამოსილი გამარჯვებით აღნიშნა. ამ ახალ დარბაზს სახელად MCI სუტეუკ ეწოდება და 20674 ათას კაცს



სერ ჩარლზი მძვინვარებს

იტევს. დარბაზის გახსნას დაესწრო პრეზიდენტი ბილ კლინტონი, თანაც, უბრალო მოკვდავივით, პიცაც იყიდა და მადიანადაც შეექცა. თამაშზე იმის თქმა შეიძლება, რომ მთელი მატჩის განმავლობაში სიეტლი მდევრის როლში იყო. სუპერსონიქსის თამაშზე დიდი გავლენა იქონია ამ გუნდის ლიდერის გერი პეიტონის უკბილო გარჯამ — მან გუნდს მხოლოდ 9 ქულა და 7 პასი შესძინა.

**ირაკლი ფირაშვილი**

## აღმოსავლეთის კონფერენცია

| ატლანტის დივიზიონი | | |
|---|---|---|
| მაიამი | 10 | 5 |
| ორლანდო | 11 | 6 |
| ნიუ იორკი | 10 | 6 |
| ნიუ ჯერსი | 10 | 6 |
| ბოსტონი | 7 | 9 |
| ვაშინგტონი | 6 | 11 |
| ფილადელფია | 4 | 9 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | |
| ატლანტა | 15 | 2 |
| შარლოტი | 10 | 5 |
| კლივლენდი | 9 | 6 |
| ინდიანა | 8 | 6 |
| მილუოკი | 9 | 7 |
| ჩიკაგო | 9 | 7 |
| დეტროიტი | 6 | 11 |
| ტორონტო | 1 | 15 |

## დასავლეთის კონფერენცია

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | |
|---|---|---|
| იუტა | 10 | 6 |
| ჰიუსტონი | 9 | 5 |
| სან ანტონიო | 10 | 7 |
| მინესოტა | 7 | 8 |
| ვანკუვერი | 7 | 11 |
| დალასი | 4 | 12 |
| დენვერი | 1 | 13 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | |
| ლეიკერსი | 13 | 2 |
| ფინიქსი | 10 | 3 |
| სიეტლი | 13 | 4 |
| პორტლენდი | 10 | 6 |
| საკრამენტო | 5 | 12 |
| კლიპერსი | 2 | 14 |
| გოლდენ სტეიტი | 1 | 13 |



ამიერიდან ვაშინგტონი სტუმრებს ახალ დარბაზში უმასპინძლებს

# რაგბი

დასრულდა საქართველოს საიუბილეო, XXX ჩემპიონატი. ეჭვი არაა, რაგბის კავშირი ტრადიციულად გამოიკითხავს ქართული სარაგბო თემის აზრს, სეზონში თავგამოჩენილ მოთამაშეებს გამოავლენს და მათ საკადრისად დააჯილდოებს.

თუ ვინ აღმოჩნდებიან უკეთესი მოთამაშეები, ეს გარკვეულწილად სუბიექტურად გადაწყდება. სამაგიეროდ, თუ რომლები არიან უკეთესი გუნდები, ამას ჩემპიონატის შედეგები უტყუარად მოწმობენ. ჰოდა, მკითხველს ამ ერთხელაც შევახსენებთ, რომ კვირას დასრულებულ შეჯიბრში გაიმარჯვეს „ყოჩებმა". მეორე ადგილი ქუთაისის „აიამ" დაიკავა, მესამე — რუსთავის „აზოტმა".

იგივე ითქმის იმათზე, ვისაც ბურთები გააქვს. „ყოჩების" 10 ნომერი ბესო ტეფნაძე რომ გამორჩეული დამრტყმელია, წელსაც დადასტურდა. კაცმა ზედიზედ მესამედ მოიპოვა საუკეთესო ბომბარდირის წოდება, თან ისე, რომ პირველობის მეორე ნახევარში, თუ მეტად არა, სანახევროდ მაინც გადააბარა თავისი ფუნქცია კახა კობახიძეს. ამის გამო კინაღამ ისე მოხდა, რომ რუსთაველი ემზარ ძაგნიძე დაეწია ბესოს, მაგრამ ფინიშზე ბომბარდირთა პაექრობა მაინც ვერ გამოვიდა: „აზოტს" III ადგილის თამაშში მეტოქე არ გამოუცხადდა და ემზარსაც ბოლო გაბრძოლების შანსი ხელიდან გამოეცალა. არადა, ტეფნაძე მას ამ დროს ერთი კინკილა ქულით უსწრებდა.

## ზედიზედ მესამედაც ბესო ტეფნაძე

კოლა მაჭარაშვილი

| ბომბარდირი | კლუბი | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბესო ტეფნაძე | ყოჩები | 3 | 17 | 40 | 2 | 175 |
| ემზარ ძაგნიძე | აზოტი | 4 | 31 | 25 | 5 | 172 |
| შოთა მოდებაძე | გუმარი | 2 | 22 | 28 | 1 | 141 |
| ბობა კვინიხიძე | ლოკომოტივი | 1 | 14 | 26 | 2 | 117 |
| კახა კობახიძე | ყოჩები | 6 | 19 | 13 | - | 107 |
| დემირ ძნელაძე | ლოკომოტივი | 5 | 6 | 13 | - | 76 |
| ზურაბ შვანგირაძე | აია | 3 | 6 | 15 | - | 72 |
| ირაკლი აბუსერიძე | ასკ | 8 | 8 | 2 | - | 62 |
| გიორგი ჩუბინიძე | აია | 3 | 5 | 9 | 2 | 58 |
| ბესიკ ხამაშურიძე | აია | 4 | 9 | 4 | 1 | 53 |
| ზურაბ რეხვიაშვილი | აზოტი | 10 | - | - | - | 50 |
| ლევან შერვაშიძე | აია | 4 | 7 | 2 | 3 | 49 |

### მელელოვეები

10 ზურაბ რეხვიაშვილი (აზოტი)
9 პაატა ძოწენიძე (აზოტი)
8 კახა მხეიძე (ყოჩები); ირაკლი აბუსერიძე (ასკ)
6 სანდრო საკანდელიძე და კახა კობახიძე (ყოჩები); კახა ალანია (ლოკომოტივი); ვასილ აბაშიძე (გუმარი)
5 გელა ფირცხალავა (აზოტი); მახო ურჯუკაშვილი (გუმარი); დემირ ძნელაძე (ლოკომოტივი)
4 ალეკო ენუქიძე, ბადრი ხეხელაშვილი, მამუკა ტყეშელაშვილი და გელა ხურცილავა (ყოჩები); ბესიკ ხამაშურიძე, ლევან შერვაშიძე, ირაკლი გორგიძე და გოჩა ხონელიძე (აია); ემზარ ძაგნიძე და მამუკა მინდორაშვილი (აზოტი); მერაბ ბესელია, გიორგი ბუგიანიშვილი, ილია მაისურაძე და შავლეგ ჯანელიძე (გუმარი); კახა კოდუა (ასკ)

ძოწენიძემ ცხრა (!) თამაშში გაიტანა თითო ლელო. რეხვიაშვილმა, ხურცილავამ და გორგიძემ ერთ მატჩში 4 ლელოს გატანა შეძლეს. აბუსერიძემ სამჯერ გაიტანა ორ-ორი

მეარეკნეები: ძაგნიძე 5; მიხეილ წეველიძე (ლოკომოტივი) და შერვაშიძე 3; ტეფნაძე, ჩუბინიძე და კვინიხიძე 2



ბესო ბურთს მიწაზე დადებს და ფეხს ისე დაკრავს, რომ ოვალმა ჰაერი ჰურვივით გაკვეთოს და ძელებშუა გაიფრინოს

ბადრი კეთილაძის ფოტო

### „ოლ ბლექსის" ტურნე

ბოლოსწინა, VIII თამაში. 2.12. ლესტერი, ველფორდ როუდი. ინგლისი „ა" 19 (12) (ლ: ბენტონი; გ და 4ს: სტიმპსონი) — ახალი ზელანდია (II შემადგენლობა) 30 (12) (4ლ: მაკლეოდი, ოლივერი, რაიკლმანი, უმაგა; 2გ: სპენსერი; 2ს: სპენსერი, პრესტონი) (16 048 მოსეირე)

ზელანდიელთა „დერტ-ტრეკერებმა" (მოტურნევე გუნდის სათადარიგო ნახევარმა) ბოლო თამაშიც მოიგო იმისდა მიუხედავად, რომ მათ წინამორბედებს სწორედ რომ „ველფორდ როუდზე" წაეგოთ უკანასკნელად ეროვნულ ნაკრებზე დაბალი სტატუსის მეტოქესთან. ის ამბავი 1983 წელს მოხდა, „ოლ ბლექსის" მძლეველი კი შიდა ინგლისის ნაკრები იყო.

მასპინძლებმა ახლაც თავი დადეს და სტუმრებს გასაქანი არ მისცეს. და მაინც, პირველი ნახევარი ფრედ რომ დამთავრდა, უფრო იმის გამო იყო, რომ სპენსერმა

## მსაჯი უმეცარი იყოო

ოთხი ცდით ერთადერთი გოლი გაიტანა, სტიმპსონს კი 7 დარტყმიდან ოთხი რიგიანი გამოუვიდა.

შესვენების შემდეგ განახლდა თამაში და სტუმრებმა უმალ მესამე ლელო გაიტანეს, რასაც ორი საჯარიმო ც დააყოლეს. 73-ე წუთზე გარემარბმა ტანა უმაგამ გადამწყვეტი, ეშხიანი ლელო გაიტანა. მასპინძლები სულ ბოლოს სანუგეშო ლელოთი გაეპასუხნენ მეტოქეს.

სტუმართა მოძღვარი ჯონ ჰარტი თამაშით ერთობ უკმაყოფილო დარჩა. მან გააკრიტიკა ირლანდიელი მსაჯი ალენ ლუისი, ვინაც 40-ზე მეტი საჯარიმო დანიშნა და ამით სანახაობა წაახდინა. ჰარტმა ლუისზე თქვა, სრულიად უვიციაო. ეტყობა, ყველაფრის მცოდნე ზელანდიელმა ისიც უწყოდა, რომ ლუისი ირლანდიის ნაკრების კაპიტანი ყოფილა, ოღონდაც — კრიკეტში.

ლუკა ჯორჯიაშვილი

## მსოფლიო თასის შესარჩევები

### ევროპა

8 ქვეჯგუფი. 30.11. სანტანდერი: ესპანეთი 39 (15) (6ლ, 3გ, ს) — ჩეხეთი 8 (5) (ლ, ს) (3 ათასი მაყურებელი)

| | თ | მ | ფ | წ | - ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 101: 11 | 4 |
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 87: 28 | 4 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 70: 90 | 2 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 0 | 0 | 0: 0 | 0 |
| ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 34:163 | 0 |

### აზია

29.11. კუალა-ლუმპური: მალაიზია — შრილანკა 15:37

გაისად, 17 იანვარს შრილანკამ ტაივანს უნდა უმასპინძლოს, მაგრამ ჩანკაიშელი ჩინელები კოლომბოში ჩასვლაზე კატეგორიულად უარს არიან. მათი ნაკრების მოთამაშეთა მშობლებს (!!) რაგბის საერთაშორისო საბჭოსთვის (ირბ) მიუწერიათ, შვილებს დასაღუპად ვერ გავიმეტებთო.

## მსოფლიო თასი, წყალდიდობა და თამილები

ჩეხეთი ამ ზაფხულს ისე დაიტბორა, რომ ქვეყნის ეკონომიკა ათი წლის შემდეგ თუღა დადგება ფეხზე. მორავეთის სამი სარაგბო კლუბი ერთინად ალგვილა პირისაგან მიწისა. მათ მოედნებზე იმოტოლა წყალი დაგუბებულა, რომ ზოგან თურმე კარის ხარიხაც აღარ ჩანდა.

ამის მერე რა გასაკვირია, რომ ჩეხებს აღარ ერაგბებათ. მსოფლიო თასის შემდეგ სტადიაზე გასვლის ბოლო შანსიც დაკარგეს. ახლა იჭაურებს თავის გადასარჩენად უწევთ ბრძოლა. სტადიონებისა და კლუბების აღდგენაში ისინი მსოფლიოს სარაგბო საძმოს შეწევნის იმედად ყოფილან.

პორტუგალია ოთხივე მატჩს გაისად გამართავს. ბოლო სტადიაზე გამსვლელი ორი გუნდი შემდეგ მატჩებში გამოვლინდება:

4.04. პორტუგალია — გერმანია; 26.04. გერმანია — ესპანეთი; 10.05. ესპანეთი — პორტუგალია

რა თქმა უნდა, შრილანკა რაგბში იმის მაქნისი ვერაა, რომ ტაივანელ მოთამაშეებს მოედანზე რამე ავნოს. ძაღლის თავი სულ სხვაგანაა დამარხული: ქვეყანაში 1983 წლიდან ეთნიკური ომი მიმდინარეობს. კუნძულზე ინდოეთიდან ჩასახლებულ თამილებს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში ცალკე ქვეყნის მოწყობა სურთ და ხელისუფლებას ყველა ხერხით ებრძვიან: ქვეყნის დედაქალაქ კოლომბოში სამოქალაქო დაწესებულებების აფეთქებასაც არ თაკილობენ. თამილთა ბოლო გამოხდომის შედეგად ოქტომბერში 18 მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა, ასი კი დაიჭრა.

ირბ-ს განკარგულება გაუცია, თამაში ნეიტრალურ მოედანზე, ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში გაიმართოსო. ამაზე ლანკელები ყაბულს უხალისოდ არიან, რადგან თუ თამაში ჩაიშლება, ყოვლად ულოგიკო წესებით ფრე (!?) ჩაითვლება და მერე ტაივანი მალაიზიას თუ შრილანკაზე მეტი სხვაობით ძლევს, გავა აზიის ბოლო შესარჩევ სტადიაზე, სადაც ამ სტადიის გამარჯვებულს რეგიონის გრანდები — იაპონია, ჰონკონგი და კორეა ელიან.

დასასრულ შევნიშნოთ, რომ რაც ეს შესარჩევი ციკლი გაჩაღდა, ლანკელებს შინ ერთხელაც არ უთამაშიათ. გაზაფხულზე სინგაპურმაც ვერ გაბედა კოლომბოში ჩასვლა, მაგრამ ლანკელებმა იგი გაჭირვებით 18:15 მაინც ძლიეს კუალა-ლუმპურში.

ნიკო ვეფხვაძე

# თხილამურობა

## გერმანელი გოგოები და მომცდარი ვაჟები



მსოფლიო თასის ბალაგანი ჩრდილოეთ ამერიკაში რომ ჩავა, იშვიათად, ამინდი არ გაუჭირვეულდეს. წინა უქმეების პროგრამაც ისე საფუძვლიანად აირია, რომ ვაჟებს ვალების გასტუმრება დღეიდან მოუწევთ.

კაც მოთხილამურეებს კანადის დასავლეთ პროვინცია ბრიტანულ კოლუმბიაში უნდა გაემართათ ჩქაროსნული ეტაპები, მაგრამ ვისლერ-მაუნტში ისე ბარაქიანი თოვლჭყაპი მოვიდა, რომ ვერც შაბათის დანიშნული დაშვება გაიმართა და ვერც კვირას დაგეგმილი სუპერ-გიგანტი.

წესია, დაშვება არ გაიმართოს, თუკი მონაწილეები ვარჯიშზე თუნდაც ერთხელ არ დაამულამებენ ტრასას. ასპარეზის გაცნობა ზედიზედ სამჯერ რომ გადაიდო, მასპინძლებმა სუპერ-გიგანტი გაწირეს იმის იმედად, რომ ეგების დაშვება მაინც მოესწროთ.

ამ ახალ გეგმასაც არ ეწერა ასრულება: ნაწვიმარზე მოყინა. რაკი ტრასის პირას ბუნებრივი თოვლი ცოტა ეყარა, მასპინძლებმა სარები დაასეს და დამცავი ბადეები გაჭიმეს, მაგრამ მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა მაინც ვერ მოხერხდა. მერე შაბათღამ ხვავრიელადაც რომ ჩამოთოვა, ვისლერ-მაუნტის მთელი პროგრამა შარშანდელის დარად ბათილად გამოაცხადეს და დაადგინეს, იგი ამ კვირის, ასევე ჩქაროსნული ეტაპებისთვის შეეწყვილებინათ.

მოკლედ, ვეილში (კოლორადო, აშშ) დღესა და ხვალ ორი დაშვება გაიმართება, შაბათ-კვირას კი — ორი სუპერ-გიგანტი.

კალიფორნიაში დიდთოვლობა არც დედაკაცებს დაკლებიათ. ოთხშაბათს ერთ მეტრზე მეტი რომ დადო, გზებიც კი ჩაიხერგა. ორგანიზატორებმა მოხალისეები მიაშველეს ბულდოზერებს და თოვლის გადასახვეტად დინამიტიც კი იხმარეს.

ხუთშაბათს მაინც ვერ მოხერხდა სუპერ-გიგანტის გამართვა. იგი შაბათისთვის გადაიდო, მოთხილამურეებმა კი 27 ნოემბერი უფრო შინაარსიანად გაატარეს, რადგან ეს დღე ამერიკაში დღესასწაულია. ყველგან იშლება სუფრა, რომელსაც შემწვარი ინდაური და გოგრის ღვეზელი ამშვენებენ.

უიკ-ენდის პროგრამა პარალელური სლალომით გაიხსნა. ეს დისციპლინა წელს, საცდელად ალადგინეს მსოფლიო თასზე, სეზონის ბოლოს კი თხილამურობის ოლრაშები მას სამომავლო განაჩენს გამოუტანენ.

დარი მზიანი იდგა. გერმანულად მეტყველმა გოგოებმა აიშვეს და ნახევარფინალში გასვლა სხვას არავის დაანებეს. ორი ფავორიტი — სეზონის პირველი პარალელურის გამარჯვებული, ფრანგი პიკარიცა და გიგანტური სლალომის კარუზო, იტალიელი კომპანიონიც მაისნიცერმა გააგდო, მაგრამ მერე თავად დამარცხდა ერტლთან, ვინაც ამ ეტაპის შემდეგვე მსოფლიო თასის ჯამურ ჩათვლაში გადაუსწრო კომპანიონის, თუმცკი ფინალში ტრასიდან გავარდა. გაიმარჯვა „ველურად" ცნობილმა გერგმა.

სუპერ-გიგანტის შემდეგ ერტლი მეტად გაიჭრა წინ, რადგან 27 წლის კომპანიონიმ კვლავ დაზოგა ქრონიკულად მტკივანი მუხლი და წელსაც ოდენ სლალომებში აპირებს ასპარეზობას.

მის არყოფნაში, ისევე როგორც წელს, მარტში, გაიმარჯვა 25 წლის უნივერსალმა ზაიცინგერმა, ვინაც აღიარა, თოვლის გამო სტარტი 120 მეტრით რომ ჩამოაქვეითეს, ტრასა უინტერესო გახდაო. ამ დღეს კატიამ მსოფლიო თასის ეტაპი 29-ედ მოიგო.

ირაკლი ნინუა



გერმანული დუბლი: გერგი (მარცხნივ) და ზაიცინგერი

როიტერი კალიფორნიიდან

ქალთა მსოფლიო თასი. მემოთ-მაუნტი (კალიფორნია, აშშ)

**28. 11. პარალელური სლალომი**

ფინალი: ჰილდე გერგმა (გერმანია) ძლია მარტინა ერტლი (გერმანია), რაკი ამან ფინიშს ვერ უწია

III ადგილისთვის: ალექსანდრა მაისნიცერმა (ავსტრია) 0,104 წამით აჯობა კატია ზაიცინგერს (გერმანია)

ნახევარფინალი: ერტლი — მაისნიცერი 312; გერგი — ზაიცინგერი 357

მეოთხედფინალი: ერტლი — ურსკა პროვატი (სლოვენია, მე-5 ადგილი) 411; მაისნიცერი — ლელა პიკარი (საფრანგეთი, 6) 412; გერგი — იულვა ნოვენი (შვედეთი, 7) 574; ზაიცინგერი — რენატე გეჩლი (ავსტრია, 8) 638

მერვედფინალი: ერტლი — ანიტა ვახტერი (ავსტრია, 13) 364; პიკარი — იზოლდე კოსტნერი (იტალია, 10) 241; მაისნიცერი — დებორა კომპანიონი (იტალია, 9) 080; გერგი — ფლორანს მანადა (საფრანგეთი, 11) 056; ნოვენი — პაიდი ცურბრიგენი (შვეიცარია, 12) 459; ზაიცინგერი — შტეფანი შუსტერი (ავსტრია, 14) 157; პროვატს და გეჩლს მეწყვილე არ ყავდათ

**29. 11. სუპერ-გიგანტი**

1. ზაიცინგერი; 2. კოსტნერი ჩამორჩა 0,64 წამით; 3. კატარინა გუტენსონი (გერმანია) 66; 4. გეჩლი 145; 5. გერგი 149; 6. ვარვარა ზელენსკაია (რუსეთი) 150; 7. რეგინა ჰოიზლი (გერმანია) 151; 8. ერტლი 157; ...

**ექვსი ეტაპის ჯამი**

ერტლი 304 ქულა; კომპანიონი და ზაიცინგერი 243; მაისნიცერი 242; გერგი 238; ნოვენი 233; პიკარი 181; კოსტნერი 167; კარინ როტენი (შვეიცარია) 115


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29